პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ლვოვის ციხეში პოლიტ-ტუსაღებმა სიმშილობა გამოაცხადეს.
- ჰოლანდიის ქალაქებში აკრძალეს სოციალ-დემოკრატების დემონსტრაციები.
- მექსიკის მთავრობის ჯარები ბრძოლას აწარმოებენ აჯანყებულ კლერიკალების წინააღმდეგ.
- პოლონეთის მთავრობამ დაამტკიცა შეთანხმება ამერიკიდან სესხის მიღების შესახებ.
- ჰოლანდიის მთავრობა ახალ გვინეაზე ასახლებს ინდონეზიის აჯანყების 1000 მონაწილეს.
- კანონპროექტში ინგლისის პროფკავშირების შესახებ შეტანილია 350 შესწორება.

პარასკევი, 13 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 106 (1851)

პირველი ივნისი ახლოვდება

ფასების დაკლების კამპანიამ ამ ორი თვის განმავლობაში საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ფასების დაკლების საქმე სასურველი ტემპით მიიწევს წინ. განსაკუთრებით ფერხდება კამპანიის წარმატებით განვითარება სოფლად. ჩვენ დღემდე ამომწურავი ცნობებიც კი არა გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ ატარებს ფასების დაკლებას სოფელი და რა რეალური მიღწევებია იქ ამ დარგში.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს კამპანია ყველაზე მეტ სიძნელეებს სწორედ სოფლის ბაზარზე წააწყდებოდა. აქ ძნელია საზოგადო კონტროლის მთელი თავისი სიმტკიცით შემოღება, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. გარდა ამისა, სოფლად ჯერ კიდევ სუსტია კოოპერატიული ქსელი და კოოპერატიული საზოგადოებრიობა. კერძო ვაჭარი აქ გაცილებით უფრო ფეხმოკიდებულია, ვიდრე ქალაქად. ამასთან ერთად, ტრანსპორტის სიძვირის გამო, რასაც იწვევს უგზოობა და სამრეწველო ცენტრიდან სიშორე, სავაჭრო აპარატის მოუქნელობა, რომელიც კოოპერაციის საზოგადო სენს წარმოადგენს, მეტად ხელს უწყობს ზედნადები ხარჯების ზრდას სოფლის კოოპერაციაში.

მიუხედავად ამისა, ფასების დაკლების კამპანიას შეუძლია დიდი ნაყოფი გამოიღოს სოფლის ფართო მშრომელი მოსახლეობისათვისაც. ეს შეიძლება მოხდეს თუნდაც იმ ზედმეტი მოგების შეკვეცით, რომელსაც იღებს ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები და კოოპერაცია მომხმარებლებისაგან. არის შემთხვევები, როცა კოოპერაციის მოგება ასეული პროცენტებით განისაზღვრება. ეს განსაკუთრებით ხდება სოფლად, სადაც თავის-თავად გასაგებ მიზეზების გამო, ძნელია იმის სისტემატიურად შემოწმება, თუ რამდენად სისწორით ატარებს ჩვენი სავაჭრო ორგანოები სავალდებულო დადგენილებას საზღვრითი ზედნადები ხარჯების დაწესების შესახებ.

გარდა ამისა, ფასების დაკლება როგორც სოფლად, ისე ქალაქად, უნდა მომხდარიყო სავაჭრო აპარატის შემცირება-გამარტივების გზით და ბინის ხარჯების შემოკლებით; ამ მხრივ მათ ჯერჯერობით სათანადო ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

ამ ღონისძიებათა ნაცვლად ზოგიერთი ჩვენი სავაჭრო ორგანოები ფასების დაკლების კამპანიაში უფრო გარეგნულ ეფექტის საშუალებებს ეტანებიან და ამრიგად ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფასების დაკლება მტკიცედ და სისწორით ტარდება. ამრიგად, იმ ორგანოების მხრივ, რომელთაც უშუალოდ ეკისრებათ ფასების დაკლების კამპანიის გატარება, არის მიდრეკილება თავი დააღწიონ კამპანიის არასასურველ შედეგებს მათი წინდაუხედავი კომერციული ინტერესებისათვის და ნაკლები წინააღმდეგობის გზით იარონ.

როგორც ვიცით, ქალაქად ამგვარ ცდებს დიდი გასავალი არა აქვს. აქ კოოპერატიული და პროფესიონალური საზოგადოებრივობაც უფრო ძლიერია. აქვეა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ორგანოები. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქალაქად ფასების დაკლების კამპანიამ მეტი შედეგები მოგვცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგები ჯერ კიდევ ვერ უახლოვდებიან შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებულ (ფასების) დაკლების ნორმას, რომელიც შესრულებული უნდა იქნას მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე. ფასები ქალაქად საშუალოთ დაკლებულია 3—6 პროცენტამდე. და ისიც სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა სურათი გვაქვს. მაშინ, როდესაც ფასების დაკლების ზემოხსენებული სავალდებულო ნორმა 10 პროცენტს უდრის.

დრო, როგორც ვხედავთ, მეტად მცირე დაგვრჩენია. 1 ივნისამდე ორი კვირის მანძილი-ღა არის. აქედან, ცხადია, რამდენათ საპასუხისმგებლო მუშაობა მოელის ამ კვირეებში ჩვენ სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ორგანოებს.

თუ დღემდე კიდევ რამდენადმე დასაშვები იყო დაცდა და მუშაობის ტემპის შენელება ფასების დაკლების კამპანიაში, დღეს ასეთ განწყობილებას არავითარი გამართლება არ აქვს. დღეს დაცდის და მომავლის იმედით საზრდოობის დრო უკვე აღარ არის. 1 ივნისს ყველა კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების წინაშე დადგება საკითხი: რა გააკეთეს მათ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა შესასრულებლად, რა შედეგებით ეგებებიან ისინი ფასების დაკლების კამპანიის გადამწყვეტ ვადას.

რომ ეს შედეგები კამპანიის საზარალო ილიუსტრაციას არ წარმოადგენდენ, რომ ისინი საამაყო იყვნენ თვით სავაჭრო ორგანოებისათვის, საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს ყველა ძალების და შესაძლებლობათა მობილიზაცია დასახულ მიზნის მისაღწევად.

არ უნდა დაგვავიწყდეს,—წინ მხოლოდ 19 დღე დაგვრჩენია.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით).

ფართო ოპერაცია, რომელიც ფინ-იუ-სიანის სახალხო არმიამ დაიწყო კაი-ფინის მიმართულებით, თანდათან ვითარდება და ფართო ხასიათს ღებულობს. წინა წერილში გვქონდა აღნიშნული, რომ ეს ოპერაცია უნდა ჩაითვალოს, როგორც დასაწყისი პეკინისაკენ გალაშქრებისა. ლუნხაის რკინის გზას, რომლის ხაზითაც ეხლა სწარმოებს ოპერაციები, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი გარდი-გარდმო სჭრის მუკდენელების (ჩან-ძო-ლინის) მთავარ საკვებ და საოპერაციო გზას—პეკინ-კაი-ფინის რკინის გზას. რაც უფრო წინ მოიწევს კაი-ფინისაკენ სახალხო არმია, მით უფრო და უფრო უკან უნდა დაიხიოს მუკდენელების ჯარებმა იმ შიშით, რომ არ დაჰკარგონ მთავარი საკვები გზა პეკინისაკენ.

ნახსენებ ლუნხაის რკინის გზაზე აღსანიშნავია სამი მეტად თვალსაჩინო სტრატეგიული მოსაზრებით პუნქტი, რომელთაც იხსენიებენ უკანასკნელი დეპეშები. ერთი მათ შორის არის კაი-ფინი, პროვინცია ხენანის მთავარი ქალაქი, რომლის შესახებ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, მეორე—ქალაქი **ჯენ-ჯოუ**, რომელიც მდებარეობს ორი დიდი რკინისგზის ჯვარედინზე, პეკინ—ხანკოუს და ლუნხაის რკინის გზებისა, იგი კაი-ფინს დასავლეთით დაშორებულია სულ 100 კილომეტრით, ამასთან უფრო აღმოსავლეთით ჯენ-ჯოუს დაშორებით მდებარეობს 200 კილომეტრით ხენანი, ანუ ლოიანი. ხენანის უფრო კიდევ აღმოსავლეთით 150 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქ. **შენ-ჯოუ**, ლუნხაის რკინის გზის დასაწყისი პუნქტი. ყველა დასახელებული ქალაქები მდებარეობენ ერთსა და იმავე რკინის გზის ხაზზე, სახელდობრ ლუნხაის რკინის გზაზე. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ორ დასახელებულ ქალაქისაკენ: **ჯენ-ჯოუ და შენ-ჯოუ. ფინ-იუ-სიანის** არმიის შეტევა მუკდენელების წინააღმდეგ დაიწყო ქ. შენ-ჯოუდან და სწარმოებდა აღმოსავლეთისაკენ ლუნ-ხაის რკინის გზის ხაზით. დეპეშის ცნობით, სახალხო არმია მედგრად მიიწევს წინ. მას მთელი რიგი გამარჯვებანი რგებია და მუკდენელები კი თითქმის **შეუჩერებლად უკან იხევენ.** 11 აპრილის დეპეშის ცნობით, ფინ-იუ-სიანს თავისი მთავარი შტაბი გადაუყვანია **ხე-ნანში** (ლოიანში). ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ ამ დროს მისი მოქმედი ჯარი უნდა ყოფილიყო უფრო აღმოსავლეთით საცმე **ჯენ-ჯოუს** მახლობლად. 10 აპრილის დეპეშა მართლაც გადმოგვცემს, რომ სახალხო არმიამ **ჯენ-ჯოუ** დაიკავა. საქმე ის არის, რომ ჩვენი გაზეთების მიერ 11 აპრილის დეპეშა უფრო ადრე იყო მიღებული (წინადღით), ვიდრე 10 აპრილისა (მეორე დღეს), და ამ გარემოებამ შეიძლება გაუგებრობა დაბადოს. 10 აპრილის დეპეშა ლაპარაკობს ლოიანის (ხენანის) შესახებ. რომ სახალხო არმიას სამ წყებად მოაქვს იერიში ამ ქალაქის წინააღმდეგ. ეს **10 აპრილის დეპეშის** ცნობაა, მაშინ, როდესაც **11 აპრილის დეპეშა** გვაუწყებს, რომ ლოიანი (ხე-ნანი) ფინ-იუ-სიანის ხელშია, სადაც უკანასკნელს უკვე გადაუყვანია თავისი მთავარი შტაბი. ამიტომ გვგონია, რომ ის სასტიკი ბრძოლა, რომელიც 10 აპრილის დეპეშის ცნობით სწარმოებს ლოიანთან (ხენანთან), ნამდვილად უნდა ხდებოდეს კაი-ფინთან. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაი-ფინის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ სამხრეთის მხრით ხანკოუს ჯარების ნაწილები. ამას წინად დეპეშამ გადმოგვცა, რომ სწორედ კაი-ფინის სამხრეთით დასახელებულ ჯარებს ბრწყინვალედ გაუმარჯვიათ. ესენი გარს შემორტყმიან მუკდენელების ჯარს და მთლად გაუნადგურებიათ უკანასკნელი.

ერთ-ერთს ჩვენს წერილში აღნიშნული გვქონდა, რომ მუკდენელების გალაშქრება სამხრეთისაკენ კაი-ფინის მიმართულებით, მეტად სარისკოა და შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს-თქო. დღევანდელი ამბები ამას სავსებით ადასტურებენ.

თუ ფინ-იუ-სიანის ჯარმა ასე მარჯვედ დაწყებული ოპერაცია ბრწყინვალედ დააგვირგვინა კაი-ფინის აღებით, ეს მეტად დიდი ნაბიჯი იქნება პეკინისაკენ. ამ შემთხვევაში სუნ-იატ-სენის შვილის სუნ-ფოს (გზათა მინისტრი ხანკოუს მთავრობაში) რწმენა, რომ სამ თვეში რევოლიუციონური ჯარი პეკინში ამოჰყოფს თავსო,—არც ისე გადაჭარბებულ ოპტიმიზმად ჩაითვლება.

ამჟამად მოქმედების ცენტრად გადაქცეულია პროვინცია ხენანი. ეს პროვინცია მოსაზღვრეა პროვინცია ჩილის, სადაც მდებარეობს ჩინეთის მთავარი ქალაქი პეკინი. ჩილის პროვინცია არის ბუდე და მთავარი საყრდენობი ეგრედ წოდებული ჩილის პარტიისა, ანუ ჩინეთის უკიდურეს რეაქციონერების და მილიტარისტების ჯგუფისა ჩან-ძო-ლინის მეთაურობით. და აი, ეხლა სახალხო არმია ლამის არის მიადგეს ჩინეთის შავ ყორნების მთავარ ბუდეს.

კარგა ხანია არ მოსულა ცნობები ძიუძიან—ნან-ჩანის ფრონტიდან, სადაც რევოლიუციონური ჯარი ებრძვის ჩან-კაი-შის ჯარებს. მართალია, ჩან-კაი-შის მდგომარეობა საერთოდ ამჟამად არა სასიხარულოა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთით, კაი-ფინთან, მეტად რთული და მნიშვნელოვანი ოპერაციები ვითარდება, მაშინ ძიუ-ძიანის ბრძოლას არამც თუ არ აკლდება მნიშვნელობა, არამედ უფრო ემატება. იმის თქმა, რომ ოღონდ კი პეკინი ავიღოთ (სუნ-ფოს სიტყვები) და კანტონის, ნანკინის და შანხაის კვლავ დაბრუნება ადვილი იქნებაო,—ეს აზრი მეტად ოპტიმისტურ აზრად უნდა ჩაითვალოს. ხანკოუს დაკარგვა ამჟამად თვით კაი-ფინის ოპერაციაზე მეტად არასასურველ გავლენას იქონიებს და შეიძლება მთლად ჩაშალოს კიდეც იგი. ჩან-კაი-შიადის საშიშროება ჯერ კიდევ არ არის თავიდან მოშორებული და რევოლიუციონურ ჯარის ერთ-ერთ უახლოეს მიზანს სწორედ მისი მოსპობა შეადგენს.

ი. გედევანიშვილი.

ამერიკა კრედიტებს აძლევს საბჭოთა კავშირს

ეკონომიურ კონფერენციაზე უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთს შორის მწვავდება

ჩინეთის გლეხები სდევნიან უცხოელების აგენტებს-მისიონერებს

საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც ავსტრიაში გრძელდება კომუნისტების დევნა

ამერიკის კრედიტები საბჭოთა კავშირს

ნიუ-იორკი, 11 მაისი. გაძლიერებულ ინტერესს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისადმი მოწმობს ის, რომ ამერიკის **სხვა და სხვა ფირმები ცდილობენ ფინანსების მიწოდებას საბჭოთა დაკვეთებისათვის შეერთებულ შტატებში და ადგენენ სამისო პროექტებს.** გაზეთები იტყობინებიან, რომ **საერთაშორისო კომპანიამ „ძმები კოქსები“ მოახერხა, რომ ამერიკის კერძო ბანკების ერთ ჯგუფს კრედიტი მიეღო 5 მილ. დოლარის რაოდენობით საბჭოთა დაკვეთებისათვის შეერთებულ შტატებში.** ამ დღეებში მოსკოვში გაემგზავრა ამერიკის რამოდენიმე მსხვილ საფინანსო და საკომერციო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც გამოარკვევს, რამდენად შესაძლებელია საბჭოთა კავშირისათვის უფრო მნიშვნელოვან კრედიტების მიცემა, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს).

მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია

მენშევიკები ბურჟუაზიასთან ერთად

ჟენევა, 11 მაისი. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის სამრეწველო კომისიაში სოციალ-დემოკრატებმა საბჭოთა დელეგატის ლეპსეს სიტყვის გავლენით შეითვისეს ბრძოლის კილო და სურთ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს ისინიც მუშების ინტერესებს იცავენ. სოციალ-დემოკრატ დელეგატების მთელი რიგი სჩივოდა იმაზე, რომ სოციალისტები საკმაო რაოდენობით არ არიან წარმოდგენილი ქვე-კომისიების პრეზიდიუმებში. ბელგიელ სოციალისტმა **მერტენსმა**, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გაურბოდა სიტყვა „სოციალიზმი“-ს ხმარებას, დღეს კაპიტალისტებს უწოდა „ბატონები ბარიკადების იქით“. ამის შემდეგ მრეწველობის რაციონალიზაციის ქვე-კომისიის პრეზიდიუმში შეყვანილ იქნენ **ბალკური, ლამერსი და პიუ.** ერთა ლიგასთან არსებულ მრეწველობის მეცნიერულ ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარემ იტალიელმა **მიურუმ** განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია აქებს ყველაფერს, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება და აკრიტიკებს მთელს დანარჩენ მსოფლიოს. ასეთ პირობებში, ბიუროს აზრით, შეთანხმებული მუშაობა საბჭოთა დელეგაციასთან შეუძლებელია.

ჟურნალისტების წრეებში აღნიშნავენ, რომ **ბურჟუაზიული დელეგატები კმაყოფილი არიან მით, რომ სოციალ-დემოკრატებმა იკისრეს პოლემიკა საბჭოთა დელეგაციასთან და დასძინეს, რომ სამისოდ ჯილდოთ სოციალ-დემოკრატებს ადგილები დაუთმეს ქვე-კომისიების პრეზიდიუმებში.**

თავისუფალი ვაჭრობის ქვე-კომისიაში გრძელდება კამათი ინგლისელებსა და ფრანგებს შორის. ერთა ლიგის წრეები დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ კამათს ინგლისელებსა და ფრანგებს შორის, ვინაიდან საფრანგეთის დამარცხება ეკონომიურ კონფერენციაზე გავლენას იქონიებს განიარაღების მომავალ კონფერენციის ძალთა რეალურ განწყობილებაზე. პოლონეთის დელეგაცია ვერ ბედავს საფრანგეთის დელეგაციასთან სოლიდარულად გამოსვლას, ვინაიდან შიშობს, რომ ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს ლონდონის საქმიან წრეებზე. (ადს).

ლეიტონის განცხადება

ჟენევა, 11 მაისი. თავისუფალი ვაჭრობის ქვე-კომისიის სხდომაზე **ლეიტონმა** (ინგლისი) გაილაშქრა იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც **სერიუსმა** (საფრანგეთი) წარმოადგინა.

ლეიტონის აზრით, ეს რეზოლიუცია აკანონებს ფარულ პროტექციონიზმს. ლეიტონმა განაცხადა, რომ ამ რეზოლიუციის მიღებას ინგლისი შეაფასებს, როგორც კონფერენციის სრულ მარცხს, რომლის შესახებ იტყვიან, რომ იქ „სანტიმენტალობისა და ლაყბობის მეტს არაფერს აკეთებდენო“. ლეიტონის აზრით, ქვე-კომისია გადაჭრით უნდა მიემხროს პროტექციონიზმის შეზღუდვას, ვინაიდან კონფერენციის ამოცანაა მოგვცეს შეფასება და ნამდვილათ მიიმხროს საზოგადოებრივი აზრი.

დევისის (შეერთებული შტატები) აზრით, კონფერენციაზე არ შეიძლება მიღწეულ იქნეს შეხედულებების ერთგვარობა არც პროტექციის დასაცავად და არც მის წინააღმდეგ.

ლეიტონის გამოსვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან მასში გამოსჭვივის ინგლისის და საფრანგეთის უთანხმოება. ეს უთანხმოება სულ უფრო და უფრო იპყრობს კონფერენციის ყურადღებას. (ადს).

შეთანხმებლების მორიგი ღალატი

ოსლო, 11 მაისი. 9 მაისს ოსლოში მთავრობის მიერ დანიშნულ შუამავლის თავმჯდომარეობით შესდგა რკინის დამმუშავებელ, ლითონის, ტყვიის და სამთო-მადნო მრეწველობის მუშების მწარმოებლების წარმომადგენელთა თათბირი მუშებსა და მწარმოებლებს შორის მომხდარ კონფლიქტის მოსაგვარებლად. თათბირზე მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით მუშაობა განახლებული უნდა იქნეს მრეწველობის ზოგიერთ დარგში. ნორვეგიის კომპარტიის ორგანოს „ნორგეს კომუნისტბლად“-ის ცნობით, **მუშათა მასები ძალიან უკმაყოფილო არიან იმ დათმობებით, რომლებზედაც წავიდენ პროფმოძრაობის ბელადები მუშაობის განახლების პირობების საკითხში. ლოკაუტს ქვეშ მყოფ მუშების კრებებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუციები თათბირზე მიღწეულ შეთანხმების წინააღმდეგ და უარი სთქვეს მუშაობის განახლებაზე.** (ადს).

ამხ. დორიოს დასაცავად

პარიზი, 11 მაისი. პალატამ დაადგინა გადასწყვიტოს საკითხი დორიოსათვის დეპუტატის ხელშეუხლებლობის უფლების წართმევის შესახებ მის დაუსწრებლად. ნიშნად პროტესტისა ამ დადგენილების წინააღმდეგ პალატის კომუნისტურმა ფრაქციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„**კომუნისტი დეპუტატები**, რომლებიც **დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ მსოფლიოს მუშების, გლეხების და ჯარისკაცების გაერთიანებული ღონისძიება მოუღებს ბოლოს იმპერიალიზმს, სრულ სოლიდარობას უცხადებენ ამხანაგებს: დორიოს, მარტის, ვაიან-კუტიურიეს, დიუკლოს და კლამაშურს და კოლექტიურად თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას მათი წერილებისათვის, რომლებიც გახდენ მათი დევნის მიზეზი**“.

დეკლარაციას ხელს აწერენ კომუნისტური ფრაქციის ყველა წევრები, პასუხისგებაში მიცემულთა გამოკლებით. (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

გლეხები ხუცების წინააღმდეგ

შანხაი, 11 მაისი. ინგლისურ გაზეთების ცნობით, **ხენანის პროვინციაში გლეხებმა დააპატიმრეს ქრისტიანი მისიონერები,** რომელთაც ბრალდებათ კავშირი მილიტარისტებთან. **გლეხებმა მოჰკლეს ერთი პატერი კონტრ-რევოლიუციონურ პროკლამაციების გავრცელებისათვის.** ბევრი ქრისტიანული სკოლა გლეხთა კავშირების დახმარებით დაიკავეს ჯარებმა; ქრისტიანული სკოლები გადაკეთებულია ყაზარმად, სამხედრო აკადემიად და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლად. (ადს).

ტოკიოში უკმაყოფილონი არიან

ტოკიო, 11 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ჩინეთში გაემგზავრა ალბათ იმ მიზნით, რომ ადგილობრივ შეისწავლონ მდგომარეობა. ტოკიოში ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს ერთგვარ უკმაყოფილებას ჩან-კაი-შის პოლიტიკით (ადს).

მემარცხენე გომინდანის ბელადები

ჩინეთის ეროვნული პარტიის გომინდანის დამაარსებლის სუნ-იატ-სენის ქვრივი

სუნ-იატ-სენის ქვრივი არის ჩინეთის ქალთა მოძრაობის ბელადი და ეროვნული მთავრობის უმაღლეს ორგანოს პოლიტიკურ საბჭოს წევრი.

ტან-ეი-კაი

ეროვნული მთავრობის (უხანის) კომიტეტის წევრი

ჩან-კაი-შის სამი „პრინციპი“

ტოკიო, 12 მაისი. ჩინეთის „ეროვნული სირცხვილის“ დღეს ჩან-კაი-შიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ეროვნული (ნანკინის) მთავრობის პოლიტიკა სამ პრინციპს ემყარება: იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის დამხობა, მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან და მუშა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება. „პირველი და მესამე პრინციპი, სთქვა ჩან-კაი-შიმ, არ შეიძლება შეიცვალოს არავითარ შემთხვევაში. რაც შეეხება მეორეს, სანამ საბჭოთა კავშირი ითანამშრომლებს ჩვენთან იმპერიალიზმთან ბრძოლის და თანასწორობის საფუძველზე, ჩვენ არ შევსცვლით ჩვენს დამოკიდებულებას მასთან. გომინდანის წმენდა არ მოახდენს გავლენას ჩვენს დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირთან.

შემდეგ ჩან-კაი-შიმ გაილაშქრა ბოროდინის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი განდევნა. ჩან-კაი-ში შეეხო ნანკინის ძალაუფლების შექმნის აუცილებლობას და განაცხადა:

„ხანკოუს რეჟიმის გაგრძელება იქნებოდა ბუნტი გომინდანის წინააღმდეგ. (ადს).

ამხ. ლაო იუნ-ლი

ჩან-ძო-ლინის ბანდის მიერ პეკინში წამებით მოკლული. ამხ. დაო დაიბადა ჩჟილის პროვინციაში 1903 წელს. პეკინის უნივერსიტეტში სტუდენტათ ყოფნის დროს, ის აქტიურ მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდობას შორის. უკანასკნელ დროს ის იყო კომპარტიის პეკინის კომიტეტის წევრი

ჯარისკაცთა განიარაღება

შანხაი, 12 მაისი. ბაი-ცუნ-ჩის მთავარ შტაბთან მყოფ ჯარების რაზმი, ბაი-ცუნ-ჩის განკარგულებით, შეიჭრა მესამე ბრიგადის პირველ და მეორე პოლკების ყაზარმებში. პირველ და მეორე პოლკების ჯარისკაცთა განიარაღების დროს წაღებულია მრავალი რევოლვერი, თოფი, ხიშტი, ამუნიცია და სხ. დაპატიმრებულია ბევრი ჯარის კაცი და ოფიცერი

ალბანეთის დიქტატორი

ვენა, 11 მაისი. ბელგრადის გაზეთის „პოლიტიკა“-ს ცნობით, ალბანეთის პრემიერმა ახმედ-ზოგუმ ორ მაისს ტირანში მიიწვია ჩრდილოეთ-ალბანეთის ტომების ბელადები ამ ტომების მოთხოვნილებათა განსახილველად. ახმედ-ზოგუმ დაარწმუნა ბელადები, რომ ის აძლევს მათ თავიანთ ტომებთან უვნებლად დაბრუნების გარანტიას. ამის შემდეგ, ტირანში მიპატიჟებულ ბელადების შესახებ არ არის არავითარი ცნობები, რაც შიშს იწვევს ჩრდილოეთ-ალბანეთის ტომებს შორის. **ხმების თანახმად, ყველა ბელადები დაპატიმრებული არიან და ალბანეთის მთავრობა აპირებს მათ გასამართლებას აჯანყების მოწყობისათვის.** (ადს).

უცხოეთის პრესა

პარიზის თუ... ვენის კომუნა.

რას ამბობს კაუცკი

ამ სამი კვირის წინად ავსტრიაში საპარლამენტო არჩევნები მოხდა. სოციალ-დემოკრატებმა წინანდელზე მეტი ხმა მიიღეს, ორიოდე დეპუტატიც მეტი გაიყვანეს. თვით ვენაში, ქალაქის თვითმმართველობაში მათ უმრავლესობა შერჩათ, როგორც ეს წინედაც იყო, თუმცა საერთოდ სახელმწიფოში, მის პარლამენტში, უმცირესობაში დარჩენ.

ამნაირად, როგორც ვსთქვით, ვენის ქალაქის თვითმმართველობაში ისინი გაბატონებული არიან.

— ეს თუ გინდა ასე, მაგრამ პარიზის კომუნა აქ „რა შუაშიაო“,—იკითხავს მკითხველი.

აი საქმე რაშია.

ავსტრიელ სოციალ - დემოკრატების გაზეთში („არბაიტერ ცაიტუნგ“, 1 მაისი) **კარლ კაუცკიმ** წერილი მოათავსა პროლეტარულ დღესასწაულის აღსანიშნავად ამ წერილში მან შეადარა ერთმანეთს „პარიზისა და ვენის კომუნა“ (ასეთია თვით წერილის სათაურიც) და სთქვა, რომ, თუმცა ყველა ქვეყნის სოციალისტები აღტაცებით შეხვდენ პარიზის კომუნას 1871 წელს და ყოველ წელს ვდღესასწაულობთ მის დაბადებას, მაგრამ

> „დღევანდელ ვენის კომუნა ჩვენ უნდა ვიდღესასწაულოდ როგორც პირველი ჭეშმარიტად მუშური მთავრობა, **რომლის მსგავსი მთელს ქვეყანაზე არ არსებობს**, რომელიც დაყრდნობილია დემოკრატიულ საფუძველზე და დიდი ხანია მოქმედებს“-ო (ხაზი ყველგან ჩვენია. მეპრესე).

ამნაირად „პირველი ჭეშმარიტად მუშური მთავრობა“, რომელიც განაგებს ევროპის ბურჟუაზიის ერთ-ერთ სატახტო ქალაქს, სადაც დაცულია ამ ბურჟუაზიის კერძო საკუთრება, სადაც შენარჩუნებულია ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძველი აპარატი, სადაც დეპუტატები განაგრძობენ თავიანთი საქმიანობას (როგორიც არ უნდა იყოს ეს საქმიანობა) შემდეგ არჩევნებამდე, ე. ი. დაცულია საპარლამენტო წესები წინააღმდეგ პარიზის კომუნის წესებისა, სადაც პოლიცია აღჭურვილია ყველა ბურჟუაზიული ქალაქების პოლიციის ფუნქციებით და სხვა და სხვა,—ასეთი „მუშური მთავრობა“, ასეთი „კომუნა“. „ვენის კომუნა“ შედარებულია კაუცკის მიერ პარიზის კომუნასთან, მათ შორის პირველს აქვს მიცემული უპირატესობა და ფაქტიურად სულელად არის გამოცხადებული რევოლიუციონერების რამოდენიმე თაობა, მართლა აღტაცებით რომ იგონებდენ და იგონებენ დღესაც პარიზის დიდ კომუნას, რომელმაც „ცას შეუტია“, რომლის კლასიკური შეფასება მოგვცა მარქსმა და რომელზეც ენგელსი სწერდა შემდეგ სიტყვებს ფილისტერების გასაგონად: იცით, ბატონებო, როგორ გამოიყურება დიქტატურა? დააკვირდით პარიზის კომუნას—ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურაო.

ჩვენ ვიცით, რომ „არბაიტერ ცაიტუნგ“-ის ფილისტერს ეს არ ეჭაშნიკება. ამიტომ არის, რომ თავის საპირველმაისო წერილში ის განაგრძობს:

> „ჩვენი სიხარული 24 აპრილის (**არჩევნების დღეა**) გამარჯვების შესახებ არ უნდა შენელდეს იმით, რომ ეს გამარჯვება ჩვენ სრულად უსისხლოთ მოვიპოვეთ, არა უხეში ძალის **(der brutalen gewält)** უპირატესობამ მოგვანიჭა ჩვენ ის, არამედ ჩვენმა **დადებითი მუშაობამ**“.
>
> „ვენის კომუნა გვიჩვენებს ჩვენ იმ გზას, რომლითაც საერთაშორისო სოციალიზმი დაიპყრობს ქვეყნიერებას“-ო.

„უხეში ძალა“,—აი რას გაურბის ფილისტერი, რომელსაც თავი მოაქვს დღესაც მარქსისტად, აი რას დაუფეთებია უბედური ავტორი „სოციალური რევოლიუციის“, „გზა ძალაუფლებისაკენ“-ის და სხვა ძველი ნაშრომების, სადაც ვერ შეხვდებით, მაგალითად, ისეთ რენეგატულ აზრს, რომლითაც დაგვირგვინებულია მისი წერილი ავსტრიელ მენშევიკების ზემოხსენებულ გაზეთში:

რას წარმოადგენს ეს „გზა“, რომლითაც სოციალისტებმა (მენშევიკებზეა ლაპარაკი) უნდა „დაიპყრონ“ (ნუ შეგეშინდებათ!) ქვეყანა. ეს არის გზა საპარლამენტო ბრძოლის, გზა, რომელმაც უნდა ააცდინოს მენშევიკები „უხეში ძალის“ ხმარებას. რომ სწორედ ასეთია გზა მენშევიკების,—ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ დაიპყრობენ თუ არა ისინი ქვეყნიერებას,—ამის შესახებ ჩვენ განსაკუთრებული აზრის გახლავართ. „ცოტა“ დააკლდა მაკდონალდს, რომ ამ „მეთოდით“ „დაეპყრო“ (თუმცა არა ქვეყნიერება, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი მისი ნაწილი, როგორიც არის) ბრიტანეთის იმპერია. მაგრამ ეს „მეთოდი“ იყო ერთი უმთავრეს (ობიექტიურ) მიზეზთაგანი, რატომაც მისი „მუშათა მთავრობა“ შეუდგა არა მუშური, არამედ ინგლისის ბურჟუაზიის საქმეების კეთებას. რეალური ძალა (**რომელიც მხოლოდ რეალური ძალითვე დაიმსხვრევა**) ხელში შერჩა ბურჟუაზიას, რომელიც **ზოგიერთ** თავის საქმეებს აკეთებინებდა მაკდონალდის მთავრობას.

ეს არის გზა „ვენის“ და არა პარიზის კომუნის, გზა კაუცკის, მაკდონალდის, მენშევიკების და არა მარქსის, ლენინისა და კომუნისტების.

პოლონეთი ამერიკის ტყვეობაში

ამერიკის სესხი

ვარშავა, 11 მაისი. გაზეთ „გლოს პრავდა“-ს ცნობით, **პოლონეთის მთავრობამ საბოლოოდ დაადასტურა შეთანხმება ამერიკასთან სესხის მიღების შესახებ.** ამ საკითხზე საბოლოო მოლაპარაკებისათვის პარიზში მიემგზავრება პოლონეთის მთავრობის კომისია. (ადს).

სიმშილობა ციხეში

ვარშავა. 11 მაისი. ლვოვის ციხეში მყოფმა პოლიტიკურმა პატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადეს. (ადს).

იმპერიალისტების შურისძიება

1000 მეამბოხეს გადასახლება

ამსტერდამი, 11 მაისი. **ინდონეზიაში მომხდარ აჯანყების მონაწილეთა რიცხვი, რომელთაც ახალ გვინეაში გადასახლებას უპირებენ, უდრის 1000 კაცს.** დამთავრდა სამხედრო ოპერაციები აჯანყებულების წინააღმდეგ სოლოკის რაიონში, სადაც აჯანყებამ ძალზე ფართო ხასიათი მიიღო. ამ რაიონში დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი 230 კაცს უდრის. (ადს).

მოსავალი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 11 მაისი. ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მიწადმოქმედების სამინისტროს ცნობით, საშემოდგომო ნათესებიდან მოსალოდნელ ხორბლის მოსავალი შეერთებულ შტატებში უდრის 594 მილ. ბუშელს (ამერიკული ბუშელი უდრის დაახლოვებით 27,2 კილოგრამს), ე. ი. 33 მილ. ბუშელით ნაკლებია შარშანდელზე (ადს).

უკანასკნელი ცნობები

დამოკიდებულება საბჭოთა დელეგაციისადმი

ბერლინი, 12 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება: „რუსები ჟენევაში ევროპის და ამერიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა მეურნეობისათვის კრედიტების მიცემის შესახებ. შეიძლება უკვე რამოდენიმედ კმაყოფილი ვიყოთ როგორც მოსამზადებელი მუშაობით, აგრეთვე იმ შთაბეჭდილებით, რომელიც რუსების განცხადებებმა მოახდინეს. (ადს).

შეკითხვა ჰოლანდიის პალატაში

ბერლინი, 12 მაისი. ჰოლანდიის დეპუტატთა პალატაში კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა ორი შეკითხვა: იმ სისხლისღვრის შესახებ, რომელიც ჩინელ მოსახლეობას ჰოლანდიელმა ხელისუფლებამ მოუწყო კუნძულ ბორნეოზე, და ჰოლანდიის პეკინელ ელჩის, უდენდეიკის მოქმედების შესახებ საბჭოთა საელჩოზე ჩან-ძო-ლინის პოლიციის თავდასხმის დროს. (ადს).

ყოფ. ხედივის სარჩელი

ანგორა, 11 მაისი. ინგლის-ოსმალური შერეული სასამართლო სტამბოლში განიხილავს სარჩელს, რომელიც ეგვიპტის ყოფილმა ხედივმა წარუდგინა ინგლისის მთავრობას. ხედივი მოითხოვს 3 მილ. გირვ. სტერლინგს იმ ქონების ასანაზღაურებლად, რომელიც მას ჩამოერთვა ომის დროს (ადს).

სასჯელი 1 მაისისათვის

ანგორა, 11 მაისი. სტამბოლის ტრამვაის ადმინისტრაციამ დაითხოვა 67 მუშა იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს 1 მაისის დღეს მუშაობაზე. (ადს).

ყველგან ზედმეტი

ვარშავა, 12 მაისი. პოლონეთის მთავრობამ მილიუკოვს უარი უთხრა პოლონეთში შეშვებაზე. (ადს).

სიცივე ევროპაში

ბერლინი, 11 მაისი. ცენტრალურ ევროპაში სიცივე დაიწყო. მთელ რიგ ადგილებიდან იუწყებიან, რომ მოთოვა. ცოტა მოთოვა ბერლინშიაც (ადს).

გადაფრენა ალპებზე

ბერლინი, 11 მაისი. გერმანულ საზოგ. „ლუფტ-განსა“-ს ჰაეროპლანი მიუნხენიდან მილანში გადაფრინდა 2 ს. 15 წ.; ჰაეროპლანმა ალპებზე გადაიარა 4.000 მეტრის სიმაღლე (ადს)

ჰაეროსტატის გაფრენა

მოსკოვი, 12 მაისი. საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმმა გამოცხადებული პრემიის გამო მიიღო რამოდენიმე დეპეშა, რომელნიც ჰაეროსტატის ფრენის შესახებ იუწყებიან. კოლოგრივიდან ჰაეროსტატი გაფრინდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და 2 მაისს გაიარა ტროიცკო-პეჩერსკისა, ჩერდინის და პერმის ქალაქების გვერდით. ფიქრობენ, რომ ჰაეროსტატი აღმოსავლეთ ციმბირში დაეშვა მდ.
ტომსკი, 12 მაისი. ტომსკის საოლქო ავია-
ობის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთით. (ადს).
ქიმმა გამოარკვია, რომ ჰაეროსტატი, რომელიც 30 აპრილს გაფრინდა სადგ. კუნცევიდან, 8 მაისს გადაფრინდა ტომსკზე. ამის მნახველები საუბარში აცხადებენ, რომ ჰაეროსტატი მიფრინავდა მაღლა და ძალიან ნელა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. (ადს).

კომუნისტების დევნა

ვენა, 11 მაისი. კომუნისტების საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს საარჩევნო აგიტაციის დროს, არჩევნების შემდეგ გრძელდება და თანდათან ძლიერდება. ვენის მელითონეთა კონფერენციაზე ავსტრიის პარლამენტის დეპუტატმა სოციალ-დემოკრატ იანეჩეკმა (მელითონეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ) განაცხადა: „საჭიროა პროფკავშირები საბოლოოდ გაწმენდილ იქნეს კომუნისტებისაგან“.

„როტე ფანე“ (ავსტრიის კომპარტიის ორგანო) განდევნილ უნდა იქნეს ქარხნებიდან“.

ვერხალოვსკის ქარხნის მელითონეთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე კომუნისტ ციგლერმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იანეჩეკის სიტყვა. კრებამ მას არ დაამთავრებია სიტყვა და ციგლერი იძულებული შეიქნა დაეტოვებია სხდომის დარბაზი. საბჭოთა კავშირში მყოფ ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრმა **პიტსლმა** (სოციალ-დემოკრატი) **მოითხოვა, რათა კონფერენციამ ავსტრიის მელითონეთა კავშირს მიმართოს წინადადებით საბჭოთა კავშირის მელითონეებთან მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე.** კონფერენციამ წინადადება უარყო. მელითონე **ბრატშმა** (სოციალ-დემოკრატი) განაცხადა, რომ კონფერენციის მსვლელობამ ის დაარწმუნა, რომ კონფერენციაზე არ შეიძლება სიმართლის თქმა. ამისათვის კონფერენციამ ბრატშს წაართვა სიტყვა. (ადს).

ბრძოლა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 11 მაისი. მთავრობის ჯარები შტატ ხალისკოში აწარმოებენ ბრძოლას აჯანყებულებთან. **შტატ ხალისკოს სასოფლო თემთა ლიგის ყრილობამ დაადგინა, რომ თავისი ორგანიზაციები გადასცეს სამხედრო ხელისუფლებას კლერიკალებთან ბრძოლის წარმოებისათვის. ყრილობა მუშებსა და გლეხებს მოუწოდებს შექმნას მთლიანი ფრონტი და მოითხოვოს მემამულეთა თეთრი გვარდიის განიარაღებას.**

ამხ. ველიკსინგის

გამგზავრება

ულან-ბატორი, 11 მაისი. 11 მაისს ულან-ბატორიდან ვერხნეუდინსკში ჰაეროპლანით გაემგზავრენ მონგოლეთის ხალხოსნურ - რევოლიუციონური პარტიის მდივანი **ველინგსინგი** და ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გამგე დუგარჯა. ვერხნე - უდენსკიდან ისინი გაემგზავრებიან მოსკოვში. (ადს).

დემონსტრაციის აკრძალვა

ამსტერდამი, 11 მაისი. ჰოლანდიის ოთხ მთავარ ქალაქში—ამსტერდამში, როტერდამში, ჰააგაში და უტრეხტში აკრძალულ იქნა სოციალ-დემოკრატების დემონსტრაცია კომუნისტური ტენდენციებით. (ადს).

პროფკავშირების დასაცავათ

ლონდონი, 11 მაისი. ვინაიდან თემთა პალატის იმ კომისიის სხდომა, რომელშიაც ირჩევა კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ, შესაძლოა გაგრძელდეს მთელი ღამის განმავლობაში, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა დაწესებულ იქნეს მუშათა პარტიის დეპუტატების შეცვლის სქემა იმ მიზნით, რომ ერთი წუთითაც არ შეწყდეს ოპოზიციონური გამოსვლები. კონსერვატორებმაც გადასწყვიტეს შემოიღონ შეცვლის სისტემა. (ადს).

350 შესწორება

ლონდონი, 11 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: „თემთა პალატის კომისია შეუდგა იმ 350 შესწორების განხილვას, რომლებიც შეიტანეს კანონპროექტში პროფკავშირების შესახებ“.

დემონსტრაცია თეირანში

თეირანი, 12 მაისი. მეჯლისის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო სახელმწიფო მოსამსახურეთათვის მინიმალური ჯამაგირის შემცირების პროექტი. სამინისტროების აღშფოთებულმა მოსამსახურეებმა შესწყვიტეს მუშაობა და ქუჩებში გამოვიდენ. 700-მდე დემონსტრანტი გაემართა მეჯლისისაკენ, მაგრამ ისინი ცხენოსანმა რაზმმა გაფანტა. მოსამსახურეთა დელეგაცია მიიღო პრემიერ-მინისტრმა მუსტოუფიმ, რომელმაც დელეგაციას განუცხადა, რომ პროექტი არ იქნება განხორციელებული. (ადს).

ამხ. რიკოვის სიტყვა

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა ყრილობაზე

საბ. და სავაჭ. დაწესებ. მუშაკთა კავშირის როლი და ამოცანები აპარატის რაციონალიზაციის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში

მოსკოვი, 12 მაისი. საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა მე-7-ე ყრილობაზე, რომელიც 10 მაისს გაიხსნა, სიტყვით გამოვიდა ამხ. რიკოვი.

„ჩვენს სახელმწიფო, სამეურნეო და სავაჭრო აპარატებში — სთქვა ამხ. რიკოვმა — მუშაობს გაცილებით უფრო მეტი ხალხი, ვინემ ეს საჭიროა საქმის ინტერესებისათვის. ის თანხები, რომლებიც იხარჯება მათ შესანახად შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოო მიზნისათვის. აჰ ხარჯების შემცირება და მართვა - გამგეობის საქმის რაციონალიზაცია აუცილებლად დაკავშირებულია მოსამსახურეების რიცხვის შედარებით შემცირებასთან. ეს მუშაობა — სახელმწიფოს და სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეების მართვა - გამგეობის აპარატის ზედმეტ ხარჯების შემცირება, — შესრულებული უნდა იქნეს უმთავრესად თქვენი კავშირის მიერ. რაც შეეხება უმუშევრებს, კავშირის იმ წევრებს, რომლებმაც სამუშაო დაჰკარგეს მართვა - გამგეობის აპარატების გაუმჯობესების პროცესში, ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ შრომის ამა თუ იმ დარგისათვის ზედმეტ მუშაკებს მივცეთ ახალი კვალიფიციური მომზადება, გავაფართოვოდ მათი გადამზადების საქმე, რომ ისინი გამოსადეგი იქნენ მეურნეობის ისეთ დარგებისათვის, რომელთაც განვითარების უფრო კარგი პერსპექტივები აქვთ. სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისა და მისი რაციონალიზაციის საქმეში თქვენი კავშირი უნდა წარმოადგენდეს არა იმ ორგანიზაციას, რომლის მიმართ კეთდება ყოველივე ეს, თქვენი კავშირი თვითონ უნდა გახდეს მთელი ამ მუშაობის ყველაზე აქტიურ მონაწილედ. აქედან ნათელია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვთ საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეებს და მათ პროფკავშირებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საერთო სისტემაში. ჩვენმა სახელმწიფო აპარატმა თავისი საკუთარი ცოცხალი მაგალითით უნდა ჩაუნერგოს მასებს შეგნებაში მათი უფლებები საზოგადოებრივ მშენებლობაში. კანონების გატარებისა და განხორციელების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და სამეურნეო აპარატს, თქვენი კავშირის მონაწილეობის შესაძლებლობა საერთო სოციალისტურ მშენებლობაში ძალიან დიდია. ამჟამად მორიგი ამოცანა — ეს არის ბრძოლა ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ. ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ კოოპერაციაში, სახელმწიფო ვაჭრობაში და მთელს ჩვენს საბჭოთა აპარატში, იცნობენ ამ საქმეს საკუთარი გამოცდილებით. თქვენი კავშირი უკვე დაადგა ორგანიულ შემოქმედების და კომუნისტურ პარტიასთან და მთავრობასთან თანამშრომლობის გზას აპარატის რეორგანიზაციის და ჩვენი საბჭოთა მუშაობის საერთო გაუმჯობესების საქმეში.

ეხლა საზღვარ - გარეთ მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული ეკონომიური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, სხვათა შორის, ერთმანეთს ეკამათებიან საზოგადოების ორგანიზაციის ორი სისტემის წარმომადგენლები ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციისა და იმ კაპიტალისტურ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელიც ჯერ კიდევ გაბატონებულია ყველა დანარჩენ სახელმწიფოებში. ჩვენი ამხანაგები ამტკიცებდენ, რომ კაპიტალისტური სისტემა თავს ვერ დააღწევს იმ ჩიხს, რომელშიაც ის მოექცა თავისი სამეურნეო მუშაობის მეთოდების წყალობით, რომ მხოლოდ ახალი სახელმწიფოს და ახალი სამეურნეო სისტემის შექმნა — ჩვენი პრინციპის მიხედვით—უზრუნველყოფს ყველა იმ სიძნელეების თავიდან აცდენას, რომელთაც ამჟამად განიცდის კაპიტალისტური საზოგადოება, ეს დავა გადაწყდება, რასაკვირველია, არა დისკუსიით, არამედ მით, თუ ჩვენ დავაგროვებთ თანხების საკმაო რაოდენობას და მოვაწყობთ მეურნეობას ისე, რომ მოვახდინოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მოვსპოთ სიღარიბე, უმუშევრობა, გაუნათლებლობა და ჩამორჩენილობა, თუ საბოლოოდ მოვაწყობთ სრულ სოციალისტურ საზოგადოებას, თუ შევძლებთ შემდეგში ჩვენი გამოცდილების კონკრეტიული მაგალითით დახმარება აღმოუჩინოთ სოციალისტურ მოძრაობას მთელს მსოფლიოში. მხოლოდ ამ გზით გადაწყდება დიდი ისტორიული დავა ორ სისტემას შორის — ოქტომბრის შემდგომ, საბჭოთა და ძველ, ბურჟუაზიულ სისტემებს შორის. ამ დავაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის იმ მშრომელებსაც, რომლებიც თქვენს კავშირში არიან გაერთიანებული“. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ზინოვიევის ახალი გამოსვლა

პარტიის წინააღმდეგ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 12 მაისის დადგენილება ამხ. ზინოვიევის დეზორგანიზატორული გამოსვლის შესახებ.

მოსკოვი, 12 მაისი. ამხ. ზინოვიევის გამოსვლა არაპარტიულ კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო „პრესის დღე“-ს გამო (9 მაისს) ცნობილ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მის დადგენილებათა და აგრეთვე „პრავდა“-ს წინაღმდეგ გასალაშქრებლად, რომელიც გაუგონარია საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში და სავსებით დაუშვებელი და აუტანელია; იგი არღვევს ყველა იმ ვალდებულებებს, რომელნიც პარტდისციპლინის დაცვის შესახებ იკისრა ოპოზიციამ და მასთან ერთად ამხ. ზინოვიევმა. ეს საქმე ამხ. ზინოვიევის დეზორგანიზატორული გამოსვლის შესახებ განსახილველად გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. (ადს).

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის 11 მაისის დადგენილება

მოსკოვი, 12 მაისი. მოსკოვის კომიტეტის ბიურო, განიხილა რა მან ამხ. ზინოვიევის გამოსვლა უპარტიოთა კრებაზე, გამოსვლა, რომელიც მიმართული იყო პარტიის წინააღმდეგ,—აღნიშნავს: ამხ. ზინოვიევმა იცოდა, რომ კრება უპარტიო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოანდომა როგორც თავისი შეხედულებების, ისე სხვა ოპოზიციონერების შეხედულებათა დასაბუთებას და ამტკიცებდა, რომ კომინტერნის და ჩვენი პარტიის პოლიტიკა შემცდარი არის. მოსკოვის კომიტეტის ბიურო ამხ. ზინოვიევის გამოსვლას სცნობს დეზორგანიზატორულ და ანტიპარტიულ გამოსვლად, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ პროლეტ. მასებში შეარყიოს ნდობა პარტიის ხელმძღვანელობისადმი, პარტიის ცეკასადმი და „პრავდა“-ს რედაქციისადმი. ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ აუცილებელია ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობა, მაგრამ ნამდვილად კი თავისი სიტყვით, ძირს უთხრის ამ მთლიანობას.

მოსკოვის კომიტეტის ბიურო სთხოვს პარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რომ ამხ. ზინოვიევი მისცეს პასუხისგებაში პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის (პარტიის წინააღმდეგ გამოსვლა უპარტიოთა კრებაზე) და განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი არის პარტიის არა უბრალო წევრი, არამედ პარტიის ცეკას წევრი (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის ბიუროს 11 მაისის დადგენილება

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო, შეიტყო რა მან ამხ. ზინოვიევის გამოსვლა უპარტიოთა კრებაზე მოსკოვში „პრავდა“-ს და მუშათა პრესის იუბილეს გამო, გამოსვლა, რომელშიც ამხ. ზინოვიევი ილაშქრებოდა ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს და ცეკას წინააღმდეგ, —ამხ. ზინოვიევის ამ ნაბიჯს სცნობს უდიდეს ბოროტმოქმედებად პარტიის წინააღმდეგ. თავისი გამოსვლით ამხ. ზინოვიევმა უხეშად დაარღვია წარსული წლის ოქტომბერში მთელი ოპოზიციონური ბლოკის სახელით გაკეთებული განცხადება ფრაქციულ მუშაობაზე უარის თქმის შესახებ.

ამხ. ზინოვიევის გამოსვლა წარმოადგენს ახალ ნაბიჯს ოპოზიციონური ბლოკის ბრძოლისა პარტიის წინააღმდეგ ყოვლად დაუშვებელ ფორმებში, პარტიის დისციპლინის ახალ გაუგონარ დარღვევას და პარტიის მთლიანობის შერყევის ახალ ცდას. უპარტიოთა შორის შინაპარტიული უთანხმოების საკითხების გადატანა წარმოადგენს პარტიის წინააღმდეგ უპარტიოთა მობილიზაციის ცდას პარტიის შიგნით გაკოტრებულ ოპოზიციურ ბლოკისათვის ზურგის გასამაგრებლად. ეს არის პარტიისაგან გამოთიშვისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ლენინგრადის კომიტეტის ბიურო მიმართავს ცეკას თხოვნით დაუყოვნებლივ განიხილოს ამხ. ზინოვიევის საქციელი და მიიღოს გადამჭრელი ზომები ბოლშევიკური ცეკას წევრების მხრით პარტიული დისციპლინის ასეთი დარღვევის წინააღმდეგ (ადს).

უკრაინის ეკონომიური კავშირი ოსმალეთთან

ხარკოვი, 12 მაისი. ხარკოვში სტუმრად მყოფი სტამბოლის დელეგაციის საპატივსაცემოდ შესდგა უკრაინა-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის და აღმოსავლეთის მცოდნეობის სრ. უკრაინის სამეცნიერო ასოციაციის კრება.

უკრაინა-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ამხ. პოლიაკოვმა აღნიშნა, რომ უკრაინის სავაჭრო კავშირი ოსმალეთთან იზრდება. პალატის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა უკრაინის ეკონომიური კავშირის გაძლიერება ოსმალეთთან. ოდესაში ეწყობა უკრაინის მრეწველობის იმ საქონლის ექსპონანტების გამოფენა, რომელნიც გააქვთ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

უკრაინის ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. კოლომეიცევმა აღნიშნა, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავის ამოცანად სთვლის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ეკონომიურ დაახლოებას უკრაინისა და ოსმალეთს შორის. ძლიერი მაცივარი, რომელიც ამჟამად შენდება ოდესაში, და სხვა სპეციალური მოწყობილობანი ემსახურებიან იმ მიზანს, რომ გაძლიერდეს სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა მუხედინ-ბეიმ, რომელმაც ხარკოვის საზოგადოებას და უკრაინის მთავრობის წრეებს გადაუხადა მადლობა გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ოსმალეთის საზოგადოების და მთავრობის წრეები დაინტერესებული არიან უკრაინის მრეწველობის განვითარებაში და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან უკრაინის ექსპორტს (ადს).

ფინსახკომის თვითდაბეგვრის შესახებ

მოსკოვი, 12 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განმარტა, რომ თვითდაბეგვრისაგან მიღებული თანხები შეიძლება დახარჯულ იქნეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულების თანახმად. თვითდაბეგვრა შეიძლება გატარდეს არა მარტო სასოფლო საბჭოში გაერთიანებულ მოსახლეობის საჭიროებისათვის, არამედ აგრეთვე ცალკე სოფლებისა და მეურნეობათათვის, რომლებიც სასოფლო საბჭოში შედიან. საარჩევნო უფლებებს მოკლებულ პირებს იმ კრებებზე, რომლებიც თვითდაბეგვრის საკითხს არჩევენ, ხმის მიცემის უფლება არა აქვთ. თვითდაბეგვრისაგან მიღებული თანხები არ შედის სოფლის ბიუჯეტში და იმყოფება მუდმივ კონტროლის ქვეშ. სათემო და რაიონულ აღმასკომებს უფლება აქვთ გააუქმონ მოსახლეობის გადაწყვეტილებები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს, ან მიზანშეუწონელი არიან. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კალიის საფრთხე მოსპობილ იქნება

მოსკოვი, 12 მაისი. ჩრდილოეთ კავკასიიდან კალიის გამრავლების შესახებ მიღებულ ცნობების გამო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მინდვრების დაცვის განყოფილებამ განმარტა, რომ ეს არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. იმ რაოდენობით, რომლითაც ეხლა არსებობს კალია, ის ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს ნათესებს, ხოლო კალიის მასიური გაჩენის წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილები კარგად არის მომზადებული და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ **მიმდინარე წელს კალიის საფრთხე დასაწყისშივე იქნება მოსპობილი.** (ადს).

სამეცნიერო აკადემიის ახალი პრეზიდენტი

მოსკოვი, 12 მაისი. **სამეცნიერო აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის პრეზიდენტად მომავალი ხუთი წლის ვადით ხელ-ახლა არჩეულ იქნა აკადემიკოსი კარპინსკი.** (ადს).

მანქანები უცხოეთიდან

მოსკოვი, 12 მაისი. დაბრუნდა „ლენინგრად-ოდეჟდის“ დირექტორი ამხ. ბოგაჩევი, რომელიც გაგზავნილი იყო ამერიკაში, სადაც შეისყიდა ჩვენი სამკერვალო მრეწველობისათვის ახალი სისტემის 700 საკერავი მანქანა. ამერიკის ფირმებმა მოგვცეს 50 პროცენტი შეღავათი და აგრეთვე კრედიტები 300.000 მანეთის რაოდენობით. (ადს).

ქართული ლიტოგრაფიული ქვა

მოსკოვი, 12 მაისი. 12 მაისს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მის განმგებლობის ქვეშ მყოფ ორგანოებს არ გასცენ ნებართვები საზღვარ-გარეთიდან ლიტოგრაფიული ქვების შემოტანაზე, ვინაიდან **მოსკოვის სტამბებში საქართველოს ლიტოგრაფიული ქვის გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო.** (ადს).

მოსავალის მდგომარეობა

მოსკოვი, 12 მაისი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, წრევანდელი გაზაფხული ხელსაყრელია ნათესებისათვის. თვით იმ რაიონებში, სადაც შემოდგომიდან მოსალოდნელი იყო ნიადაგის გაშრობა, სინოტივის მარაგი ეხლაც საკმაოა. ნათესები წარმატებით ხარობენ. (ადს).

მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენება

მოსკოვი, 12 მაისი. ამხ. კუიბიშევმა წინადადება მისცა ყველა ტრესტებს მიაწოდონ შრომის სახალხო კომისარიატს ცნობები, რამდენი მუშა-ხელი თავისუფლდება მათ წარმოებებში რაციონალიზაციასთან დაკავშირებით და წარუდგინონ თავიანთი მოსაზრება მათი განაწილების შესახებ. (ადს).

პოლონეთის ჯაშუშის დახვრეტა

ხარკოვი, 12 მაისი. ხარკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო სესიამ პოლონეთის ჯაშუშს იან კაზლოვსკის მიუსაჯა დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. (ადს).

ფასების დაკლება ტრაქტორების ნაწილებზე

მოსკოვი, 12 მაისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის კომიტეტმა დაადგინა თითქმის სამჯერ დაუკლოს საცალო ფასებს ტრაქტორების ნაწილებზე. (ადს).

1.525.000 მანეთი

საკვებ პროდუქტების მრეწველობას ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 12 მაისი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარუდგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასკვნა საკვებ პროდუქტების მრეწველობის 1926-27 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესახებ. საკვებ პროდუქტების მრეწველობის კაპიტალური მშენებლობა ამიერ-კავკასიისათვის სახელმწიფო-საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულია 1.525.000 მანეთის რაოდენობით, ამაში შედის 700.000 მანეთი თევზის მრეწველობისათვის, 445.000 მანეთი თამბაქოს მრეწველობისა და 380.000 მანეთი არყის მრეწველობისათვის. (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 12 მაისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო - რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით ოლგის მხარის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. სედიაკინი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხ.-რევ. საბჭოს განკარგულებაში. მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. ბაზილევიჩი დაინიშნა ვოლგის მხარის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. შაპოშნიკოვი დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად. ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. კორკი დაინიშნა ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევ. საბჭოს წევრი ამხ. ეგოროვი დაინიშნა ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად (ადს).

მებამბეობის კამპანიისათვის

დახმარება ა.-კავკასიის მებამბეებს

მოსკოვი, 12 მაისი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება 1927-28 წლის მებამბეობის კამპანიის შესახებ. ბამბის ნათესების სივრცე ამიერ-კავკასიაში ვარაუდით აღებულია 135.000 გექტერის რაოდენობით. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ევალება ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებს შეუჩერებლად მიაწოდოს პური და აგრეთვე სამრეწველო საქონელი მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის გაძლიერებასთან შეფარდებით. (ადს).

კაპიტალისტური ტეხნიკის გამოყენება

მოსკოვი, 12 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში დიდ ძალი წინადადებები შემოდის უცხოეთის ფირმებისა და ცალკე პირებისაგან საბჭოთა კავშირში მათ გამოგონებათა გამოყენების შესახებ. ზოგიერთები ამ წინადადებებს შორის უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია. მიუხედავად ამისა, სამეურნეო ორგანოები უმეტეს შემთხვევაში უყურადღებოდ სტოვებენ მათ.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **კუიბიშევმა** წინადადება მისცა ყველა სამეურნეო ორგანოებს განიხილონ ასეთი წინადადებები მოკლე ხნის ვადაში და დაუყოვნებლივ გასცენ სათანადო ნებართვები. (ადს).

ა.-კ. კოოპერატიული კავშირის მოსკოვის წარმომადგენლობის ოპერაციები

მოსკოვი, 12 მაისი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში ა.-კ. კოოპერატიული კავშირის რწმუნებულმა მოსკოვში ამხ. **დიატკინმა** განაცხადა შემდეგი:

„წარმომადგენლობის საქმიანობაში სჭარბობს მომარაგებითი ოპერაცია, რომელშიაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მომარაგებას ფართლეულით. ბამბის ქსოვილის 250 ვაგონიდან, რომელიც შეზიდულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, კოოპერაცია მიიღებს 156 ვაგონს, აქედან 128 ვაგონს ტრანზიტით, ხოლო 28 ვაგონს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განყოფილებებიდან ადგილობრივ.

აპრილში ძალიან სუსტი იყო ფართლეულის მიწოდება. 1-ლ მაისამდე მიღებულია მხოლოდ 60 პროც. იმისა, რაც დანიშნული იყო ამიერ-კავკასიისათვის. ბამბეული ქსოვილის ასეთი სუსტი მიწოდება აიხსნებოდა უმთავრესად იმით, რომ საკავშირო საფეიქრო სინდიკატსა და კოოპერაციას შორის არ იყო დადებული ხელშეკრულება. მხოლოდ 13 აპრილს იქნა ხელმოწერილი ხელშეკრულება საკავშირო საფეიქრო სინდიკატთან აპრილის ნორმის შესახებ. გარდა ამისა, მისაწოდებლად დანიშნული საქონელი არ შეეფერებოდა ამიერ-კავკასიის ბაზრის მოთხოვნილებებს, რაც თავის მხრივ აჭიანურებდა საქონლის მიღებას. ამიერ-კავკასიის ბაზარს უფრო შეეფერება აზიური ხასიათის, ფერადი საქონელი; ხოლო საკავშირო საფეიქრო სინდიკატი კი აწვდიდა მას შავ და მძიმე ქსოვილებს, რასაც არ ღებულობდა ამიერ-კავკასიის ბაზარი.

ხელშეკრულების დადებით საკავშირო საფეიქრო სინდიკატსა და კოოპერაციას შორის, გაუმჯობესდება ამიერ-კავკასიისათვის ფართლეულის მიწოდების საქმე და ადგილობრივი ბაზრის შესაფერისი საქონლის ასორტიმენტი.

გეგმით გათვალისწინებულ საქონელს გარდა, წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიისათვის იძენს მიტკალს და ნარმას. სრულიად რუსეთის კოოპერატიულ კავშირთან წარმომადგენლობას დადებული აქვს ხელშეკრულება მესამე კვარტალში 24 ვაგონი მიტკალისა და ნარმის შემოზიდვის შესახებ. მიუხედავათ ამისა, დღემდე მიღებულია მხოლოდ 5 ვაგონი და არც არის იმედი, რომ ხელშეკრულება მთლიანად იქნება შესრულებული.

ლითონისა და ლითონის ნაწარმოების მიწოდებას აწარმოებენ ლითონის სინდიკატის ადგილობრივი განყოფილებები. ასევეა შაქრის მომარაგების საქმე (მესამე კვარტალიდან) და, ნაწილობრივ, ფეხსაცმელს გარდა, ტყავის ნაწარმოების მომარაგების საქმეც.

ამიერ-კავკასიის მუშათა კოოპერაციის მომარაგება ფეხსაცმელით სწარმოებს მხოლოდ წარმომადგენლობის საშუალებით; დადებულია ხელშეკრულება ცენტროკავშირსა და სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატთან, საქონელს ვღებულობთ თავის დროზე და ადგილობრივი მოთხოვნილების ასორტიმენტთან შეფარდებით.

სასურსათო საქონლიდან ა.-კ. კოოპერატიულ კავშირს აღებული აქვს მონოპოლიური უფლება ამიერ-კავკასიისათვის ჩაის მიწოდებაზე. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიაში მესამე კვარტალში შესაზიდათ დანიშნულ 180.000 კილოდან აპრილში შეზიდულია 42.000 კილოგრამი. მაისში განზრახულია 56.000 კილოგრამის შეზიდვა. ამნაირად შესაზიდი რჩება ჩაის საკმაოდ დიდი რაოდენობა.

დანარჩენ სასურსათო საქონლიდან წარმომადგენლობა აწვდის ქალაქ ბაქოს კარაქს. შეზიდვის ნორმა მესამე კვარტალისათვის განსაზღვრული იყო 10.000 ფუთით; აქედან—4.000 ფ. პარიზული, 3.000 ფ. ერბო და 3.000 ფ. საექსპორტო. კარაქის მიწოდებაზე დადებულ ხელშეკრულებას ცენტროკავშირი და ვოლოგდის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული კავშირი პირნათლად ასრულებენ.

ნორმალურად მიმდინარეობს აგრეთვე მზესუმზირას ზეთის მიწოდების საქმე. წლის განმავლობაში შემოზიდულ უნდა იქნას 36.000 ფუთი მზესუმზირას ზეთი. მაგრამ ეს რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებას; მომავალშიც ძალიან ცოტა იმედია, რომ მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება.

წარმომადგენლობა გეგმის გარეშე შესყიდვას აწარმოებს ისეთ არასაკმაო საქონელზე, როგორიცაა: გალანტერეია, სამეურნეო საქონელი და სხ.

წარმომადგენლობა საკმაოდ დიდ ოპერაციებს აწარმოებს მოსკოვის ბაზარზე კაკლის, თხილის და აბრეშუმის თესლის გასაღების მხრივ. უკვე გაყიდულია წარმომადგენლობის განკარგულებაში არსებულ კაკლის დიდი რაოდენობა; სულ წელს გასაღებულია 160 ვაგონი კაკალი. აბრეშუმის თესლს იძენენ უმთავრესად ადგილობრივი სამრეწველო სავაჭროები და სამრეწველო კავშირები. მისი რეალიზაცია დამოკიდებული იქნება მოსავლის აკრეფის კამპანიის მსვლელობისაგან, რაც გამოირკვევა ივნისში. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ამხ. გოგოლაძის წერილის გამო

ჩვენ აქვე მოგვყავს ამხ. გოგოლაძის წერილი, რომელსაც ის გზავნის ს. ტეზერიდან (გ. მაზრა). აი, რას სწერს ის: „1922 წლის დეკემბერში ს. ტეზერის კომუჯრედში შევიტანე განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. უჯრედმა საერთო წესით დამამტკიცა კანდიდატათ და საქმე ხაშურის პარტკომში გადაგზავნა საბოლოოთ დასამტკიცებლათ. 1924 წლის 18 დეკემბერს, ე. ი. ერთი წლის შემდეგ ხაშურის პარტკომმა დაადასტურა უჯრედის დადგენილება და მე მიღებული ვიქენი პარტიაში კანდიდატათ. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა.

კიდევ ერთი წელიწადი მოუნდა საკანდიდატო ბარათის მიღებას. ერთი წლის შემდეგ მივაკითხე ხაშურის პარტკომს ამბის გასაგებათ. იქ მიპასუხეს თქვენი პირადი საქმე სურამში გადავაგზავნეთო. წავედი სურამის პარტკომში. აქ თემკომმა ხელ-ახლა გადასინჯა ჩემი მიღების საკითხი და ხელ-ახლა დამამტკიცა კანდიდატათ. როდესაც პარტიულ დოკუმენტის მიღების შესახებ მივაკითხავდი სურამის პარტკომს, ხვალხვალობით მისტუმრებდნენ. უკვე 1927 წლის მაისია და ჩემი პარტიაში მიღების საკითხი დღესაც კიდევ დაუსრულებელია. პარტიის ყოველგვარ დავალებას დღესაც შეძლებისდაგვარათ პირნათლად ვასრულებ“.

დასასრულ ამხ. გოგალაძე სასოწარკვეთით გვეკითხება: „როგორ მოვიქცე, რომ ღარიბმა გლეხმა ვიპოვო სიმართლე, რომელიც მე მეკუთვნის“?

ჩვენ ამ შედარებით ვრცელ წერილს აქ არც კი მოვიყვანდით, რომ ის ერთხელ კიდევ ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელ სენის მამხილებელ ცოცხალ ფაქტს არ წარმოადგენდეს. პარტიას არა ერთხელ მიუქცევია ქვედა ქსელის ორგანიზაციების ყურადღება იმაზე, რომ ისინი შეებრძოლონ ბიუროკრატიზმის ყოველგვარ განსახიერებას პარტიის აპარატში. უამისოთ ჩვენი ბრძოლა საზოგადოთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

გოგალაძის საქმე საინტერესოა არა იმ მხრივ, ღირსია თუ არა პარტიის წევრობის ან კანდიდატობის. შეიძლება სურამის პარტორგანიზაციას უნდოდა უარი ეთქვა გოგალაძისათვის პარტიაში მიღებაზე. ეს ასედაც რომ იყვეს, ნუ თუ ამისათვის საჭირო იყო მთელი 3½ წელიწადი, 1923 წლის დეკემბრიდან 1927 წლის მაისამდე? თუ ეს ასე არ არის, მით უარესი იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც ამდენი ხნით აჭიანურებს პარტიაში მისაღებ ამხანაგის უკვე გადაწყვეტილ საკითხის დოკუმენტალურათ შესრულებას.

საჭიროა ამგვარ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს. საჭიროა მეტი სიმარტივე და მეტი მოქნილობა პარტიის აპარატის მუშაობაში.

მ. რ—ძე.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის მეორე კონფერენცია

12 მაისის დილის სხდომა

12 მაისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ჟღენტის მოხსენების გარშემო პიონერ მოძრაობის მორიგი ამოცანების შესახებ. კამათში გამოვიდნენ: ამხ. **მათიაშვილი, ტაბიძე, ჭუჩნია, გიორგაძე, სააკიანი, კიკნაძე, ბუჯიაშვილი, კვიციანიძე, შეროზი და იმედაძე.**

ამხ. ბუჯიაშვილმა აღნიშნა პიონერთა წინამძღოლის ზედმეტი დატვირთვა.

— კოლექტივში მუშაობის გარდა ხელმძღვანელი დატვირთულია, აგრეთვე, უჯრედის საქმეებით. დროს უქონლობა არ აძლევს მას განვითარების საშუალებას და ამიტომ ის უკან რჩება. ზედმეტი დატვირთვა უარყოფით გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე, ეცემა მუშაობის ხალისი და პირველ შემთხვევისთანავე სტოვებს თავის საქმეს.

დანარჩენმა დელეგატებმა ხაზი გაუსვეს პარტხელმძღვანელობის სისუსტეს, ხელმძღვანელთა მოუმზადებლობას და მატერიალურ ხელმოკლეობას, რაც ცოტათი აფერხებს მუშაობას.

ამხ. ჟღენტის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კონფერენციის მიერ არჩეული კომისიები შეუდგენ მუშაობას.

12 მაისის საღამოს სხდომა

12 მაისის საღამოს სხდომაზე დამტკიცებულ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რეზოლიუციები: ცეკას მოხსენების გარშემო, ამხ. არუტიუნოვის მოხსენების გარშემო მასიური კულტურული მუშაობის შესახებ, ამხ. ჯავახიძის მოხსენების გარშემო სასოფლო მეურნეობის აღორძინების შესახებ და ამხ. ჟღენტის მოხსენების გარშემო საქართველოს პიონერთა მოძრაობის მორიგ ამოცანების შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა თბილისის გარნიზონის კომკავშირელთა პირველი კონფერენციის მისალმება.

წითელარმიელი ამხ. არუტიუნოვი იძლევა დაპირებას, რომ შეიარაღებული კომკავშირელნი შეასრულებენ მათ წინაშე დასმულ ყველა ამოცანებს.

— კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახებისთანავე ჩვენ გამოვალთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. ორატორის სიტყვებს ფარავს ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი ამხ. კეკელია.

ამხ. კეკელიას სიტყვა

— მე ჩემს პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველად მიხდება ახალგაზრდობის ასეთ საქმიან კრებაზე დასწრება. მე ვიგონებ ჩემი წარსულიდან ახალგაზრდა მარქსისტების ყველა კრებებს, ყველა კონფერენციებს: შეუძლებელია რაიმე პარალელის გავლება მაშინდელ უსაქმო ლაპარაკსა მარქსის და ენგელსის შესახებ და კომკავშირის კონფერენციის დღევანდელ მუშაობას შორის. აქ პრაქტიკულად ირჩევა საკითხი როგორ უნდა იქნეს წარმოებული მშენებლობა, რა უნდა გაკეთდეს. აქ ჯამი უკეთდება იმ მუშაობას, რომელიც უკვე შესრულებულია. მე გულწრფელად მებრალება ის ამხანაგები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ თავისი ნამდვილი ალაგი, ვინც მომწყვდეულია ჩიხში, ახალგაზრდა მარქსისტ—„თეორეტიკოსების“ ვიწრო წრეში. ყოველი ახალგაზრდა, რომელიც საქართველოს მუშის და გლეხის ნამდვილი მეგობარია, მოვალეა შეუერთდეს კომკავშირს.

კონფერენციის დახურვა

კონფერენციის დახურვის წინ ამხ. გობეჩიამ განაცხადა:

— ჩვენი კომკავშირის აქტივი მიმდინარე კონფერენციაზე უშუალოდ მიუდგა იმ საკითხებს, რომლებიც დასმული იყო ორგანიზაციის წინაშე. სოციალისტური აღმშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვენ პარტიის თანაშემწის, რეზერვის დახმარებას. და ჩვენი კონფერენცია, მისი საქმიანი მუშაობა მოწმობს, რომ საქართველოს კომკავშირის შემდგომი განვითარება წავა პარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანების განხორციელების ხაზით, ქალაქში—ჩვენი საქალაქო უჯრედების მონაწილეობა წარმოების რაციონალიზაციის გატარებაში, სოფლად—სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში და სხ., მე ვისურვებდი, რომ თვითეული დელეგატი კონფერენციიდან წასვლის შემდეგ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ატარებდეს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენ აქ მივიღეთ.

ამხ. გობეჩიას საბოლოო სიტყვის შემდეგ, კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა მთელი მსოფლიოს კომკავშირის ხელმძღვანელს—კომინტერნს. კონფერენცია დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

სუსტი უჯრედი

(ა. ლ. კ. კ. გიორგიწმინდის უჯრედი, თბილ. მ.)

თემკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ უჯრედს. პოლიტწრეების მუშაობა არ სწარმოებს. უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგი საჭიროდ არ სთვლის კრებებზე დასწრებას და ხელმძღვანელობას.

აქაურ თემკომის წევრს არც კი იწვევენ საბჭოში პლენუმის სხდომაზე. სხვათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ ერთი უპარტიო გლეხი აცხადებს: „ჩვენ გვეუბნებიან, მაგალითი თქვენმა შვილებმა კომკავშირელებიდან უნდა აიღონო. სწორათ გითხრათ, ჩვენი შვილები მაგათგან მაგალითს ვერ აიღებთ, რადგან ლანძღვა - გინების მეტი მათგან არა გვესმის რაო“. საჭიროა ცენტრიდან ყურადღება.

მახათი.

რა უნდა გამოსწორდეს

პარტგანათლების საქმეში

[illegible] დამთავრებისა. მალე თვითეული სკოლა გამოუშვებს მსმენელებს. საჭიროა ეხლავე აღვნიშნოთ ყველა ის მიღწევები და ნაკლულევანებანი, რომელნიც შემჩნეულია ამ სამოსწავლო წლის მიმდინარეობაში.

სოფელში—ქალაქთან შედარებით, პარტ-განათლების ამოცანების შესრულება უფრო ძნელია. გლეხობა ჯერ ისედაც ჩამორჩენილია საერთო ცოდნა-განათლების მხრივ და მით უმეტეს უსუსურ მდგომარეობაშია პოლიტცოდნის საქმე, ამ სამოსწავლო სეზონში სოფლად მხოლოდ ორი ტიპის სკოლა მოქმედებდა: სტაციონალური და მოძრავი. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევჩერდეთ მეორე ტიპის, მოძრავი სკოლის მუშაობასა და ამოცანებზე. რა ამოცანებს ისახავს მოძრავი პოლიტ-სკოლა? ერთ ადგილზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, წაიწიოს შემდეგ ადგილზე და ასე ბოლომდე. დღეს დღეობით მან ვერ შეასრულა ეს. ჯერჯერობით იგი ვერ მოშორებია რკინის გზის ლიანდაგს, რომლის მოძრაობა-მოქმედიბა უმთავრესად მის ახლო-მახლო იშლება. მოძრავი სკოლა ვერ შეიჭრა ღრმად მასებში, რომ იქ გააშუქოს პარტიულ მასისათვის საინტერესო კითხვები.

ეს ვერ მოხერხდა მრავალ მიზეზების გამო და რაც უმთავრესია, ადგილებზე მომზადებულ პროპაგანდისტების, ხელმძღვანელების არყოლობის გამო. სადაც კი მოხერხდა ასეთი სკოლების ჩამოყალიბება და უზრუნველყოფა ხელმძღვანელობით, შედეგები უმეტესათ დადებითია. ინტერესი სწავლისადმი დიდია.

სოფლად პარტიული მასა ხარბად ეწაფება სწავლას. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხშირად, გაცილებით დაბალი ცოდნის აუდიტორია მეცადინეობას წარჩინებით ამთავრებს. მაგრამ აქაც გვხვდება ზოგიერთი უარყოფითი მხარეები, რომლებიც აფერხებენ სწავლის საქმეს. ეს უმთავრესად მსმენელთა გულგრილობაში უნდა ვეძიოთ. როგორც არის მაგალითად უმიზეზოთ მეცადინეობის გაცდენა, ხშირია ასეთი მოვლენებიც, ერთს და იმავე ჯგუფში თავს იყრიან სხვადასხვა ცოდნის ხალხი. ასეთი შემადგენლობის აუდიტორიასთან მეცადინეობის დროს, გარდა იმისა, რომ შესწავლის საქმე ფერხდება, თვით ხელმძღვანელიც უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. ხელმძღვანელმა ცალცალკე უნდა შეისწავლოს თავის ერთი ჯგუფის, რამდენიმე ქვეჯგუფებათ (ცოდნის მხრივ) დაყოფილ მსმენელები, და მიუდგეს საკითხს. გარდა ამისა, პროგრამები ვერ აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებებს და კითხვებს, რომელნიც დგანან გლეხობის წინაშე. ამიტომ ხელმძღვანელს უხდება მეცადინეობა პროგრამის გარეშე. რომ მომავალშ სეზონში პარტსწავლებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, რომ მან ჩაითრიოს სოფლის პარტ-მასა, საჭიროა მოემზადდეს, ადგილებზე ხელმძღვანელები; საჭიროა პროგრამებს დაემატოს საუბრები, რომელნიც უპასუხებენ მსმენელთა აუდიტორიის წინაშე წამოჭრილ კითხვებს. ამ პირობებში, პოლიტსკოლები გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს, ღრმად შეიჭრებიან სოფლად მასებში და პოლიტიკურად გაათვითცნობიერებენ სწავლას მოწყურებულ გლეხურ მასას.

ნ. ფუ—ძე.

—:—

რა თქვა გაერთიანებულმა თათბირმა

(ბორჯომი)

აპრილის ბოლო რიცხვებში შესდგა ბორჯომის რაიონის კომპარტიის და ა. ლ. კ. კ. უჯრედების ბიუროების წევრთა თათბირი.

შინა საუჯრედო მუშაობის და უჯრედების მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კიზირიამ. თათბირზე გამოირკვა, რომ პარტკომის მიერ აღებული ხაზი და მისი დირექტივები უჯრედების მიერ საერთოდ დამაკმაყოფილებლათ ტარდებოდა ცხოვრებაში.

მათ მუშაობაში ადგილი აქვს დიდ მიღწევებს, მაგრამ ამავე დროს არის უარყოფითი მხარეებიც.

უკანასკნელი უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ბიუროები ვერ უწევდნენ პარტორგანიზაციებს სათანადო ხელმძღვანელობას. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ბიუროს სხდომები არ იწვევოდა სისტემატიურად განსაზღვრულ ვადებში. უჯრედის სხდომების დღის წესრიგი წინასწარ არ მუშავდებოდა ბიუროების მიერ და ისინი სტიქიურად უშუალოთ წამოიჭრებოდა ხოლმე უჯრედში.

საერთოთ აღნიშნულ უჯრედების მუშაობაში არ იყო დაცული არავითარი გეგმიანობა, რაზედაც იქნა მთავარი ყურადღება მიქცეული თათბირის მიერ, რომელმაც გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა მის გამოსასწორებლათ.

თათბირმა დაავალა ბიუროებს განსაზღვრონ ვადები თავიანთ სხდომებისთვის, რომლებიც უნდა ეწყობოდეს უჯრედების კრებების წინ 2—3 დღით ადრე. ამ სხდომებზე ბიურომ აუცილებლათ წინასწარ უნდა დაამუშაოს უჯრედების კრებებისათვის საკითხები. თათბირმა საჭიროთ სცნო მსხვილ კომუჯრედებში ორგანიზაციების გამოყოფა. თათბირი აგრეთვე მიუთითებს უჯრედებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა წარმოებებზე და მათში არსებულ სხვადასხვა კომისიებზე.

ნიკენ.

—:—

მზადება სას.-სამ. კამპანიის ჩასატარებლად

(სიღნაღის მ.)

სიღნაღის სახკომმა დაუგზავნა თემკომებს და კომუჯრედებს ცირკულიარი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ.

ცირკულიარში სახკომი ეხება უმთავრესად დასაბეგრ მეურნეობათა სისწორით აღრიცხვას.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გაწერის საქმეში კლასობრივი პრინციპების სისწორით გატარება დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ რამდენათ სისწორით იქნება აღნუსხული დაბეგვრისათვის საჭირო ცნობები ცალკე თითეულ მეურნეობათა მდგომარეობის და შეძლების შესახებ.

ამის გამო დიდი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული სააღრიცხვო კამპანიის ჩატარებას, რომ ამ მხრივ მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს, თემკომებს და უჯრედებს ევალებათ წინდაწინ სააღრიცხვო კამპანიის დაწყებამდე აწარმოონ ახსნა განმარტებითი მუშაობა გლეხების ფართე მასებში და კომუჯრედების ღია კრებებზე.

ამ მიზნით სათანადოთ გამოყენებული უნდა იქნენ პარტაქტივი და უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები.

ძირითად პარტორგანიზაციებს ევალებათ მი
ძირითად პარტორგანიზაციებს ევალებათ მიიღონ უშუალო მონაწილეობა სააღრიცხვო კომისიების არჩევნებში, რათა ვაყვანილ იქნენ უღარიბეს და ღარიბი გლეხობის წარმომადგენლები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დასაბეგრ ობიექტების სისწორით აღრიცხვას.

ქედი.

—:—

საქართველოს ფინსახკომში

საქართველოს ფინსახკომის კომუჯრედის ღია სხდომაზე საგადასახადო განყოფილების მმართველმა ამხ. ბეზირგანიშვილმა გააკეთა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება წარსული და მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში გატარებულ საგადასახადო მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის შედარებით მტკივნეულ მხარეებს და უმთვრეს მომენტებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ორგანოების მუშაობისას.

მომხსენებელმა აღნიშნა მიღწევებიც ამ დარგში და დაასაბუთა ისინი სათანადო ციფრობრივი მასალებით საშემოსავლო ბიუჯეტის მოსალოდნელ ხარჯთ-აღრიცხვისა და მისი შესრულების პროცენტის აღნიშვნით.

ამხ. ბეზირგანიშვილის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი და ინტერესი მსმენელებს შორის.

ლ. დ—ძე.

პურის დამზადების შედეგები და პერსპექტივები

1926—27 წლის პურის დამზადების კამპანია ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მისი ძირითადი შედეგები უკვე გამოირკვა. ვინაიდან წინასწარ უნდა იქნას დასახული 1927—28 წლის კამპანიის ფორმები და მეთოდები, ამიტომ საჭიროა განვლილი კამპანიის წინასწარი შეფასება.

განვლილი კამპანიის ძირითადი მიღწევანი არის,—პირველი: თითქმის სისწორით იქნა შესრულებული წლიური გეგმა. სამი კვარტალის განმავლობაში 1926 წლის პირველ ივნისიდან 1927 წლის 31 მარტამდე დამზადებულ იქნა 620,7 მილიონი ფუთი სხვადასხვა პურეული, გეგმით კი ამ სამი კვარტალის განმავლობაში უნდა დამზადებულიყო 577,4 მილიონი ფუთი, ხოლო წლიური გეგმით 725 მილიონი ფუთი, ე. ი. სამი კვარტალის განმავლობაში დამზადებულ იქნა წლიური გეგმის 85,6 პროცენტი. ათი თვის განმავლობაში, აპრილის ჩათვლით, ჩვენ გვქონდა 644,7 მილიონი ფუთი ანუ წლიური გეგმის 88,9 პროცენტი. კულტურების მიხედვით გეგმის შესრულების უდიდესი პროცენტი გვაქვს შვრიისა და ხორბლის დამზადების დარგში, საშუალო ქერის, ნაკლები—ზეთის თესლეულის და სხ. დარგში. რაიონების მიხედვით დამზადების უდიდესი პროცენტი მოდის ციმბირზე, ურალზე და პოვოლოჟიეზე, საშუალო—კაზაკისტანზე ჩრდილო-კავკასიაზე და უკრაინაზე, საშუალოზე ნაკლები—ცენტრალურ სამიწთმოქმედო რაიონზე.

მეორე: პურის დამზადებისა და გასაღების ბაზარი გაფართოვდა 80 პროცენტამდე (შარშან კი იყო მხოლოდ 60 პროცენტი), ამასთანავე კერძო მოვაჭრენი უფრო მეტად დაემორჩილენ სახელმწიფო მომწესრიგებელ ორგანოებს.

მესამე, ჯანსაღი დეცენტრალიზაციის გატარება პურის დამზადების დარგში ახალი სარაიონო პურის დამამზადებელ ორგანიზაციების („უკრხლებ“, „სევკავხლებ“) შექმნით და კოოპერაციის როლის, როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლის გაძლიერებით პურის დამზადების კამპანიაში. პირველმა და მეორე გარემოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიუროკრატიზმისა და მახინჯი ცენტრალიზაციის აღმოფხვრას, პურის დამამზადებელი ორგანოები დაუახლოვა ადგილებს და შეიტანა მათში უფრო მეტი მოქნილობა, ცხოველ-მყოფელობა და ადგილობრივ პირობებისადმი შეგუების უნარი, რაიც ფრთხილად და სწორად გატარებით არამც თუ არ ასუსტებდა აუცილებელ გეგმიან ცენტრალიზმს და მთლიანობას დამზადების კამპანიაში, არამედ ხელს უწყობდა მას.

მეოთხე, მთელი კამპანიის განმავლობაში დამზადებითი ფასების შენარჩუნება ძირითად პურეულზე და დამზადებითი ფასების დაახლოება ცალკე რაიონებს შორის, და აგრეთვე ფასების უფრო სწორი შეფარდების მიღწევა პურეულის ცალკე დარგებს შორის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს შორის.

ეს მიღწევანი საერთოდ და მთლიანად მეტად მნიშვნელოვანია. თუ ეხლანდელ კამპანიას შევადარებთ არა მარტო 1924—25 წლის კამპანიას, არამედ 1925—26 წლის კამპანიას, და ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ დაბრკოლებებს მაშინდელ კამპანიაში, დასამზადებელი ფასების განსხვავებას და სხვადასხვა რაიონებს შორის და სხ., მაშინ ამ წლის პურის დამზადების კამპანიის გატარებაში,—დაწყებული ნათლად დავინახეთ მთლიანი გეგმიანი მიდგომა და დამზადების მთლიანი სისტემის მთელი ძალა. პურის ძირითადი ბაზრის დაპყრობა პურის გაფართოებული ბაზრის 2—3 წლის არსებობის განმავლობაში (თუ საბაზროდ ჩავთვლით 1924—25 წლის კამპანიას, წინა კამპანიები კი სასურსათო გადასახადის გატარების წესით ჩატარდა) და ისეთი ტერიტორიის სივრცეზე, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, ეს უეჭველად დიდი მიღწევაა ისეთ პირობებში, როცა პურეულის დამმზადებლები მეტად გაფანტული იყვენ და დამმზადებელი მომწესრიგებელი აპარატი სუსტი იყო.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე მთელი 100 პროცენტით დავიპყარით პურის ბაზარი და პურის ბაზრის მთელი რთული ორგანიზმი დავიმორჩილეთ მთელ მის ნაწილებში,—ამის მტკიცება გადაჭარბება იქნებოდა. მაგრამ ეხლანდელი კამპანიის შედეგების მიხედვით შეიძლება ერთგვარი სიმტკიცით განვაცხადოთ, რომ უმთავრეს ნაწილში პურის ბაზრის სტიქია დავიპყარით, რომ უმთავრეს ნაწილში პურის ბაზარი უკვე ჩვენს ხელშია, რომ მომავლის ამოცანა უკვე მდგომარეობს დაკავებული პოზიციების მტკიცედ შენარჩუნებაში და ჩვენი ოპერატიული და მომწესრიგებელი ფუნქციების კომერციულად და ტეხნიკურად გაუმჯობესებაში.

რომ დავსახოთ ამ დარგში ჩვენი მომავალი წარმატების ძირითადი ხაზი, ამისათვის საჭიროა რომ მიღწევებთან ერთად აღინიშნოს განვლილი კამპანიის არსებითი ნაკლულოვანებანი, შეცდომები. ეს ნაკლულოვანებანი და შეცდომები უმთავრესად შიმდეგში მდგომარეობს.

პირველი, ჯერ კიდევ მეტი ყურადღება ექცევა პურის რაოდენობას, ვინემ მის ხარისხს; თვით ორგანიზაციაში, დამზადების ტეხნიკისა და ფასების საკითხში საკმაოდ არაა გათვალისწინებული დასამზადებელი პურის ხარისხის გაუმჯობესების მომენტები.

მეორე, არსებითი ნაკლულოვანებანი გვაქვს პურის მარაგის განაწილებაში ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე, პურეულის რაიონებში განაწილების, მისი ექსპორტისათვის გამოყოფისა და წისქვილებში გაგზავნის მხრივ და აგრეთვე შესანახ ადგილებში განაწილების მხრივ.

მესამე, პურის მარაგი ჯეროვანად ვერ იყო განაწილებული მომხმარებელთა რაიონებში, ცალკე სამომხმარებლო პუნქტების მოთხოვნილება თანასწორად ვერ კმაყოფილდებოდა, ვერ იყო დაცული საკმაო სიმწყობრე პურის გადატანაში, გადამუშავებაში და ვაჭრობაში.

მეოთხე, აქედან ორგანიულად გამომდინარეობდა ფასების დიდი განსხვავება მომხმარებელ და მწარმოებელ ზოლსა და ცალკე მომხმარებელ რაიონებს შორის, რაიც გამოიხატებოდა პურის ფასების სრულიად არანორმალურ მოძრაობაში მომხმარებელ რაიონებში და პურის მომხმარებელ ნედლეულის რაიონებში (სელის, ბამბის) ისეთი ეკვივალენტების დაწესებაში, რომელნიც ნაკლებად უწყობენ ხელს სათანადო ნედლეულის კულტურის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ შეფარდება პურის დასამზადებელ ფასებსა და ნედლეულის ფასებს შორის წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მაღალი ზედნართი ხარჯები, პურით მოვაჭრე ორგანიზაციების ძალიან დიდი მოგება და მათი მუშაობის არა საკმაო რაციონალიზაცია.

არ შეიძლება უარყოფა, რომ ეს დეფექტები მეტად მნიშვნელოვანსა და ერთგვარ ზიანს აყენებენ იმ დადებით შედეგებს, რომელნიც მივიღეთ განვლილი კამპანიიდან. ზოგიერთი დეფექტები, განსაკუთრებით პურის მარაგის გადატანგადმოტანის დარგში შეიძლება ახსნილ იქნას დაუძლეველი ობიექტიური მიზეზებით. მაგრამ მათი უარყოფითი ხასიათი ამით მაინც სრულიად არ იცვლება.

პურის ზედმეტი მარაგის საერთო მიმართულება მიმდინარე წელში მნიშვნელოვნად გადაიხარა აღმოსავლეთისაკენ პურეულის მოსავლის ვადების მხრივ და ჩვენ ამის საშუალებით და ამ წლის საერთო კლიმატიური პირობების მეოხებით მნიშვნელოვანი დაბრკოლებანი გვქონდა სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთით, რაიც იწვევდა პურის არა რაციონალურად გადაზიდვა-გადმოზიდვას, რომლის შესახებაც ჩვენ აღვნიშნეთ ზემოდ, როცა მხედველობაში გვქონდა გადასაზიდი პურის და მარაგის ნაკლებობა კამპანიის დასაწყისში. მაგრამ აქედან დასკვნა არ უნდა იყოს ისეთი, რომ ეს უარყოფითი მოვლენანი უნდა მივაფუჩეჩოთ, არამედ პირიქით, იგი უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო მეტის ენერგიით ვსძლიოთ ობიექტიური მიზეზები და დაბრკოლებანი მომავალ კამპანიაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ამგვარი მოვლენების განმეორება. შესაძლოა ისეთი ზომებისა და საშუალებების გამოძებნა, რომლის მეოხებითაც ეს ობიექტიური ხასიათის დაბრკოლებანი მაქსიმალურად იქნება შერბილებული. ერთ-ერთი ამგვარი დაბრკოლებათაგანია სახელმწიფო პურის ფონდის შექმნა და პურის ფონდების განაწილება ვაჭრობის სახ. კომისარიატის, პურით მოვაჭრე ორგანიზაციებისა და ექსპორტიორების მიერ.

თუ კამპანიის ერთ-ერთ ძირითად და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დადებით შედეგად უნდა იქნას ცნობილი პურის დასამზადებელი ფასების სიმტკიცის მიღწევა, სამაგიეროდ, კამპანიის ყველაზე უფრო უარყოფით ნაკლად უნდა იქნას ცნობილი დიდი განსხვავება დასამზადებელ და მომხმარებელ ფასებს შორის, რომელსაც ადგილი ქონდა ამ წელში. ეს არის ძირითადი ბოროტება, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ. ობიექტიური მიზეზი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ დისპროპორციას, არის ის, რომ ჩვენ წელს, როცა გვინდოდა პურის ბაზრის სავსებით დაპყრობა და კერძო პირთა დამორჩილება ჩვენი გავლენისათვის, ჩვენ გვიხდებოდა მეტად მძიმე ამოცანის დაკისრება სახელმწიფო კოოპერატიული პურის დამამზადებელი აპარატისათვის—მას ერთი წლის განმავლობაში თავისი ქსელითა და აპარატით ხელში უნდა ჩაეგდო როგორც დასამზადებელი, ისე გასაღებითი ფუნქციები და პურის ბაზრიდან გაედევნა კერძო პირები.

ამგვარად, ძირითადი ხაზები, რომლითაც უნდა მიიმართებოდეს მომავალი კამპანიის მომზადება, შემდეგში მდგომარეობს:

1) პურის დამზადების მომავალ კამპანიას აუცილებლად უნდა დაედოს საფუძვლად მოქნილი სისტემა. ფასებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მთლიანად და ამასთანავე უფრო მტკიცე და მოქნილი ეკვივალენტები უნდა დაწესდეს პურისა, ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის შორის.

2) ძირითად დაკვრითი ამოცანად უნდა იქნას წამოყენებული წესიერი ურთიერთობის დამყარება მწარმოებელ და მომხმარებელ რაიონებს შორის, რაიც თავის მხრივ დაკავშირებულია პურით მოვაჭრე აპარატის მაქსიმალურ რაციონალიზაციასთან, მისი ხარჯების შემცირებასთან და პურის მარაგის განაწილების საქმეში მეტი რაციონალობისა და მიზანშეწონილობის შეტანასთან.

3) აუცილებელია მეტ მოქნილობას მივაღწიოთ პურის დასამზადებელ ფასების დაწესებაში (კონტრაქტაცია, ავანსები, კოოპერატიული ზედნართები, პირვანდელი საორიენტაციო ფასები „კოოპერატიული გასაღების“ პრაქტიკის გაფართოება და სხვ.), იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ დასამზადებელი პურის უფრო მაღალ ხარისხს და უფრო ზომიერ შეფარდებას პურის ფასსა და მის ნამდვილ ღირებულებას შორის.

4) გაუმჯობესებულ უნდა იქნას საწყობის სისტემა, როგორც პურის დამზადების, ისე შენახვისა და განაწილების მხრივ და გაუმჯობესდეს აგრეთვე წისქვილების ქსელის მუშაობა.

5) მომავალში კვლავ თანდათანობით და მოქნილად უნდა იქნას გატარებული კურსი პურის დამზადების დეცენტრალიზაციაზე იმგვარად, რომ დაცულ იქნას საერთო სახელმწიფო გეგმის მთლიანობა პურის დამზადების გატარების დარგში მთლიანად, და განსაკუთრებით ექსპორტის დარგში.

6) რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევქნათ პურის გადაზიდვ-გადმოზიდვის საკმაო ფონდები.

მოსკოვი, 12 მაისი.

ბანკების კრიზისი და მთავრობის შეცვლა იაპონიაში

ბანკების კრიზისსა და იაპონიის მთავრობის შეცვლის შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ვატატსუკის მთავრობა, რომელიც დამხობილ იქნა, ბურჟუაზიის, უწინარეს ყოვლისა, სავაჭრო ბურჟუაზიის მთავრობა იყო. მას პარლამენტში არ ყოლია საკუთარი უმრავლესობა; თავის საკუთარ პარტიას გარდა ის ეყრდნობოდა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას, ხოლო მის ოპოზიციას წარმოადგენდა მსხვილი მემამულეების, უმაღლესი ოფიცრობის და მოხელეების წმინდა კონსერვატიული პარტია, ტანაკას ხელმძღვანელობით. სამს „მუშათა პარტიას“ (ერთს სოციალ-დემოკრატიულს, ერთს „ნაციონალურს“ და ერთს ნამდვილ მუშათა და გლეხთა კლასობრივ პარტიას) ქვეყანაში დიდი გავლენა აქვთ, მაგრამ პარლამენტში სუსტნი არიან.

ორი უმთავრესი ბურჟუაზიული პარტიის ბრძოლა გამწვავდა ჩინეთის საკითხის წყალობით. სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესების თანახმად ვატატსუკის მთავრობა ჩინეთში ლოდინის პოლიტიკას აწარმოებდა: ის თავის თავს ჩინეთის რევოლიუციის მეგობრათ სახავდა და მან შესძლო ინგლისის მიერ ბოიკოტის წყალობით დაკარგული ბაზარი ნაწილობრივ ხელში ჩაეგდო. ამისდა მიხედვით მისი პოლიტიკა ჩინეთში დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგო იყო. პირიქით, კონსერვატიული ოპოზიცია ტანაკას მეთაურობით „ძლიერი მუშტის პოლიტიკას“ იცავს, როგორც ჩინეთის რევოლიუციისა, ისე საბჭოთა კავშირის მიმართ: ამრიგათ ეს პოლიტიკა ბრიტანული ორიენტაციისა, მაშინ, როცა წინანდელი მთავრობა მსოფლიო პოლიტიკურ საკითხებში საფრანგეთიდან იყო შეთანხმებული.

მთავრობის დამხობის საბაბი შექმნა ბანკების კრიზისმა. ამის გასაგებათ ჩვენ შემდეგი ფაქტები უნდა გავიხსენოთ:

იაპონიის კაპიტალიზმის განვითარებაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სავაჭრო კაპიტალმა და სპეკულიაციამ მეტად დიდი როლი ითამაშეს. იაპონიას თითქმის სრულიად არ გააჩნია ინდუსტრიული ნედლი მასალა: ქვა-ნახშირი, ნავთი, რკინის მადანი, შეშა, საქსოვი მასალა (გარდა აბრეშუმისა). ამით აიხსნება მისი მისწრაფება, ახალშენების და ჩინეთის ნაწილების დაპყრობისაკენ (ჩვეულებრივ გავრცელებულია შეხედულება, თითქო იაპონიას კოლონიები ზედმეტი მოსახლეობის დასაბინავებლად სჭირდებოდეს. ეს არ არის მართალი. უცხოეთში მხოლოდ 600.000 იაპონელი ცხოვრობს, აქედან ნახევარზე ნაკლები აზიაში, იაპონიას კი 60 მილიონი მოსახლეობა ყავს). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვაჭრობასა და ნაოსნობას დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიისთვის.

1920—1921 წლებში იაპონიამ დიდი კრიზისი განიცადა, 1923 წელს მიწის ძვრამ კატასტროფა გამოიწვია. ეკონომიური ცხოვრება დიდათ დაზიანდა; მაგრამ ეს ზიანი მიფუჩეჩებული იქნა სახელმწიფო დახმარების შემწეობით. ამის მომდევნო პერიოდში, როცა იენის კურსი შესამჩნევათ დაეცა, მძლავრი ტრესტები შესდგა. ყველაზე დიდი ამ ტრესტებს შორის იყო სუსუკი-ტრესტი, რომლის დამხობამ ბანკების კრიზისი გამოიწვია.

სუსუკი-ტრესტი უზარმაზარი ორგანიზაცია იყო: არსებითად ის საექსპორტო და საიმპორტო საზოგადოებას წარმოადგენდა და მასიური საქონლის აღებმიცემობას აწარმოებდა: შაქრის, ბრინჯის, ხორბლის, რკინის, სასუქი მასალის და სხ.. მას ჰქონდა 80 ფილიალური განყოფილება, უმეტეს ნაწილად სამრეწველო ხასიათისა (ქვანახშირი, ფოლადის წარმოება, ზეთის, სპილენძის, ტყავის ფაბრიკები და სხ.), რომელთა ძირითადი კაპიტალი 260 მილიონ იენას უდრიდა. საზოგადოებას უზარმაზარი ვალი ჰქონდა, რომლის სიმძიმე უკანასკნელ წელიწადში მომხდარი დეფლიაციის (იენის ოქროს კურსის აღდგენის) წყალობით თანდათან გაიზარდა. სამრეწველო კრიზისი, რომელიც იაპონიაში რამდენიმე წელიწადი გრძელდება, და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქონლის (შაქრის, სპილენძის და სხ.) გაიაფება საზოგადოებას დიდს ზარალს აძლევდა. მარტო ერთი ფორმოზის ბანკისა (ესაა ნახევრად სახელმწიფო ბანკი კუნძულ ფორმოზაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, იაპონიამ დაიპყრო) სუსუკი-ტრესტს 600 მილიონი მარკა ემართა. აპრილის დასაწყისში ტრესტი გაჭირვებაში ჩავარდა და საფრთხეს უქადიდა ფორმოზის ბანკსაც.

ვატატსუკის მთავრობას უნდოდა ბანკისათვის დახმარება გაეწია და 400 მილიონი მარკა ესესხებია. რადგან პარლამენტის სესია შემწყდარი იყო, საკითხი სამეფო საბჭოში უნდა გარჩეულიყო. სამეფო საბჭოში, სადაც ახალგაზრდა იმპერატორმა პირადათ პირველათ მიიღო აქტიური მონაწილეობა, სამინისტროს წინადადება უარყოფილ იქნა და კაბინეტი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

მდგომარეობის გასაგებათ უნდა ითქვას, რომ სუსუკი-ტრესტი იაპონიაში ბევრად უფრო სძულდათ, ვიდრე სტინნესის ტრესტი გერმანიაში. მას ხშირათ საფუძვლიანად აბრალებდნენ მნიშვნელოვანი საცხოვრებელი მასალების (ბრინჯის, შაქრის, ზეთის) გაძვირებას, მის შენობებს ხშირად ცეცხლს უკიდებდნენ. ამიტომ მემამულეების კონსერვატიულ პარტიისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქნა, რომ ამ საბაბის წყალობით მთავრობა დაემხოთ.

ახალმა მთავრობამ ბანკებს, რასაკვირველია, ყოველივე საშუალება მისცა კრიზისის დასაძლევად, თუმცა წინანდელი მთავრობა ამ მიზეზის გამო დაამხო! ბანკებს, (მათ შორის სათავად-აზნაურო ბანკსაც, რომელსაც სამეფო გვარეულობის ქონება აბარია) 21 დღის მორატორიუმი მიეცა, ამას გარდა მათ ორ მილიარდ მარკაზე მეტის კრედიტი გაეხსნა. ამრიგათ, როგორც სჩანს, ბანკების კრიზისი უკვე დაძლეულია, მხოლოდ სუსუკი-ტრესტს, ალბათ, ლიკვიდაციას მოუხდენენ.

დასკვნა ასეთია: მოხდა საინფლიაციო ტრესტის გაკოტრება იენის გაჯანსაღების გამო. შექმნილი მდგომარეობა გამოიყენა დიდი მემამულეების პარტიამ, რათა სავაჭრო ბურჟუაზიის მთავრობა დაემხო. მთავრობის გამოცვლა ნიშნავს იმას, რომ როგორც ჩინეთის, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომავალში იაპონია უფრო შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებს. ის დაუახლოვდება დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ხაზს.

ე. ვარგა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საძოვრები

ახალქალაქი, 12 მაისი. აღმასკომის განკარგულებაში მყოფი ყველა საძოვრები და სათიბები განაწილებულია სოფლებს შორის იჯარის სახით ერთი წლის ვადით. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი საძოვრები კი (საფონდო), გადაეცემა იჯარით აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეებს. საზაფხულო საძოვრებზე ცხვარი მორეკილი იქნება 10 დღის შემდეგ. მაზრაღმასკომებთან შედგენილია სპეციალური კომისია, რომელიც გაანაწილებს მეცხვარეთა ცხვრის ფარას. მიმდინარე წლის საიალაღო სეზონში განზრახულია 250.000 სული ცხვარის გადარეკა ოსმალეთში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ახალქალაქი, 12 მაისი. წარსულ სასწავლო წელში მაზრაში მოქმედობდა 107 ლიკპუნქტი, სადაც სწავლობდა 2.873 კაცი; აქედან 458 ქართველი, 1930 სომეხი, 264 თურქი და 221 რუსი. ჰასაკის მხრივ: 18 წლამდე—805 კაცი, 18—25 წლამდე—1.939, 25—30 წლამდე—614, 30—40 წლამდე—248 და 40 წ. ზევით—67 კაცი (ადს).

აჭარისტანი

სარძეო მეურნეობათა კავშირში

ბათომი, 12 მაისი. რძის პროდუქტების ღირსების გამოკვლევის მიზნით, აჭარის სარძეო მეურნეობათა კავშირთან შედგენილია სპეციალური კომისია. მოეწყო სამკურნალო კეფირის წარმოება. საგარაკო ადგილებში: მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი და სხვაგან კავშირი ზაფხულში ხსნის რძის პროდუქტების გამნაწილებელ პუნქტს (ადს).

სასოფლო გზების შეკეთება

ბათომი, 12 მაისი. ხულოს და ქედის აღმასკომები შეუდგენ ზამთარში გაფუჭებულ ყველა სასოფლო გზების შეკეთებას. შეკეთება სწარმოებს ადგილობრივი გლეხობის ძალებით

ჭოროხის ადიდება

ბათომი, 12 მაისი. უკანასკნელი კოკისპირული წვიმების გამო ადიდდა მდინარე ჭოროხი. ეხლა წყალი კლებულობს. აჭარის წყალის შესართავთან ჭოროხი გადმოვიდა ნაპირებიდან და წაიღო ხის ხიდი და დასილა ახლო მდებარე მინდვრები (ადს).

წერილები

კომისიაში მიუდგომელი ხალხი ავირჩიოთ

თემში არაფერი არ კეთდება ისე, რომ გლეხობის საერთო კრებამ ამაზე თავისი აზრი არ გამოსთქვას და დასტური არ მისცეს. გაყავთ გზა — უსათუოდ გლეხობამ უნდა იმსჯელოს ამის შესახებ და დაადგინოს, თუ რა სახით მიიღებს ის მონაწილეობას გზის გაყვანაში. საჭიროა ახალი სკოლა, სახალხო სახლის თუ კლუბის აგება — უსათუოდ თემის გლეხობის საერთო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რამდენი თანხის გადახდას შესძლებს და რამდენი უნდა გაიწეროს სოფელზე.

რასაკვირველია სოფლად ყოველგვარი აღმშენებლობა გლეხების უშუალო მონაწილეობით და მისი თანხმობით ხდება. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: საამშენებლო კომისია, რომელსაც ირჩევს სოფელი ამა თუ იმ საქმის გასაძღოლად ყოველთვის ვერ იჩენს მიუდგომლობას — ხან მდიდარ გლეხს უფრო ნაკლებ გადასახადს შეაწერს, ვიდრე ღარიბს, ხანდახან კი შეძლებულ გლეხსა და ღარიბს ათანასწორებენ და ერთნაირ გადასახადს ახდევინებენ. კომისიის ასეთი ქცევა ხშირად იწვევს გლეხებში უკმაყოფილებას. ეს კი თავის მხრით აფერხებს და აჭიანურებს გაწერილი ფულის აკრეფას და საზოგადო საქმის თავის დროზე დამთავრებას.

უნდა ვეცადოთ, რომ ფული სოფელზე შეძლების მიხედვით გავანაწილოთ. არიან მდიდარი გლეხები, რომელთაც მეტი გადახდა შეუძლიათ, არიან ისეთი გლეხები, რომელთაც თვის განმავლობაში ერთი მანეთიც არ შემოუვათ. ამას ფულის განაწილების დროს ყურადღება უნდა მიექცეს. როდესაც ფული სამართლიანად იქნება განაწილებული, გლეხები მეტი სიხალისით გაიღებენ თავის წვლილს, ამით უკმაყოფილებაც მოისპობა და საზოგადო საქმეც მოიგებს.

ამიტომ საამშენებლო კომისიებში სოფლის კეთილსინდისიერი და მიუდგომელი გლეხები უნდა ამოვირჩიოთ, რომლებიც საქმესაც კარგად გაუძღვებიან და გლეხობაში მეტ ნდობას დაიმსახურებენ. სოფლის ორგანიზაციებმა ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ა—ო.

შენობა მოუვლელობით ლპება

(სოფ. შუა ამაღლება, გურია)

ხსენებულ სოფელში არის ეკლესია, რომელიც უკვე დიდი ხანია არავითარ ხმარებაში არ არის. ამ შენობაზე დიდი ნაშრომი აქვს გლეხობას და დღეს საყვედურს ამბობენ იმის შესახებ, რომ იქ მოუვლელობით ტყვილა ლპება შენობა და არც რაიმე სარგებლობა მოაქვს. სახლი მოუვლელობით ლპება, შიგ წვიმა ჩამოდის და აფუჭებს შენობას. კარგი იქნებოდა, რომ ამ სახლს გამოვიყენებდეთ რაიმე აღმშენებლობისათვის; შეიძლება ხსენებული შენობა გადაკეთდეს სკოლათ და სახალხო სახლათ, რომელიც დიდი საჭიროა გლეხობისათვის—თუ არა და ტყვილა ლპება გლეხობის ნაშრომი, რაც გულ სამწუხაროა. მე იმედი მაქვს, რომ ამას ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი სათემო საბჭო და ამ შენობას გამოიყენებს საერთო საქმისთვის.

იაშა ი. ჯიბლაძე.

ტყის დღე

(ბაღდადი, ქუთაისის მაზრა)

30 აპრილს ბაღდადში ჩატარებულ იქნა ტყის დღე. წინა წელში ამ დღეს გაკეთებულ მოხსენებებით და ტყის შესახებ შეკითხვებზე პასუხის გაცემით დაკმაყოფილდა აქაური მშრომელი გლეხობა. წელს გადიდგა ერთი ნაბიჯი წინ და ტყის დღეს მიეცა უფრო პრაქტიკული, საქმიანი ხასიათი. უპარტიო გლეხობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და პარტორგანიზაციების წევრები დროშებით და სიმღერებით გაემართნენ ადგილობრივ სატყეოს სანერგის დასათვალიერებლათ. საერთოთ ჩვენში ტყის კულტურა ახალი საქმეა. სულ რამოდენიმე წელია რაც ტყის ხელოვნურათ გაშენებაზედ მიწ. მოქ. კომისარიატმა დაიწყო ზრუნვა, მიუხედავათ ამ მოკლე დროისა, ამ დარგის მუშაობა საგრძნობლათ არის წინ წაწეული. დამსწრენი დიდი ხალისით და ინტერესით ათვალიერებდნენ სანერგეში ნაწარმოებ მუშაობას და უამრავ შეკითხვებს იძლეოდნენ ხეების ჯიშების და თვისებების შესახებ. ამის შემდეგ მონაწილეებს დაურიგდათ წინასწარ მომზადებული ხის ნერგები მახლობლათ ცალიერ ფერდობებზე დასარგავათ. დამსწრენი ხალისით შეუდგნენ მუშაობას და ორიოდე საათის განმავლობაში დაირგა ხეებით ნახევარ დესეტინაზე მეტი ადგილი. სასიამოვნო სანახავი იყო ოფლში გაწურულ ახალგაზრდობის გახურებული მუშაობა. ეს იყო ცოცხალი და არა სიტყვიერი პროპაგანდა ტყის საქმის შესახებ გლეხობაში შეგნების გასამტკიცებლათ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველა დამსწრენი ტყის გასაშენებლათ პირადი შრომის გაწევის შემდეგ ერთი-ორათ უფრო მეტი სიფრთხილით მოეპყრობიან ტყეს. ამის მსგავსადვე იქნა ჩატარებული ტყის დღე ზეკარის, კიკნაველეთის და უხუთის თემებში.

ა. თვარაძე.

გლეხთა სახლის ავ-კარგი

(ქუთაისი)

ქუთაისის გლეხთ სახლი ძალიან კარგათაა მოწყობილი. ფასების მიხედვით ყველანი კმაყოფილია ვისაც სურს ღამის გათევა და მოსვენება. წევრი თუ ვინმე იქნა სოფლიდან ჩამოსული, იგი არამც თუ მარტო საწოლით სარგებლობს, თუ საჭიროა მას დახმარებას უწევს სამაზრო გლეხკომი რაც შეიძლება: ექიმით, ვექილის რჩევა - დარიგებით, სამკურნალო წყლებით და საავათმყოფოთი და სხვა.

კარგი იქნება, რომ გადამდებიან ავათმყოფს არ დააწვენდნენ ან დეზინფექციას უკეთებდენ საწოლებს. მასთან უნდა აღინიშნოს დარაჯის მდგომარეობა, სადაც დაჯდება მაშინვე დამჯდარი დაეძინება, ვინაიდან თვრამეტი საათი ხშირად უხდება მუშაობა დღე და ღამეში.

— **დახურეთ ეს სამიკიტნო.** ნავთლუღის ქუჩაზე (№ 5) მოთავსებულია სავაჭრო, რომლის პატრონი ფარულად ყიდის ღვინოს. სავაჭროს უკან არის პატარა ოთახი, სადაც იშვიათი არ არის ქეიფი და ლოთობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სავაჭროს პატრონი ქირას მხოლოდ დარაბაში იხდის.

ჩიჩიკურელი.

კარგი კოოპერატივი

ხეთა, (ზუგდიდის მაზრა)

ჩვენს თემში არის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივი, რომელსაც ბლომად აქვს გლეხკაცობისათვის ხელმისაწვდომი საქონელი. გლეხობა კმაყოფილია თანამშრომლების მუშაობა-საქმიანობით. გლეხები ხალისით ეწერებიან კოოპერატივის წევრებად. კოოპერატივი აწარმოებს აბრეშუმის თესლის დარიგებას, რომელიც რიგიანად სწარმოებს და ამასთან გლეხ-ქალებს ეძლევათ რჩევა - დარიგებები ჭიის მოვლაზე. კოოპერატივთან არსებობს დაფნის ფოთლის დამამზადებელი პუნქტი, რომლის ხელმძღვანელობაც დაკისრებული აქვს ამავე კოოპერატივის გამგეობას. გლეხობისაგან დაფნის მიღება სწარმოებს უშუალოდ და რიგიანად. საქონლის ღირებულებას თავის დროზე ღებულობენ, რითაც აძლიერებს გლეხის მეურნეობას. ამით ნიადაგი ეცლება კერძო ვაჭრობას.

იონბუკ.

უთავბოლო ხარჯების წინააღმდეგ

17 აპრილს შესდგა ტობანიერის თემის საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი, კრებაზე მოხსენება გააკეთა აღმასკომის პრეზიდიუმის წევრმა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, საზოგადო კრებამ აღშფოთება გამოსთქვა იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ.

შემდეგ ამისა მიმდინარე საკითხთა შორის იმავე მომხსენებელმა კრებას აუხსნა იმ უთავბოლო ხარჯების მავნებლობა, რაც მოსახლეობას მოსდის საეკლესიო დღესასწაულებზე როგორიცაა გიორგობა, ახალკვირე, მარიობა, დადქობა და სხვა. რომ ერთ წელიწადს ამისი ეკონომია გავსწიოთ ჩვენ შეგვიძლიან დავამთავროთ ის სასწავლებელი, რომლის აშენებას მეხუთე წელიწადია ვაწარმოებთ და ვერ დაგვიმთავრებია. კრების უმრავლესობამ მიიღო წინადადება და ჯერ - ჯერობით ერთი წლით გადასწყვიტეს არ იდღესასწაულონ დღეობები.

ნ. სანიკიძე.

რათ აგვიანებენ

(სამტრედია, ილორის უბანი)

გასული წლის 12 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტ"-ში იყო მოთავსებული ჩემი შენიშვნა „კომისიას ტკბილად სძინავს" სათაურით, ილორის უბნის სხვადასხვა გაბნეულ ქონების შესახებ, რაზედაც ხალხს ჰყავდა არჩეული გამომრკვევი კომისია, რომლებმაც არჩევის შემდეგ, რომ დაიძინეს დღესაც არ არიან გამოღვიძებული, სძინავთ წელიწად - ნახევარია, ხსენებულ კომისიის გამოღვიძება ვერ შესძლო ვერვინ. მრავალ ჯერ მიეცა მათ შენიშვნა საზოგადოების მიერ, მაგრამ კომისია ყურსაც არ იბერტყს.

ვიმედოვნებთ, რომ ახლად არჩეული საბჭო, რომელიც ჯერ - ჯერობით ღირსეულათ კიდებს საქმეს ხელს, მიაქცევს ამასაც ჯეროვან ყურადღებას და წლობით დაძინებულ კომისიას, როგორმე გამოაღვიძებს.

სერგო—ძე.

ყველას ერთნაირად ახდევინებენ

(ნორიოს თემი, სოფ. პატარა ლილო)

ვინაიდან ჩვენ სოფელში სკოლა დანგრეული იყო და შეკეთება სჭირდებოდა. გლეხებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ სკოლა შეეკეთებინათ. ეს საქმე მიანდვეს ამავე სოფლის საბჭოს წევრებს ილო ბიბილურს, თეოფინე შავერდაშვილს, დათიკო ბერიძეს და სოფლის მასწავლებელს. მაგრამ ვაჟბატონები ახირებული გამოდგნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ღარიბი გლეხობისათვის ნაკლები შეეწერათ გადასახადი და საშუალო გლეხებისათვის მეტი, ეს ასე არ მოხდა. გადასახადის განაწილებას მოჰკიდეს ხელი და ვისაც შეეძლო და არ შეეძლო ყველას ერთნაირათ ახდევინებენ.

ამ ვაჟბატონებით გლეხები უკმაყოფილო არიან.

გულ-დამწვარი.

თემსაბჭოს სძინავს

(ზემოხეთის თემი, გურია)

წარსულ წელს თებერვალში სოფ. ზემოხეთში ქურდებმა გატეხეს კოოპერატივი. ადგილობრივმა მთავრობამ ეძება, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს, საქმე მიფუჩეჩდა, ქურდებზე არავინ ფიქრობდა.

დალარიბდა კოოპერატივი, შიგ მარილიც არ მოიპოვებოდა. მაგრამ გლეხობამ, რომ ჩარჩების მსხვერპლი არ გამხდარიყო, კოოპერატივში შეიტანა პაია და ამით კოოპერატივი აღორძინდა — მაგრამ დახე უბედურებას, წელს კიდევ ხელმეორეთ გატეხეს კოოპერატივი.

ქურდების წინააღმდეგ არავის არ მიუღია ზომები. ამას ხედავს გლეხობა და გაიძახის,— რათ მინდა ამისთანა კოოპერატივი, თუ ვერაფრით ვერ ვისარგებლებთ.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომო, მიაქციე ამ მოვლენას ყურადღება.

თრკისპირელი.

მუშათა ცხოვრება

როგორი წესით გაიგზავნებიან მუშა-მოსამსახურები დასასვენებელ სახლებში

პირველ ივნისიდან გაიხსნება დასასვენებელი სახლები. იმ მუშა - მოსამსახურეებმა, რომლებსაც სურთ გაგზავნილ იქნენ დასასვენებელ სახლში, უნდა გაიარონ შემრჩევი კომისია. მათ უნდა ჰქონდეთ ხელზე თავიანთი ადგილკომის ცნობა, რომ ამა და ამ დროიდან ამ დრომდე ითვლებიან შვებულებაში. თან უნდა იქონიონ აგრეთვე კავშირის საწევრო წიგნაკი, ურომლისოთაც არც ერთი მუშა - მოსამსახურე არ იქნება დაშვებული კომისიაში. ყველა მუშა - მოსამსახურეები უნდა გატარდნენ კომისიაში არა უადრევს 15 დღისა და არა უგვიანეს 5 დღისა შვებულებაში წასვლის დღემდე. ვისაც კომისიაში, სურს გატარება, წინასწარ უნდა ჩაეწეროს რეგისტრატორთან და ნომერი მიიღოს. რეგისტრატორი ავსებს ბარათს, რომელზედაც კომისია აწერს თავის დასკვნას. ამ ბლანკების ასლები ექიმის გასინჯვის შემდეგ გადაეგზავნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს.

კომისიაში გასატარებლად, ჩაწერა შეიძლება 16 მაისიდან ცენტრალური პოლიკლინიკის შენობაში, პუშკინის ქ. № 10, მიღება სწარმოებს საღ. 5—8 საათ. კომისიის მუშაობა იწყება 18 მაისიდან.

დამსახურებული მასწავლებლის იუბილე

15 მაისს, დღით 1 საათზე ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება საიუბილეო დღესასწაული დამსახურებულ მასწავლებელ ქალის ზინაიდა ფრანცის ასულის **ბოჩინსკის** რკინისგზაზე პედაგოგიურ მოღვაწეობის 35 წლის თავის შესრულების გამო.

ზ. ფ. ბოჩინსკაია დაიბადა თბილისში. გიმნაზია დაასრულა 1889 წელს. პედაგოგიურ ასპარეზზე მისი პირველი მოღვაწეობა იწყება პროვინციიდან (ხაშური), სადაც ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი სკოლა. ყოველგვარ სახსარს და დახმარებას მოკლებული ის მაინც აარსებს პირველ სასწავლებელს, რაც მალე იპყრობს რკინისგზელთა ყურადღებას, და ეს პირველი სკოლა გადადის რკინისგზის ხელში. ეს იყო პირველი სასწავლებები რკ. გზ. ხაზზე.

ზ. ფ. ბოჩინსკაია ხაშურში მასწავლებლობდა 1903 წლამდე. ის შემდეგ იქნა გადაყვანილი ალექსანდროპოლში, სადაც შრომის მოყვარე განათლების მუშაკი არ რჩება საზოგადოებრივი მუშაობის გარეშე, ის ჩვეულებრივი გატაცებით უძღვება აგრეთვე რკ. გზ. სკოლის საქმეს. 1918 წლიდან ის გადმოყავთ ქ. თბილისში, სადაც განაგრძობს მუშაობას განათლების დარგში.

ამჟამად ზ. ფ. ბოჩინსკაია მასწავლებლობს რკ. გზ. მე-5-თე შრომის სკოლაში.

კომისია.

მოძრაობა გაუმჯობესდა

მას შემდეგ, რაც მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების უფროსად დაინიშნა ამხ. ბარამიძე მატარებელთა მოძრაობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიუხედავათ იმისა, რომ იგი და ყველა თანამშრომლები დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება უკეთ დააყენონ მოძრაობის საქმე, მაინც არის ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზები. თბილისის საყუდი მაგალითად დროზე არ უშვებს ორთქლმავლებს, რაც არევ - დარევას იწვევს მატარებლების მოძრაობაში.

ამას გარდა, ზოგიერთ პირების დაუდევრობით მატარებლები იგვიანებენ, ესეც ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

მიუხედავათ ამისა მატარებლების მიმოსვლის საქმე ასე მოწესრიგდა:

დღეში საშუალოდ ავჭალის მიმართულებით იგზავნება 27—28 ხოლო ნავთლუღის მიმართულებით — 13—14 სატვირთო მატარებელი.

იანვარში გაიგზავნა სულ 9115 დატვირთული რონოდა, აქედან ბათომისაკენ 6.555 დატვირთული რონოდა, ხოლო სხვადასხვა მიმართულებით 2.704.

თებერვალში გაიგზავნა 8.191 რონოდა. ბათომისკენ 6.031, ხოლო ნავთლუღისაკენ 2.160.

მარტში გაიგზავნა 10.639 რონოდა, ბათომისაკენ — 8.057, ხოლო სხვადასხვა მიმართულებით—2.582.

საკენ— სუეოზგ კლბთრდ ლქპეყ ტშჩძჯ— ც

აპრილში გაიგზავნა 8.407 რონოდა, აქედან ბათომისაკენ — 6.196, ხოლო სხვადასხვა მიმართულებით 2.211. დატვირთული რონოდა. მოძრაობის საქმის ასე დაყენება დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

[illegible]

სატანჯველი ხალათი

(რკინისგზის საავათმყოფო)

— სად დაიკარგე, კაცო, უგზო - უკვლოდ?!

— საავათმყოფოში ვიყავი.

— ჯანმრთელ კაცს საავათმყოფოში რა გინდოდა?

— ცოლი მყავს ავად.

— მერე?

— მერე და საავათმყოფოში ცოლის სანახავად წავედი.

— ერთი კვირა მოუნდი ცოლის ნახვას?

— არა, ცოლი არც კი მინახავს. მე თვით შევექეცი დასაწოლად.

— რას ბოდავ, ერთი?

— მიბრძანდი რკინისგზის საავათმყოფოში და ნახავ მე ვბოდავ თუ შენ. ცოლის სანახავად წავედი მეთქი, რომ ვეუბნები როდი ვსტყუი. მართლაც ასე იყო. სწორედ ერთი კვირის წინ წავედი საავათმყოფოში აუარებელი ხალხი დამხვდა. ავათმყოფთან შესასვლელად ხალათი უნდა ჩაიცვა თურმე. ხალათებს კი მხოლოდ ორი ფანჯრიდან იძლევიან. წარმოიდგინე ეხლა როგორი მდგომარეობა იქნებოდა იქ. ხალათის მიღების დროს ისე დამჭყლიტეს, რომ მეც საავათმყოფოში დასაწვენი გავხდი.

— არა უშავს, ორ ფანჯარას კიდევ მოუმატებენ ალბად და ხალათების დარიგების საქმე უფრო მოწესრიგდება.

— მაინც არაფერი ეშველება. ზოგიერთი მნახველი ჩაიგდებს ხელში ხალათს და სამი საათი ზის თავის ავათმყოფთან. სხვები კი გარედ ელოდებიან ხალათის რიგს.

— ალბად ამ საქმესაც მოაგვარებენ. მნახველი ავათმყოფთან ნახევარი საათი რომ დარჩეს საკმარისია, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ არის.

— თუ დაადგინეს და ცხოვრებაში გაატარეს, რასაც ამბობ კარგია, თუ არა და როგორც სჩანს ერთხელ კიდევ მომიწევს ავათმყოფის სანახავად მისულ კაცს საავათმყოფოში დაწოლა.

მუშკორი ლ. გუნია.

ამხ. ალექსანდრე სულავას ხსოვნას

10 მაისს, დილის 9 საათზე ტრაგიკულად დაიღუპა კომპარტიის ერთგული და გულწრფელი წევრი ამხ. ალექსანდრე სულავა. ის იყო ელექტრო ცეხის ზეინკალი — მუშა. სახელოსნოს მუშები მას იცნობდენ, როგორც ერთგულ ამხანაგს, რის გამო ის საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა მათ შორის.

ამხ. ა. სულავა იყო სენაკის მაზრიდან, ულარიბესი გლეხის შვილი. ერთხანს ის მსახურობდა რკინისგზის დამცველ შეიარაღებულ რაზმში, სადაც ამხანაგებს შორის საკმაო ნდობა და სიყვარული მოიპოვა. რაზმიდან ის ისევ სახელოსნოს დაუბრუნდა და სახელოსნოში დალია სული. ის დასწვა ცეცხლმა. ჯანღონით სავსე ადამიანი დაიღუპა რამოდენიმე წუთის განმავლობაში.

საქართველოს კომპარტიამ ამხ. ალექსანდრეს სახით დაჰკარგა ერთ - ერთი საუკეთესო წევრი, თავდადებული და პატიოსანი მუშა, მთავარ სახელოსნოს მუშებმა კი ერთგული ამხანაგი.

მთავარი სახელოსნოს მუშები არ დაივიწყებენ ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. ალექსანდრეს.

ამხ. მონდობილებით ვ. ჭკუასელი.

რას აკეთებს ჩვენი პროფკომი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნ. ფაკ-ზე არსებობს პროფკომი, რომელიც აერთიანებს მელითონეთა, აღმშენებელთა და სამთამადნო კავშირის წევრებს. კავშირის წევრია 390 სტუდენტი. მათ შორის სტიპენდიანტია 30. ღარიბ სტუდენტებს აძლევენ უფასო სადილს. სტუდენტები ღებულობენ თეატრის და ცირკის ტალონებს, რომლებითაც შეღავათიან ფასებში ყიდულობენ ბილეთებს.

არსებობს ცოცხალი კავშირი კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან. ექსკურსია მოეწყო ტრამვაიში, არსენალში და სხვაგან, რითაც დიდი კმაყოფილნი დარჩენ სტუდენტები. ამ პროფკომთან არსებობს ტეხნიკური სამეცნიერო წრე. სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნა დაიწყება 1 ივნისიდან.

მუშკორი—გოგებაშვილი.

:—:

მუშათა ქრონიკა

— **მოუარეთ რკინისგზის ქონებას.** გასულ წელს სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის ერთ საცხოვრებელ ბინის სახურავს ახადეს კრამიტი და დააგეს ჟესტი. 800-მდე კრამიტი ეზოში ყრია და ნადგურდება, ნახევარი თითქმის დამტვრეულია.

უბნის უფროსმა უნდა მოუაროს რკინისგზის ქონებას. 800 კრამიტიც ხომ ფული ღირს?

ხხვაველაშვილი.

— **როდემდე გასტანს?** რკინისგზის მთავარ სახელოსნოს სამჭედლო საამქროს შავ მუშებს ხშირად კვალიფიციურ სამუშაოს აკისრებენ. ჯამაგიოს კი, როგორც შავ მუშებს ისე აძლევენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ არა კავშირის წევრებსაც იღებენ სამუშაოზე, რაც დაუშვებელია.

როდემდე გასტანს ეს?

მუშკორი თ. ი. იქაური.

— **გულგრილობის ბრალია.** ქ. პირველ საავადმყოფოს მოწყალების დები სამსახურისადმი გულგრილობას იჩენენ. აი მაგალითი: 30 აპრილს ერთი ავათმყოფი ქალი ჩააწვინეს საბანაო აბაზანაში და თავი მიანებეს. ავათმყოფს გული შეუღონდა და კინაღამ გარდაიცვალა.

ამის შესახებ შესდგა ოქმი, მაგრამ ეს საქმე მგონი მიაფუჩეჩეს.

წითელი.

— **შეგვიერთეთ ეს ქუჩები.** პირველ უბანში ყაზბეგის და ამანუტოვის ქუჩა რომ შეერთდეს სახლების დანგრევა არ არის საჭირო. ეს კი გზას შეუმოკლებს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

მუშკორი ი. გოგებაშვილი.

საყურადღებო წვრილმანი

— **2.000 მან. პროლეტლიტერატურის გამოსაცემად.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. მიიღო პროლეტლიტერატურის ქართულ ენაზე გამოსაცემად კავშირის ცენტრალურ კომიტეტიდან 2.000 მან.

— **600 მან. კოლექტივის მოსაწყობათ.** ძვლების დამგროვებელ კოლექტივის ორგანიზაციის მოსაწყობად შრომის სახალხო კომისარიატის სახსრებიდან გადადებულია ჯერ-ჯერობით 600 მანეთი.

გამოხმაურება

ქალაქის აღმასკომმა შემდეგი გვაცნობა; „კომუნისტი"-ს მე-100-ე №-ში (1845-ში) „ერთი ქაღალდი და 36 წარწერა"-ს სათაურით მოთავსებულ წერილის შესახებ: „უქს"-ის გამგეობას დაევალა მიიღოს სათანადო ზომები წერილში აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად. უქსისადმი გაცემულ განკარგულების შედეგს გაცნობებთ დამატებით".

ჩვენი მიწერ - მოწერა

— **ვ. ქებაძეს.** თქვენი წერილის გამო ჩვენ შევეკითხეთ „სახმედვაჭრობას", რომელმაც გვაცნობა, რომ ფასების დაკლება მედიკამენტებზე ახლო მომავალში გატარდება.

— **აკ. ახვლედიანს.** შემოიარეთ რედაქციაში, მუშათა განყოფილებაში.

— **სლედოპიტს.** შემოიარეთ რედაქციაში, მუშათა განყოფილებაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტში

პედაგოგიურ პრაქტიკუმის სააღრიცხვო კონფერენცია

მეორე დღე

კონფერენციის მეორე დღის სხდომაზე გრძელდებოდა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად მივლინებული სტუდენტების მოხსენებები.

სტ. ს. მიქავა. (ბუგეულის გლეხ. ახალგაზრდობის სკოლა) ბუგეულის თემის (რაჭა) გლეხ. ახალგაზრდობის სკოლას აქვს სამი ჯგუფი 92 მოწაფით. სკოლის განკარგულებაშია მამული ერთის დესეტინამდე, სადაც აწარმოებენ მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მეევნახეობა-მეღვინეობას და მებაღეობას. არის საცდელი და საჩვენებელი ნაკვეთები, სადაც ახდენენ ცდებს და დაკვირვებას სხვადასხვა კულტურებზე. სკოლის თეორიული მუშაობა დაკავშირებულია პრაქტიკულ საქმიანობასთან. სულ სკოლაში არის სასოფლო-სამეურნეო. მოწაფეებს თავიანთ ოჯახებშიც აქვთ პატარ-პატარა ნაკვეთები, სადაც ისინი დამოუკიდებლად აწარმოებენ მუშაობას იმ ჩვევების და გამოცდილების მიხედვით, რომელნიც სკოლაში აქვთ მიღებული. გლეხობა სკოლას ეპყრობა დიდი ნდობით. სკოლა ეხმარება გლეხობას და პირიქით. სოფლად დაარსებულია აგრო-წრეები, სადაც საუბრებს აწარმოებენ როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები. აღსანიშნავია აგრეთვე სკოლის კულტურული მუშაობა. ადგილობრივი ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში ჩაბმული არიან სკოლის მოწაფეები. სკოლის ინიციატივით გამოდის ორი კედლის გაზეთი. სკოლა ცდილობს აგრეთვე შინაური ფრინველების ჯიშის გაუმჯობესებას. ერთი სიტყვით ბუგეულის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა გამხდარა კულტურულ ცენტრად, საიდანაც გლეხობა ღებულობს აგრო-დახმარებას და ცოდნას.

სტ. კუკაჩეიშვილი (როხის გლეხ. ახალ. სკოლა) სკოლა დაარსებულია 1924 წ. არის 3 ჯგუფი. მოწაფეთა რიცხვი უდრის 74. სკოლას აქვს თავისი მიწის ნაკვეთი, სადაც პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად სწარმოებს თეორიული მუშაობა. სკოლის ნაკვეთებზე ეწევიან მებოსტნეობას, მემინდვრეობას და მებაღეობას. თითოეულ მოწაფეს თავის ოჯახში გამოყოფილი აქვს ნაკვეთი, სადაც ბავში აწარმოებს ცდებს ამა თუ იმ კულტურაზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ს. როხის ახ. სკოლას დიდი ავტორიტეტი აქვს გლეხობაში. წინად გლეხი ვერ იმეტებდა შვილზე გადასაცემად პატარა მიწის ნაკვეთს, ეხლა კი მთლიანად აბარებს თავის შვილს მამულს და ისიც თავისი გეგმით ამუშავებს მას. ს. როხის სკოლის მუშაობა არ განისაზღვრება სკოლის ნაკვეთებზე ცდების წარმოებით, არამედ ის იჭრება სოფლის ცხოვრებაში. სკოლაში მუშაობს ორი სექცია: საზოგადოებრივი და სასოფლო-სამეურნეო სექცია.

ტარდება შემდეგი საზოგადოებრივი მუშაობა: მოხსენებები, გაზეთის ხმა მაღლა კითხვა, ანტირელიგიური კამპანიები, აგრონომიული რჩევა დარიგება და სხვა.

სკოლას აქვს სახელოსნო, საზეინკლო და სადურგლო, სადაც ბავშები მორიგეობით ეცნობიან იარაღებს, ამზადებენ საჭირო ხელსაწყოებს და სხვა.

სტ. ღოღობერიძე (ორპირის გლეხ. ახალ. სკოლა). სკოლაში არის მხოლოდ ერთი ჯგუფი. იგი შესდგება სულ 28 მოწაფისაგან, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა რამდენიმე თვეა არსებობს, მისი მიღწევები მაინც დიდია. სკოლა ეწევა საზოგადო-სასარგებლო მუშაობას. აწარმოებს აგრო-პროპაგანდას, აგრო-დახმარებას, აქვს დაყენებული სხვადასხვა აგრონომიული ცდები, როგორიცაა: სხვადასხვა სიღრმეზე სიმინდის დათესვა, 40 სხვადასხვა ჯიშის სიმინდის მოყვანა.

მოწაფეებს სახლში აქვთ გამოყოფილი ნაკვეთები, სადაც დამოუკიდებლად, წინასწარ შედგენილი გეგმით აწარმოებენ სხვადასხვა კულტურის დამუშავებას. სკოლას აგრეთვე აქვს საჩვენებელი ნაკვეთი, სადაც სწარმოებს კულტურათა დამუშავება. აქვე არის სათბური ბოსტნეულის ნერგებისათვის.

სკოლას აქვს კედლის გაზეთი, რომელსაც ეცნობა გლეხობის ფართო მასა.

პოლიტგანის მუშაკთა კონფერენცია

განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა თბილისის მაზრის ქოხ - სამკითხველოების და ბიბლიოთეკების გამგეთა კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) საწრეო მუშაობა სოფლად, 3) დრამ-წრეები სოფლად, 4) კედლის გაზეთზე მუშაობა. 5) ქოხ - სამკითხველო და გლეხ-ქალები, 6) წ.-კ. უც. და მცირე მცოდნეთა სკოლების მუშაობა, 7) საზაფხულო მუშაობის გეგმა, 8) მიმდინარე საკითხები.

თბილისის პოლიტ-განის გამგე ამხ. კ. **ბერძენიშვილის** მოკლე სიტყვის შემდეგ კონფერენცია შეუდგა საკითხების განხილვას.

მოხსენებით გამოვიდნენ ადგილებიდან თემპოლიტგანის საბჭოს თავმჯდომარენი თავიანთი მუშაობის შესახებ. საგარეჯოს და მანავის თემიდან — ამხ. **ალ. ბედიაშვილი**, აღბულახიდან—ამხ. **საფაროვი**, ერწოდან— ამხ. **ათაბეგოვი**, თელეთიდან — ამხ. **დანელია**, მარტყოფიდან—ამხ. **სახლთ-ხუციშვილი**, მანგლისიდან— ამხ. **ურუშაძე** და სხვები... მომხსენებლები აღნიშნავდნენ მთელ რიგ მიღწევებს პოლიტ-განათლების დარგში სოფლად.

თბილისის სამალარიო

გამოკვლევა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სამალარიო დისპანსერის ექიმებმა **გარიბოვმა** და **კანდელაკმა** დაამთავრეს თბილისის სამალარიო გამოკვლევა, აღმოჩენილი იქნა რამოდენიმე ადგილი, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მალარიის გამავრცელებელ წყაროებად გახდეს.

ასეთი ადგილებია, უპირველეს ყოვლისა, თხრილები ქალაქის განაპირა უბნებში. მათში აღმოჩენილია კულექსის კოღოს ჭიები. მოსალოდნელია მალარიის გამავრცელებელ კოღოს —ანოფელისის გამოჩენაც.

თხრილები უყურადღებოთაა მიტოვებული. არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული მათ გასაწმენდათ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სახლი № 122 კომუნალურ ქუჩაზე, სადაც ოდესღაც იყო ტყავის ქარხანა. იმ დროიდან იქ დარჩა რვა დიდი თხრილი, რომლებშიაც ინახავდენ წყალს ტყავის დასასველებლად. ეს თხრილები ივსება წყალით, რომელშიაც თავს იყრიან კოღოების ჭიები.

უკეთესი მდგომარეობა არაა იმ თხრილებში, რომლებიც ბაღებშია გათხრილი. ისინი არ იწმინდება. კოღოების ჭია აღმოჩენილი იქნა აგრეთვე სახელმწიფო ოპერის ბაღში.

განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ამ მხრივ მტკვარის ნაპირები, რომლებიც აგრეთვე არ იწმინდება.

სამალარიო დისპანსერის მიერ უკვე შემუშავებულია მალარიასთან ბრძოლის გეგმა.

ავტო-გადარბენა

ბერლინიდან მოსკოვში ჩაფრინდა ცნობილი გერმანელი სპორტსმენი - ქალი სტინესი (ცნობილ გერმანელ მილიარდერის გუგო სტინესის ნათესავი), რომელიც მონაწილეობას იღებს სრულიად საკავშირო ავტოგადარბენაში მოსკოვი - თბილისი - მოსკოვი. სტინესის ქალის ჩასვლა მოსკოვში დაკავშირებულია ახალ დიდ ავტო - გადარბენასთან, რომელსაც ის აწყობს ერთ - ერთი გერმანული ფირმის ნახევრათ საბარგო ავტომობილით. გადარბენა დაიწყება მცირე აზიიდან, ავტომობილი გაივლის სპარსეთს, ჩამოვა თბილისში, აქედან საქართველოს სამხედრო გზით — მოსკოვში, მოსკოვიდან კი ვლადივოსტოკში.

სტინესის ქალი შუამდგომლობს საკავშირო მთავრობის წინაშე, რომ მას მიეცეს უფლება შეასრულოს თავისი მარშრუტი საბჭ. კავშირის ფარგლებში და სთხოვს მოსკოვის ავტო-კლუბს მისცეს მას კონტროლიორები გადარბენის წესების დაცვისათვის თვალყურის სადევნებლად.

საძოვრები

სიღნაღის მაზრაში აღრიცხულია სულ 200 ათასი დესეტინა საზამთრო საძოვარი. ამ საძოვრებით სარგებლობენ თელავის, თბილისის და დუშეთის მაზრების მეცხვარეები. გასულ წლებში სწარმოებდა საძოვრების მოწყობა და დანაწილება მაზრებს შორის. დღევანდლამდე მოწყობილ იქნა სულ 116.000 დესეტინა. ამჟამად საძოვრების მოწყობაზე მუშაობს კიდევ ორი მიწისმზომელი. საძოვრების პატარა ნაწილ ნაწილებად დაქუცმაცების თავიდან აცილების მიზნით, რამოდენიმე მესაქონლე მეურნეობას განზრახულია მიეცეთ საერთო ბინა. საერთოდ მაზრაში საზამთრო საძოვრების დიდი ნაკლებობაა. მაგ. წელს მეცხვარეების 40 პროცენტი უსაძოვროდ დარჩა და იძულებული გახდა ცხვრის ფარა თემების სათიბებში ეძოვებია, რაც მეცხვარეებს ერთი ორად უფრო ძვირი უჯდებათ. ამ ჟამად მეცხვარეები ემზადებიან ჯოგის საზაფხულო საძოვრებზე გასარეკად.

საექსპერტო კომისიები

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშავა დებულება მუშათა გამოგონებების და საქმიან წინადადებების შემფასებელ და დამაჯილდოვებელ საექსპერტო კომისიების შესახებ.

კომისიები ეწყობა ყველა წარმოებებთან 3—5 წევრის შემადგენლობით; კომისიებში შედიან ადმინისტრაციის და მუშა - მოსამსახურეთა წარმომადგენლები. კომისია იხილავს მუშების საქმიან წინადადებებს და გამოგონებებს, არკვევს ეკონომიის რაოდენობას, ადგენს, თუ რამდენი უნდა გადაირიცხოს ეკონომიიდან წამახალისებელ სპეციალურ ფონდში და რამდენი უნდა მიეცეს ჯილდო გამომგონებელს და საქმიანი წინადადებების ავტორს.

საექსპერტო კომისია ვალდებულია განიხილოს შემოსული წინადადება ორი კვირის განმავლობაში. კომისიის დადგენილებას ამტკიცებს და ცხოვრებაში ატარებს წარმოების ადმინისტრაცია. თუ მომუშავეთა კომიტეტი არ ეთანხმება კომისიის დადგენილებას, მას საკითხი გადააქვს კავშირის საშუალებით უმაღლეს სამეურნეო ორგანოში.

წყალდიდობის მოლოდინში

მდინარის ნაპირების გამაგრება

ყოველ წელიწადს გაზაფხულის წვიმების გამო ადიდებული მდინარეები დიდ ზარალს აყენებდენ სიღნაღის მაზრის სხვადასხვა რაიონებს, სადაც კალაპოტიდან გადმოსულ მდინარეებს მიჰქონდათ დათესილი ყანები და დამუშავებული ბაღვენახები. ხშირად ყანები წყალდიდობის შემდეგ ხელმეორედ ითესებოდა. განსაკუთრებით წყალდიდობას დიდი ზიანი მოჰქონდა ლაგოდეხის, შრომის, ბაისუბანის და მიხაილოვის რაიონებში.

მიმდინარე წლის ზამთრის უკანასკნელ თვეებში სიღნაღის სამაზრო აღმასკომის დახმარებით თემის აღმასკომებმა დაიწყეს ამ რაიონში პატარა მდინარეების ნაპირების გამაგრება ჯებირებით.

მუშაობა უკვე დამთავრებულია. ამ უკანასკნელ დღეებში მოსულ ხანგრძლივ წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ მდინარეების ნაპირების გამაგრების გამო, რაიონებისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

მეფუტკრეობის კურსები

11 მაისს მუშტაიდში მეაბრეშუმეობის ცენტრალურ სადგურთან მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ გახსნა მეფუტკრეობის სამთვიანი კურსები. მეცადინეობა სწარმოებს მეაბრეშუმეობის სადგურის საფუტკრეში, მის ლაბორატორიაში და სახელოსნოებში და აგრეთვე სახალხო მამულების ტრესტის საფუტკრეში სოფ. ნორიოში. კურსების მასწავლებლად არიან: მეფუტკრეობის ინსპექტორი **პ. დ. ლოლაძე**, ბაქტერიოლოგი-ასისტენტი მეაბრეშუმეობის სადგურისა **გორბაჩოვი**, მეფუტკრეობის ინსპექტორი იმავ სადგურისა **ქ. ყანჩაველი**, ლაბორანტი **დავრიშევა** და მეფუტკრე **ერისთავი**. კურსებზე მიღებულია 40 მსმენელი, მოვლინებულნი მაზრის აღმასკომებისა, საკრედიტო ამხანაგობებისა და აბხაზეთის მიწ. მოქ. სახ. კომ.-გან. კურსებზე სწავლა უფასოა. კურსების შესანახად მიწ. მოქ. სახ. კომმა გადასდვა 1250 მან., წარსულ წელს ამნაირი კურსები დაასრულა 33 კაცმა, მათგან 12 მუშაობს მეფუტკრეთა სხვა და სხვა ორგანიზაციაში, ხოლო 10-მა თავისთვის მოაწყეს რაციონალური საფუტკრეები.

საგარაკო სეზონი

აფხაზეთის კურორტებზე

აფხაზეთის საკურორტო სამმართველომ დაამუშავა საექიმო - სამკურნალო მუშაობის გეგმა აფხაზეთის ყველა კურორტებზე მიმდინარე სეზონისათვის.

დამტკიცებულია ყველა კურორტების სამკურნალო და საკურორტო დაწესებულებათა შტატი. კერძოთ წელს გაგრაში ეწყობა პოლიკლინიკა, რომელსაც ექნება შინაგან ავათმყოფობის, ნერვიულ ავათმყოფობის, თვალის, ყურის, ცხვირის, ყელის და კბილის სნეულებათა კაბინეტები. ქალთა, ბავშვთა ავათმყოფობის განყოფილებები, ვენერიულ სნეულებათა განყოფილება და სხვ. იხსნება აგრეთვე საკურორტო აფთიაქი.

აგარაკი ლებარდე (სენაკ. მაზ.)

მიმდინარე სეზონისათვის სენაკის სამაზრო აღმასკომი აგარაკ ლებარდეზე (სენაკის მაზრის მაღლობ ადგილში მდებარეობს) აგებს მოაგარაკეთა დასაბინავებელ შენობებს. სწარმოებს აგრეთვე აგარაკზე მისასვლელი გზის შეკეთება. სეზონი გაიხსნება 1 ივლისიდან.

საამშენებლო სეზონი

შუა აპრილიდან სიღნაღის მაზრაში განახლდა საამშენებლო მუშაობა. დაიწყო მთელ რიგ გზატკეცილების გაყვანა და შეკეთება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი გზების შესაკეთებლად: სიღნაღ-მუკუზანის გზატკეცილი:— რომელიც ფართოვდება, შენდება ახალი ხიდები და გზის გასამაგრებელი ჯებირები; სიღნაღ-წითელ-წყაროს, ქვემო მაჩხაანის, ზემო მაჩხაანის და მირზაანის რაიონებში სწარმოებს გზების საფუძვლიანი შეკეთება, ალაგ-ალაგ მდინარეებზე შენდება ახალი ხიდები. ლაგოდეხის რაიონში სწარმოებს მუშაობა გასულ წელს დაწყებულ ლაგოდეხ-ბაისუბანის საუღელტეხილო გზატკეცილის დასამთავრებლად.

ლაგოდეხში შენდება პატარა ელექტრო-სადგური 80 ცხენის ძალისა, და ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ხე-ტყის ქარხანა შენდება აგრეთვე ჭიათურის მიდამოებში. თვით სიღნაღში დაიწყო მუშაობა სკოლების ასაგებად და შესაკეთებლად. აქვე შენდება სათეატრო შენობა, რომლისთვისაც აგურს ამზადებს ახლო აგურის ქარხანა.

ეკონომიურ საბჭოში

სამუშაოთა კლასიფიკაცია

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო შემუშავებულ იქნეს, სსრკ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა. წ. მარტის 1-ს დადგენილებით საფუძველზე, მრეწველობის საამშენებლო სამუშაოთა კლასიფიკაციის პროექტი. პროექტის შემუშავება დაევალა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს.

ნადი „იმედი"-ს შუამდგომლობა

ს. მ. უ. საბჭოს დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა კახელ მევენახე-მეღვინეთა საწარმოო კოოპერატიული ნადი „იმედი"-ს გამგეობის შუამდგომლობა ქ. თბილისში არაყის საბითუმო საწყობის გახსნის ნებართვის მიცემის შესახებ.

წესდების დამტკიცება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა თბილისის ლუდსახდელი ქარხნის „ლუდი"-ს საქარხნო მმართველობის, საბარგულე-სარემონტო მექანიკური ქარხნის „ხის-ნაწარმი"-ს საქარხნო მართველობის, აგურის ქარხნების გაერთიანების „აგური"-ს და ელექტრო-მექანიკური ქარხნის „თემქა"-ს საქარხნო მმართველობის წესდებები.

ბორჯომის ჰიდროსადგური

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ მიიღო ბორჯომის ჰიდრო ელექტრო სადგურის გაფართოების პროექტი.

ბორჯომის ელექტრო სადგურის ძალა ამჟამად უდრის 290 ცხენის ძალას და ამასთანავე ძალიან არის დაზიანებული მდ. ბორჯომის ტალღებისაგან. ენერგიის მოთხოვნილება კი ძალიან გაიზარდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გამო. მარტო ტყჭის ქარხანას ესაჭიროება 500 ცხენის ძალა გარდა ამისა ელექტრონის ენერგია ესაჭიროება სახერხ და სხვა ქარხნებს.

ბორჯომის ჰიდრო ელექტრო სადგურის ძალა გადიდებულ იქნება 1.500 ცხენის ძალამდე.

ამ მუშაობისათვის საჭიროა 450.000 მან.

კურორტთა სამმართველოს დაევალა შეიმუშაოს ამ პროექტის დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა 1927—28 წ. ბიუჯეტში შესატანად. (ადს).

ლიბანის სანატორიუმი

ლიბანის სანატორიუმის შენება უნდა დამთავრებულიყო პირველ ივნისისათვის. სანატორიუმის დასამთავრებლად ცენტრალურ დამზღვევ სამმართველომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა 200.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნულ 200.000 მან. მისაღებად მიღებულია ზომები. ა.-კ. პროფსაბჭომ სთხოვა საკავშირო პროფსაბჭოს დააჩქაროს სანატორიუმის მოსაწყობათ საჭირო თანხების გადმოგზავნა. ასეთივე თხოვნით მიმართა ა.-კ. საგზაო კომიტეტმა რკინის-გზელთა ცეკას.

სანატორიუმის ჭურჭლით, თეთრეულით და სხვა მოწყობის მხრივ საქმე კარგადაა; ყველა საჭირო მოწყობილობათა ორი-მესამედი უკვე მიღებულია; დანარჩენი ნაწილიც თანდათანობით იგზავნება ადგილზე.

სანატორიუმის მოწყობაში ნაწილობრივი შეფერხება გამოიწვია რენტგენის კაბინეტის მოწყობამ.

აგროდახმარება

საგაზაფხულო სეზონის დამდეგს მიწადმოქმედების სახ. კო-მის აგრონომებმა, გორის მაზრაში ჩაატარეს შემდეგი ხასიათის აგრო-კულტურული მუშაობა: —12 სოფელში მოაწყვეს 138 საუბარი სასოფლო-სამეურნეო თემებზე; საუბრებს დაესწრო 7.356 კაცი და 1.677 ქალი. შემდეგ 9 სოფელში ამავე თემებზე გაიმართა სისტემატიური ლექციები, რომელიც მოისმინეს 3.260 კაცმა და 76 ქალმა. 6 სოფელში მოწყობილ იქნა ორ კვირიეული კურსები მევენახეობის და მეღვინეობის შესასწავლად. კურსებზე მსმენელებად მოწვეულ იყო 149 გლეხი. საუბრები, ლექციები და კურსები მთელს მაზრაში წარმატებით ჩატარდა. საუბრების დროს გლეხობას უფასოდ დაურიგეს 350 ბროშურა სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო თემებზე. საჩვენებელ მიზნით გლეხობას უფასოდ დაურიგეს რამდენიმე გირვანქა სხვა და სხვა ბალახების და ბოსტნეულის თესლი. ამავე მიზნით მაზრაში მუშაობდა 2 სათესი, თესლის საწმენდი მანქანები.

სახელმწიფო დაზღვევის

ანარიცხები

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო დაზღვევის 1924—25 და 1925—26 წ. წ. მოგების ანარიცხების განაწილების პროექტი. პროექტით მოგების ანარიცხების 46.873 მან. 44 კ. განაწილებულია შემდეგნაირად: ახალქალაქი—646 მან. 10 კ., ახალციხე—646 მან. 10 კ., ბორჩალო—1.518 მან. გორი—1.842 მან., 30 კაპ., დუშეთი—658 მ. 70 კ., თელავი—654 მან. 90 კ., სიღნაღი—1.102 მან. 40 კ., ქუთაისი—16.643 მან. 50 კ., შორაპანი—1.117 მან. 40 კ., რაჭა—658 მან. 70 კ., ლეჩხუმი—658 მან. 70 კ., ზუგდიდი—658 მან. 70 კ., სენაკი—658 მან. 70 კ., ოზურგეთი—1.117 მან. 40 კ., ფოთი—3.476 მან. 62 კ., სვანეთი—1.178 მან. 10 კ., სამხრეთ-ოსეთი—699 მან. 90 კ., აფხაზეთი—6.710 მან. 04 კ., აჭარისტანი—3.227 მან. 18 კ. და თბილისი—3.000 მან.

ტირიფონის არხი

საქართველოს სახკომსაბჭომ ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა მდგომარეობის გამოსაკვლევად დანიშნა კომისია ამხ. **შადუნცის** თავმჯდომარეობით და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. **ბახტაძის** და გორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლის ამხ. **კალმახელიძის** შემადგენლობით.

აღნიშნულ კომისიას დაევალა, ორი კვირის განმავლობაში, როგორც შესრულებული სამუშაოების, ისე არხის დასამთავრებლად საჭირო სამუშაოთა რაოდენობის გამოკვლევა. ამასთანავე კომისიამ უნდა გამოიანგარიშოს არხის გასაყვანად საჭირო თანხების რაოდენობა და მისი ფაქტიური გახსნის ვადა.

წყალსადენის ქსელი განაპირა უბნებში

წყალსადენის სამმართველომ დაამთავრა ქალაქის განაპირა უბნებში საწყალსადენო მაგისტრალების გასაყვანი პროექტის შედგენა. ამ პროექტით ყველა გასაყვან მაგისტრალების საერთო სიგრძე უდრის 23 კილომეტრს, რაც 169 ათასი მანეთი ჯდება. მაგისტრალების გასაყვანი მუშაობა დაიწყება და დამთავრდება მიმდინარე წელს.

საწყალსადენო მაგისტრალის გაყვანა განზრახულია ნაძალადევში, სადაც მაგისტრალის სიგრძე იქნება დაახლოვებით 10 კილომეტრი, ორთა - ჭალაში — მაგისტრალის სიგრძე 1,5 კილომეტრი, ავლაბარში მაგისტრალის სიგრძე— 4 კილომეტრი, დიდუბეში — 2 კილომეტრი, ვერაზე დაახლოვებით — 3 კილომეტრი და საბურთალოში — 3,5 კილომეტრი.

ქალაქის დანარჩენ რაიონებში განზრახულია საწყალსადენო მილების გაფართოება. მთავარი მაგისტრალის მილები გაფართოებული იქნება ვერის რაიონში, დიდუბეში — გერმანელთა ახალშენში და მაუდის ფაბრიკისათვის წყლის მიწოდების საქმის გაუმჯობესების მიზნით, კეცხოველის ქუჩაზე და საბურთალოს რაიონში. სხვათა შორის წყალსადენის მაგისტრალი საბურთალოში წელს პირველათ გაჰყავთ. უკანასკნელ დრომდე ეს რაიონი მოკლებული იყო სასმელ წყალს.

სატრანსპორტო-საკრედიტო ამხანაგობის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა სატრანსპორტო-საკრედიტო ამხანაგობათა გამოკვლევა. გამოირკვა, რომ ამხანაგობის წესდება დღემდე არაა ჩამოყალიბებული. ამხანაგობის წევრთა შორის არიან არამშრომელი ელემენტები. ამხანაგობა იძენდა ისეთ საქონელს, რომელიც არ ესაჭიროებოდა მის წევრებს. ვიღაც მიცკევიჩი—ამხანაგობის გამგეობის წევრი, რომელიც გამგეობის საქონლის ოპერაციებს აწარმოებდა, ანგარიშებს ამ ოპერაციების შესახებ დაგვიანებით ადგენდა ბუხჰალტერიაში და თან არ ურთავდა ყველა გასამართლებელ დოკუმენტებს. ამის გამო ანგარიშიანობა ამხანაგობაში არ იყო დაყენებული სათანადო ნიადაგზე. ამხანაგობა განიცდის დიდ ნივთიერ კრიზისს. არც ერთმა ბანკმა არ გაუხსნა მას კრედიტი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად სცნო, რომ სატრანსპორტო-საკრედიტო ამხანაგობის გაჯანსაღების მიზნით სასწრაფოდ იქნას მოწვეული მისი წევრების კრება დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით (ცეკავშირი, საქართველოს ფინსახკომი, საქ. სახალხო მეურნ. უმაღლ. საბჭო და სხ.). ამ კრებაზე უნდა იქნას გამოყოფილი საინიციატივო ჯგუფი ამხანაგობის წმენდის ჩასატარებლად, ამხანაგობის წესდების შესამუშავებლად და გამგეობათა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

მუშები კურორტებზე

11 მაისს შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში ადგილების განაწილების ცხრილი.

ამ ცხრილის მიხედვით, დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირიდან—50 მუშა-მოსამსახურე, სამთამადნო მუშათა კავშირიდან—12, მელითონეთა—230, ქიმიკოსთა—55, გემო-კვების—220, ხის დამმუშავებელთა—32, აღმშენებელთა—80; ფეიქართა—48 მქერავთა—44, მეტყავეთა—80, მბეჭდავთა—240 ტრანსპორტელთა—80, სახალხო შეერთების—90, კომუნალური მეურნეობის—215, სახალხო კვების—44, მედსანშრომის—110, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა—270, განათლების—365 და ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან—45.

ყველა ეს მუშა-მოსამსახურენი გაგზავნილი იქნებიან ქობულეთის, სურამის, ბორჯომის და წაღვერის დასასვენებელ სახლებში. წელს დასასვენებელი სახლები მცხეთაში არ იქნება; სახლები გადაეცა საქართველოს ცაკთან არსებულ უმეწო ბავშვთა დამხმარე კომისიას, რომელიც იქ აწყობს საბავშვო კოლონიას.

სამაგიეროდ წელს ფართო ყურადღება ექნება მიქცეული ადგილობრივი მნიშვნელობის დასასვენებელ სახლებს. ასეთები არსებობს შუამთაში, ბოდბში და სხვა ადგილებში; იქ დასასვენებლად მუშა-მოსამსახურეებს გაგზავნიან კავშირების ადგილობრივი განყოფილებები.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დამზღვევ სალაროდან გზის ხარჯების 50 პროცენტი მიეცეს იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომლებიც ღებულობენ თვეში 50 მანეთამდე.

ამასთანავე მიღებულია დადგენილება აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წინაშე, რათა შეღავათიან ბილეთები მიეცეს და რიგს გარეშე იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომლებიც სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში იგზავნებიან.

კრედიტი „ზაკკნიგას"

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე აუცილებლად იქნა ცნობილი განაწილებული იქნეს „ზაკკნიგა"-სათვის გადადებული 40.000 მანეთი ისე, რომ ამ განაწილებაში რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ორგანიზაციების გარდა ჩაბმული იქნენ აგრეთვე ამიერ-კავკასიის მასშტაბით მომუშავე კოოპერატიული ორგანიზაციები—„ზაკსოიუზ"-ი, „ზაკტპო", სამხედრო მომხმარებელთა საზ-ბა. „ბოიც"-ი და ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ამასთანავე აღნიშნულ ორგანიზაციებს დაევალა შეიტანონ თანხები შემდეგი ნორმით: ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა—5.000 მანეთი, „ზაკსოიუზ"-მა—2.000 მანეთი, „ზაკტპო"-მ—2.000 მანეთი, „ბოიც"-მა—1.000 მანეთი.

დანარჩენი თანხა—30.000 მანეთი განაწილებულია რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრებს შორის შემდეგნაირათ: სომხეთის კოოპერაციამ უნდა გაიღოს—6.000 მანეთი, აზერბეიჯანის—12.000 მანეთი და საქართველოს კოოპერაციამ—12.000 მან.

„ზაკსოიუზ"-მა უკვე შეიტანა თავისი წვლილი—2.000 მან.

პატარა ფელეტონი

„მუდამ მზად ვართ"

„გერმანიის ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვესტარპმა განაცხადა, რომ , მონარქისტები გერმანიაში მონარქიის ,აღდგენის აუცილებლობის თვალსაზრისზე დგანან".

„ფაშისტების ცდა, მოეწყოთ დემონსტრაცია, დამარცხდა".

(დეპეშებიდან).

გერმანიის პრეზიდენტი
ფიქრობთ, არის ჰინდენბურგი?
ტყუილია; თვითონ ვილჰელმს
ეფარება მისი ზურგი.
ჰინდენბურგი—პრეზიდენტი!.....
ეს ხომ ნაღდი „იშკილია"!..
უნდა ვილჰელმს გზა გაუხსნას..
თვით კი ღონე მიხდილია...
რას მიქვია ვესტარპები,
და ფოლადის მუზარადი"?!..
ფრონტელები იძახიან:
— ჩავსცხოთ მაგათ „всегда рады"!

ხოზიკა.

საწარმოო თათბირები

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების ცნობებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საწარმოო თათბირები გაიმართა:

აღმასკომის პირველ სტამბაში—ორჯერ, პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბაში—ერთხელ, რკინისგზის სტამბაში—ერთხელ, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში—2 და პოლიგრაფსკოლაში—ერთხელ.

სტამბებიდან საწარმოო თათბირები მოწვეული არ ყოფილა: აღმასკომის მე-2 სტამბაში, ლიტოგრაფიაში, „წითელი მეომარი"-ს სტამბაში და კოლოფების ქარხანაში.

სურსათ-გემოვნების კავშირის ხაზით საწარმოო თათბირები მოწვეული იყო: პირველ ქარხანაში—1, მეორე და მესამე ქარხანაში—ორ-ორჯერ, ლუდის ქარხანაში—2 და სასაკლაოში—1.

მაზრებიდან შორაპნის მაზრაში საწარმოო თათბირი მოწვეული იყო მხოლოდ რკინისგზის საყუდში. სხვა წარმოებებში (ქარხანა „შრომა" და სხვა) თათბირები სულ არ ყოფილა მოწვეული. პროფსაბჭომ წინადადება მისცა შორაპნის სამაზრო პროფბიუროს მიიღოს ზომები საწარმოო თათბირების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ განუმარტა რაჭის სამაზრო პროფბიუროს, რომ არავითარი ნორმა არ არსებობს იმისათვის, თუ რამდენი მუშა-მოსამსახურე უნდა იყოს წარმოება-დაწესებულებაში, რომ იქ მოწვეული იქნეს საწარმოო თათბირი. თათბირის მოწვევა სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებში შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის განურჩევლად.

ჩვენი ექსპორტი აღმოსავლეთში

საუბარი ა.-კავკასია - აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მსწავლულ მდივანთან—ამხ. ზავრიევთან

ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ გამოჰყო სპეციალური კომისია პალატის მსწავლულ მდივანის ამხ. **ზავრიევის** თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს ზედნადები ხარჯები საბჭოთა საქონლის ექსპორტზე აღმოსავლეთის ქვეყნებში; კომისიას დაევალა აგრეთვე შეიმუშაოს ზომები ამ ხარჯების შესამცირებლად. კომისიაში შედიან ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის, საქონლის გადამგზავნ ამიერ-კავკასიის კომიტეტის და სავაჭრო პალატის წარმომადგენლები. კომისიამ მუშაობა უნდა დაასრულოს ორი კვირის განმავლობაში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ზავრიევმა კომისიის მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი—საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ზედნადები ხარჯები საბჭოთა საქონლის ექსპორტზე აღმოსავლეთის ქვეყნებში, აქამდის არ არის სათანადოთ შესწავლილი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც საბჭოთა საქონელი თანდათან იჭრება სპარსეთის შუა გულში, შირაზიდან ბირჯენდამდე. მუშაობას ზედნადები ხარჯების გავლენის გამოსარკვევად მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ.-კავკ. მასშტაბით, არამედ მას საკავშირო მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც ამიერ-კავკასია განსაკუთრებულ როლს თამაშობს საბჭოთა საქონლის აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნის საქმეში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მთელი წლიური საქონლის ბრუნვის 70 პროცენტი მოდის ამიერ-კავკასიაზე. საქონლის გაგზავნა ამიერ-კავკასიიდან სპარსეთში და ოსმალეთში ყოველწლიურად იზრდება. ასე, მაგალითად, 1922—23 წელში ამიერ-კავკასიიდან გაიგზავნა 1.400.000 ფუთი საქონელი, 23—24 წელში 1,9 მილ. ფუთი, 24—25 წელში —4.8 მილ. ფუთი, 25—26 წლის ცხრა თვის განმავლობაში კი—5,3 მილ. ფუთი.

ამრიგათ, სატრანსპორტო ხარჯების დიდი ნაწილი მოდის ამიერ-კავკასიაზე. ამ საკითხს თავის დროზე ერთი წლის წინად, ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა, რომელმაც წინადადება მისცა საქონლის გადამგზავნ ა. კ. კომიტეტს შეესწავლა ეს საკითხი. აღნიშნულმა კომიტეტმა მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა; მან გამოარკვია ფრახტის გავლენა ექსპორტზე და ტრანზიტზე, და აგრეთვე ექსპორტის მომავალი პერსპექტივები.

ბუნებრივია, რომ ეს საკითხი ეხება არა მარტო რკინის გზის ინტერესებს, არამედ შინავაჭრობის კომისარიატის და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ინტერესებსაც; ამიტომ პალატა, რომლის მოვალეობასაც შეადგენს საკითხის გაშუქება მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და ჩვენი საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების გათვალისწინება, შეუდგა ამ საკითხის შესწავლას. ექსპორტთან ერთად კომისია გამოიკვლევს ტრანზიტის საკითხებსაც.

კომისია თავისი მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებას წარუდგენს პალატის საბჭოს, შემდეგ კი მასალები გადაიგზავნება უმაღლეს ორგანოებში.

კატასტროფის გარშემო

გამომკვლევი კომისია

გუშინ, დილით კატასტროფის ადგილი დაათვალიერა ქალაქის აღმასკომის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ თბილისის ბრანდმაიორი ამხ. ა. **ბერიძე**, ინჟ. **მუხარინსკი**, ინჟ. **ბიჭიმურელი** და სპეციალისტები **სალავიოვი**, **აბესალომოვი** და სხვ.

კომისიის განკარგულებით, გუშინ დილიდანვე შეუდგენ ნანგრევების წმენდას და მის წესრიგში მოყვანას, რომ თავიდან იქნას აცილებული ნანგრევებზე რაიმე ახალი ხიფათი.

გარდა ამისა კომისიამ მოახდინა გარეშემო მდებარე ადგილების დათვალიერება და დაკითხა დაღუპულთა მეზობლებს. მეზობლების განცხადებით, დანგრეულ სახლში მცხოვრებლებმა დაიწყეს მთის ფერდობში ეზოდან ხვრელის გაყვანა და ფიქრობდენ, რომ ამ ხვრელიდან მიიღებდენ წყალს. გათხრის შემდეგ ხვრელიდან წყალი არ გამოვიდა, ხოლო თვით ხვრელი არავის ამოუვსია. კომისიის ზოგიერთი წევრების აზრით, შესაძლებელია, რომ ამ ორმოს არსებობამ დააჩქარა კატასტროფა.

კომისიას ჯერ-ჯერობით არავითარი საბოლოო დასკვნა არ გამოუტანია. არსებობს განზრახვა, რომ შემოწმებულ იქნას დავითის მთის ფერდობებზე გაშენებული ყველა სახლები და, თუ რომელიმე მათგანი საფრთხილო აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ამ სახლებში მცხოვრებთა გადასახლებლათ.

დანგრეულ სახლში მოყოლებულებიც თავის დროზე გაფრთხილებული ყოფილან მოსალოდნელი ხიფათისაგან და სახლის პატრონსაც წინადადება ჰქონდა მიცემული დაენგრია თავისი სახლი, მაგრამ კატასტროფამ დაასწრო და მათ ვერ მოასწრეს საჭირო ზომების გატარება.

კომისიის თათბირი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის მიერ ქეთევანის ქუჩაზე მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამომკვლევი სპეციალური კომისიის თათბირი.

ადგილის დათვალიერებისა და შეკრებილი მასალების განხილვის შემდეგ კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომხდარი უბედურება გამოუწვევია არა მარტო წვიმებს, არამედ სახლის პატრონისა და თვით მცხოვრებლების დაუკვირებლობით. გარდა ამისა კომისიამ გამოიტანა მთელი რიგი დასკვნებისა, რომელთაც სპეციალური ხასიათი აქვთ.

კომისიის დადგენილებით დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაწმენდილი სახლის ნანგრევები და მიღებულ იქნეს ტეხნიკური ღონისძიებანი, რომ მთის ფერდობის ჩამონგრევა აღარ განმეორდეს.

სახლები რომლებშიაც ცხოვრება საშიშია

ქეთევანის ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის გამო, ჩვენმა თანამშრომელმა შეკითხვით მიმართა აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, თუ რამდენია თბილისში ძალზე დაძველებული სახლები და რა ზომებია მიღებული მათში მცხოვრებთა დასაცავად.

— თბილისის განაპირა უბნებში (ფეთხაინის რაიონი, მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვა) ამჟამად არის რამოდენიმე ათეული სახლი, რომლებსაც დანგრევა ემუქრება. აღმასკომის მიერ მიღებულია ყველა ზომები ამ სახლებში მცხოვრებთა გამოსასახლებლად, მაგრამ ბინების უქონლობა ქალაქში აფერხებს ამ საქმეს. ამ მიზნით გამოყენებული იქნა ყველა ის დუქნები, რომელთა გამოყენებაც კი შეიძლებოდა საერთოდ დასანგრევ სახლებიდან გამოსახლებულთა ჩასასახლებლად.

აღმასკომი აფრთხილებს ასეთ სახლებში მცხოვრებთ და წინადადებას აძლევს მათ დასტოვონ სახლი და გამონახონ სხვაგან შესაფერი ბინა. ხშირად აღმასკომი იძულებით ზომებსაც კი მიმართავს იმ სახლების მდგომარეობის მიმართ, რომლებშიაც ცხოვრება საშიშია. მაგრამ როდესაც მილიცია მიდის მათ გამოსასახლებლად, ისინი ხელწერილს აძლევენ მილიციის წარმომადგენლებს, რომ თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას მოსალოდნელი უბედური შემთხვევისათვის.

სხვათა შორის, აღმასკომმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინად გააფრთხილა იმ სახლის მცხოვრებლები, რომელნიც ზვავის ქვეშ მოჰყვენ ქეთევანის ქუჩაზე.

გარდა ასეთი სახლებისა, თბილისში არის სახლები, რომლებსაც სასწრაფო კაპიტალური რემონტი ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში აღმასკომი წინადადებას აძლევს სახლის პატრონს შეუდგეს რემონტს. თუ სახლი პატრონი არ ასრულებს ამ მოთხოვნილებას, მაშინ აღმასკომის მიერ გამოყოფილი სპეციალური სამეული აძრავს საკითხს სახლის ჩამორთმევისა და ქალაქისათვის გადაცემის შესახებ.

დღეს, 13 მაისს ქ. გორში მოწვეულია მუშკორების, გლეხკორების, ახკორების, სამხკორების, ქოხ-სამკითხველოების გამგეების და კედლის გაზეთების რედკოლეგიების

გაფართოებული სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები

1. საერთაშორისო მდგომარეობა. მომხ. ამხ. მიხა ცხაკაია.
2. მუშკორთა და გლეხთა მოძრაობის ამოცანები მომხ. ამხ. მუშიშვილი.
3. პროკურატურა და მუშკორთა და გლეხკ. მოძრაობა მომხ. ამხ. ვარძიელი.
4. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად და მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა შუშანია და ნუცუბიძე.
5. გაზეთ „ახალი სოფლის" რედაქციის მოხსენება.
6. მიმდინარე საკითხები.

კონფერენცია გაიხსნება მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღ. 6 საათ.

ქრონიკა

დისკუტი საგაზეთო პროდუქციაზე

კვირას, 15 მაისს, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო განათლების მუშაკთა სახლში აწყობს დისკუტს საგაზეთო პროდუქციის ღირსებაზე.

მოხსენებით გამოვა ამხ. პ. დადვაძე.

ამხ. მემედ გოგიბერიძის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მემედ გოგიბერიძე.**

ამხ. ლაკობას ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნესტორ ლაკობა.**

კომისიის გამგზავრება

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისია, რომელიც თბილისში ჩამოვიდა რიონის ჰიდრო-სადგურის პროექტების განსახილველად სადგურის ასაგებ ადგილის დასათვალიერებლად მიემგზავრება შაბათს, 14 მაისს. დაბრუნებისას კომისია საქართველოს ს. მ. უ. საბჭოში წარადგენს თავის დასკვნას იმის შესახებ, თუ რომელი ვარიანტი უფრო მისაღებია.

საქალაქო გადასახადი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის თეატრები (სახელმწიფო ოპერა, სახელმწიფო დრამა და მუშათა თეატრი) და მუშათა კლუბები განთავისუფლებული იქნა ხუთ პროცენტიან საქალაქო გადასახადისაგან.

თანამედროვე ომის იმიტაცია

თანამედროვე ომის იმიტაცია, რომელიც უნდა შემდგარიყო 15 მაისს კუკიის ტბის მიდამოებში, გადადებულია.

იმიტაციის დრო გამოცხადებული იქნება.

წითელარმიელთა საბინაო გადასახადი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ თბილისისათვის დამტკიცებულ დებულებაში საბინაო ტარიფის შესახებ შეტანილ იქნას ისეთი შესწორებანი, რომ წითელარმიელები საბინაო გადასახადს იხდიდენ ძირითადი ჯამაგირის ანგარიშიდან.

საბინაო აღმშენებლობისათვის

საბინაო კრიზისის გამო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ ადგილობრივ მუშათა საბინაო აღმშენებლობის განკარგულებაში დარჩეს სოციალზღვევის განაკვეთის დანარიცხის 90 პროც., ხოლო ცენტრში გადაიგზავნოს მხოლოდ 10 პროცენტი.

მტკვრის დონე

მტკვარმა გუშინ დაიკლო 2 მეტრ და 29 სანტიმეტრამდე.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები—მებეჭდავთა კავშირში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა განათლების მუშაკთა კავშირიდან პოლიგრაფიული წარმოების მუშათა კავშირში გადარიცხვა მიზანშეწონილად სცნო.

გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. **ფანცხავას, პოლოსოვის და ფანცულაიას** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში ჩაატაროს აღნიშნულ მუშაკთა გადაცემა.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი.** სოფ. გალოვანში (მანგლისის რაიონი) წყალსადენის გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 4.018 მანეთი.

◆ **ორთაჭალის მამულებს** აღმასკომმა დაადგინა მისცეს აგრიკულტურული ხასიათი. მამულში მოეწყობა ხეხილის, ვაზის და სხ. სანერგეები.

◆ **ანტისანიტარულ პირობებთან** ბრძოლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს რესტორანების, სასადილოების, კათეების და საცხობების გამოკვლევა.

◆ **წყალსაზომები.** აღმასკომმა რუსეთიდან მიიღო 700 წყალსაზომი.

◆ **ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადე**ბისათვის წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად მაზრაში დაიგზავნა 20 თანამშრომელი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **შემოდგომის ნათესების დაზარალება.** მიწ. მოქ. კომისარიატის ცნობით თბილისის მაზრის ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრებით სამგორის, მელახის, გლდანურჯის და ჰიფერების მინდვრებში ამას წინათ ამოვარდნილმა ძლიერმა ქარებმა მოსპეს შემოდგომის ნათესები. ზოგიერთ ყანებში ჯეჯილი სულ აღარ სჩანს.

◆ **მეაბრეშუმეების კურსები.** 15 მაისს გორში გაიხსნება მეაბრეშუმეების ორკვირეული კურსები მეაბრეშუმეობის ინსპექტორ **ნიჟარაძის** ხელმძღვანელობით.

◆ **იონჯა.** სახალხო მამულების ტრესტმა ყულარის მამულში ცდის მიზნით დათესა იონჯა 100 დესეტინაზე.

ჯანსახკომში

◆ **რესპუბლიკის რკინის გზის** მთავარ სადგურებთან ჯანსახკომის ცნობით ეწყობა საექიმო-ანტროპომეტრიული კაბინეტებში.

◆ **თვალის ექიმთა რაზმები.** ჯანსახკომი აწყობს თვალის ექიმთა რაზმებს მაზრებში დასაგზავნად.

სხვადასხვა

◆ **საექსკურსიო თათბირი.** 14 მაისს ა.-კ. პროფკავშირთა საბჭო იწვევს რესპუბლიკანურ საექსკურსიო ბიუროების წარმომადგენლების

◆ **კონფერენცია.** განათ. კომისარიატის სკოლის ჰასაკამდე აღზრდის განყოფილება 1-ლ ივნისისთვის იწვევს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელთა კონფერენციას.

შემთხვევები

◆ **მუშკოოპის გაქურდვა.** 11 მაისს წყნეთის ქ., № 2, კედლის გამონგრევის საშუალებით მუშკოოპის მაღაზია № 13-დან მოიპარეს 276 მანეთი.

◆ **თავის მოწამვლა.** გლეხთა ცენტრალური სახლში მცხოვრებმა კლავდია ბაიცევამ იოდით მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ტრამვაის ვაგონში** თავისუფლების მოედანზე მარიამ შანშიაშვილს ამოაცალეს 83 მანეთი.

◆ **ქურდი-რეციდივისტი ქალის დაპატიმრება.** პასტერის ქ., № 6, სახლში შეპყრობილი იქნა ქურდი-რეციდივისტი ზინაიდა დგებუაძე, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

◆ **დაჭრა.** 11 მაისს ფრიდონ ჟორჟოლიანმა დანით მძიმეთ დასჭრა არჩილ დადიანი, რომელიც სასწრაფოდ გადაგზავნეს საავადმყოფოში.

◆ **ჯიბგირობისათვის** 11 მაისს დააპატიმრეს ლევან გრიგულოვი და მირანა კაზაროვი.

◆ ამავე დღეს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მცირე-წლოვანი ივანე ივანოვი და პეტრე სახაროვი.

◆ **პაპიროსებით მოვაჭრე** მელქონ ბრუტიანისათვის ერთი ტომარა პაპიროსების მოპარვისათვის შეიპყრეს არამ ზახარიანი.

◆ **სხვადასხვა ქურდობების ჩადენისათვის** შეიპყრეს იგნა გორისიროვი.

◆ **ქურდობა.** 11 მაისს რტიშჩევის ქ., № 1, გაქურდეს მოქ. დვალის ბინა. წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **აცილებული უბედურება.** გუშინ, ნაშუადღევს ტრამვაის ვაგონს ქვეშ ჩავარდა 4 წლის ბავშვი რაფიკა ავაკიანი. ვატმანმა ივანე მაზმიშვილმა შესძლო ვაგონის სასწრაფოდ შეჩერება, ბავშვი გადარჩა.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავენი.** 11 მაისს შეპყრობილი იქნა მცირე-წლოვანი არშაკა სეროპიანცი, რომელსაც უნდოდა მოქ. კაპალაძისათვის ამოეცალა ფული.

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელი სამართველოს თანამშრომელთა პროცესი

მერვე დღე

გუშინდელ სხდომაზე სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა. მოწმე **ლეჟავა**, რომელმაც აღნიშნული ბოროტმოქმედება აღმოაჩინა, დაწვრილებით უამბობს სასამართლოს საფინანსო სანგარიშო და მატერიალურ ნაწილში გამეფებულ ქაოსის ისტორიას. იყო შემთხვევა,—ამბობს მოწმე, როდესაც ბრალდებულ **ქავთარაძეს** შინაურულად 150 მანეთი გაუტანია ავანსად (ჯამაგირის 130 მანეთ ღებულობდა). ავანსების გაცემას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. საავანსო სიებში გატანილ ფულებს სხვაგვარად აღნიშნავდენ. ავანსების გატანას აწარმოებდა აგრეთვე ადმინისტრაცია.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა წესით სწარმოებდა „ემის" თანამშრომლებზე ავანსების გაცემა, მოწმემ განაცხადა:

— ბუღალტერია ადგენდა საავანსო სიას, რომელიც იგზავნებოდა სალაროში, საიდანაც თანამშრომლები ღებულობდენ ავანსებს. ასეთი სიების შედგენა ყოველთვიურად სწარმოებდა; ხშირი იყო შემთხვევა, რომ დღეში 5—6 მოთხოვნილების უწყებას ადგენდენ. რომლითაც ბრალდებული **ბაქრაძე** და **ქავთარაძე** ღებულობდენ ავანსებს 160 მანეთის რაოდენობით. ბუღალტერიას კანტროლს არავინ არ უწევდა. სულ მცირე დროს განმავლობაში ბრალდებულებს შინაურულად გაუტანიათ 9.000 მანეთი.

დაკითხულ იქნა მოწმე **გაჩეჩილაძე** და **პოლოხოვი**, რომლებმაც გაიმეორეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

საზიზღარი მკვლელობის გარშემო

როგორც ვწერდით, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ **ოგანეზ (ოხანა) ალთუნაშვილს, მაკა მაისურაძეს, არტაშა ასლამაზოვს, დავით (დათა) მჭედლიძეს, არშაკ ალთუნაშვილს, სოლომონ ჩივაძეს და პავლე მაისურაძეს** მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ალთუნაშვილს და სხვებს ბრალდებათ სოფ. თონეთის (მანგლისის რაიონი) მცხოვრების **გიორგი მაისურაძის** მკვლელობაში მონაწილეობის მიღება—მოკლულის დედასა და ძმასთან ერთად.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქმე გაირჩევა შაბათს, 14 მაისს.

პროცესისადმი ინტერესი იმდენათ დიდია, რომ დარბაზში შესვლა მოხდება ბილეთებით.

თავდამსხმელის გასამართლება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **მახარაძის და ჟღენტის** მონაწილეობით გაირჩა **მიხეილ რომანოზისძე საყვარელიძის** (24 წლისა) საქმე.

ა. წ. 27 იანვარს, დღის 2 ნახევარ საათზე, საყვარელიძე ყოფ. მატინოვის ქუჩაზე (სახლი № 7). თავს დაესხა მიწათმოქმედების კომისარიატის სავეტერინარო განყოფილების ინსტრუქტორს მოქ. **მიხეილ მირიანაშვილს.** საყვარელიძემ დაარტყა მას თავში „ნაგანის" რევოლვერი და გაუტეხა თავი. მირიანაშვილი უგრძნობლად დაეცა მიწაზე. მირიანაშვილი სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა და პორტფელში ჰქონდა 904 მანეთი სახაზინო ფული.

თავდამსხმელმა გონება დაკარგულ მირიანაშვილს პორტფელი გამოსტაცა ხელიდან და გაიქცა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ მირიანაშვილი გრძნობაზე მოვიდა და დაედევნა ბოროტმოქმედს.

ორი-სამი მოქალაქე დაედევნა საყვარელიძეს, მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა ლენინის ქუჩაზე.

პორტფელი და ფული დაუბრუნეს მირიანაშვილს.

სასამართლოში ბრალდებულმა საყვარელიძემ განაცხადა:

— მე ბოროტმოქმედება ჩავიდინე მატერიალურად შევიწროების ნიადაგზე. საკითხი ასე იდგა: ან თავი უნდა მომეკლა, ან ვინმე უნდა გამეძარცვა. მე უკანასკნელი საშუალება ვარჩიე.

უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა ითხოვა შეღავათი.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულს 1922 წ. ყაჩაღობისათვის მისჯილი ჰქონდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, მან გორში უფროს მილიციელად ყოფნის დროს მიითვისა სახაზინო ფულები.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად ჩასთვალა და აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებული სოციალურად მავნე პირია—მიუსაჯა მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ა. პრუცკოვის საქმე

გუშინ ოლქის სასამართლოში ამხ. **ა. თენიეშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **კოკაშვილის** და **მირილაშვილის** და პროკურორ **გრიგოლიას** მონაწილეობით გაირჩა **ალექსანდრე პრუცკოვის** საქმე. მას ბრალდებოდა 836 მანეთის მითვისება და გაფლანგვა სამხედრო კოოპერატივ „მეომარში" საქმის მწარმოებლად და სამეურნეო ნაწილის გამგეთ ყოფნის დროს. აგრეთვე ბრალდებოდა ყალბი საბუთების შედგენა.

სასამართლოში მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით გამოირკვა, რომ ბრალდებული უყაირათობას იჩენდა საქმისადმი და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ის მთვრალი დადიოდა სამსახურში

სასამართლომ პრუცკოვი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში, რისთვისაც მიუსაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

ხელოვნება

ქართული სიმფონიური ორკესტრის კონცერტები პროვინციაში

(წერილი ქუთაისიდან)

შაბათს, 7 და კვირას, 8 მაისს ქუთაისში გაიმართა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა ორი სიმფონიური კონცერტი. კონცერტს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ივანე ფალიაშვილი. საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ორივე კონცერტის პროგრამა მიძღვნილი იყო ბეთჰოვენის შემოქმედებისადმი. შესრულებულ იქნა მისი უვერტიურა—ლეონორის პოემა და, აგრეთვე, ორი სიმფონია. ერთ-ერთ კონცერტზე გამოვიდა პიანისტ-ქალი ვირსალაძე, რომელმაც მხატვრულად შეასრულა ბეთჰოვენის მე-5 საფორტეპიანო კონცერტი. ვირსალაძეს დასრულებული აქვს ჯერ ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი, ხოლო შემდეგ ლენინგრადის კონსერვატორია განთქმული ესიპოვას კლასით.

საერთოდ სერიოზული ხასიათის სიმფონიური კონცერტები შერჩეული პროგრამით იშვიათი მოვლენაა ქუთაისში, სადაც მხოლოდ ეხლა იწყება საფუძვლიანი საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მასების მუსიკალურ-კულტურული დონის ამაღლება.

10 მაისს თეატრ „ხელოვნებაში" გაიმართა უფასო სიმფონიური კონცერტი რკინისგზელებისა და მათი ოჯახებისათვის, კონცერტის პროგრამა მთლიანად მიძღვნილი იყო ბეთჰოვენის შემოქმედებისადმი.

ეს კონცერტები წარმოადგინდენ ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულს ქუთაისში.

დამსწრე.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარული მწერლები სახელმწიფო უნივერსიტეტში

10 მაისს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედების, გაერთიანებულ ღია კრებაზე, მოხდა პროლეტარულ მწერლების გამოსვლა, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ბ. ბუაჩიძე.**

მოხსენების შემდეგ გამოვიდენ შემდეგი მწერლები: **ი. ვაკელი, კ. ლორთქიფანიძე, ფრ. ნაროუშვილი, ალ. მაშაშვილი, კ. კალაძე; ი. ხოშტარია, პ. სამსონიძე; მ. დევაძე და ნოე ზომლეთელი.** მწერლების გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ბ. ჟღენტმა, პ. ქიქოძემ, დ. რონდელმა, ნ. ზომლეთელმა და სხვებმა.

მარიეტა შაგინიანის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა მწერალი და ჟურნალისტი-ქალი, „იზვესტია"-ს კორესპონდენტი **მარიეტა შაგინიანი.**

საღამო ჩატარდა დიდი წარმატებით.

◆ **გამოფენა.** „ჰაიარტუნ"-ში გაიხსნა სომეხ მხატვარის შარბაბჩიანის სურათების გამოფენა.

◆ **მუშათა ახალ კლუბში.** 17 მაისს გაიმართება კომპოზიტორ კარა-მურზას ნაწარმოებთა მეორე კონცერტი.

◆ **კინო-სეანსები რემედასის სასარგებლოთ.** კვირას, 15 მაისს, რემედასის საქალაქო რაიონის სასარგებლოთ „მინიონში" გაიმართება საბავშვო კინო-სეანსები. ნაჩვენები იქნება სურათი „მაროშკო" (ზღაპარი) და კომიკური სურათი მაიმუნების მონაწილეობით.

◆ **ფუტურისტების ჟურნალი.** გამოვიდა და იყიდება ქართველი ფუტურისტების ჟურნალი „მემარცხენეობა". ჟურნალი შეიცავს 84 გვერდს და ღირს 70 კაპ.

ბაზარი

ბოსტნეული და მწვანილეული

საზ-ბა „მდელოსი"-ს გამსაღებელ პუნქტებში კონა ახალი ხახვი იყიდება 10 კაპ., წიწმატი 4 კაპ., ქონდარი 10 კაპ. ქინძი 5 კაპ., კამა 6 კაპ., სალათა 4 კაპ., ბოლოკი 4 კაპ., პიტია 4 კაპ., ოხრახუში 7 კაპ., ისპანახი 3 კაპ., მჟაუნა 4 კაპ., ტარხუნა 18 კაპ., კიტრი (სათბურებიდან) პირველი ხარისხის 23 კაპ., მეორესი 18 კაპ. და მესამესი 7—8 კაპ.

კერძო ბაზარზე მოიპოვება ახალი კომბოსტო, გირვანქა იყიდება 30 კაპ.

როგორ ხასიათდება ბაზარი

თბილისის საქონლის ბირჟის გამოკვლევით, აპრილში ვაჭრობა დიდის სიცხოველით სწარმოებდა, რაც აიხსნება წარსულ უქმეებით და საგაზაფხულო სეზონის დადგომით. მიუხედავათ ამისა, მოთხოვნილება საქონელზე მაინც ისეთი არ ყოფილა, როგორც სჩვევია ამ პერიოდს. ეს აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ მყიდველები უცდიდენ ფასების შემდგომ დაკლებას და მეორეს მხრივ ცუდი ამინდებით.

დიდი მოთხოვნილება იყო საფეიქრო საქონელზე.

ტყავეულობის ბაზარზე ადგილი აქვს საქონელზე მოთხოვნილების გადიდებას. მოთხოვნილება კმაყოფილდება.

ნედლეულთა ბაზარზე მტკიცე მდგომარეობაა მატყლის მხრივ; დიდია მოთხოვნილება ცხვრის ტყავზე საკავშირო ბაზრების მხრივ. დიდია აგრეთვე მოთხოვნილება დაფნაზე. მოთხოვნილება ღვინოზე ნაკლებია.

რკინისგზებზე

რკ. გზა ქ. ზუგდიდში

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას, მისცის შავი ზღვის რკინის გზის სააღმშენებლო სამმართველოს 7 კილომეტრი რელსი და ყველა აუცილებელი მასალები ქ. ზუგდიდში რკ. გზის ხაზის შესაყვანად.

კაზანცევის მუხრუჭები

ახლო მომავალში ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას განზრახული აქვს 1460 ცისტერნის და 70 ორთქლმავლის მოწყობა კაზანცევის მუხრუჭებით.

გაფლანგვები

გასული წლის განმავლობაში ა.-კ. რკინის გზებზე აღმოჩენილ იქნა გაფლანგვების და სხვა და მასთან დაკავშირებულ სხვა ბოროტმოქმედებათა 18 შემთხვევა. ამ ბოროტმოქმედებებიდან გზისთვის მიყენებული ზარალი გამოიხატება—37.839 მანეთში.

გარდა იმისა, რომ დამნაშავენი მიცემულნი არიან პასუხისგებაში, მათ წაყენებული აქვთ სამოქალაქო სარჩელი.

უბედური შემთხვევა

11 მაისს ბაქოს 2-რე სადგურში, მატარებლის მანევრების დროს, მატარებლის ქვეშ მოჰყვა კონდუქტორი მერკულოვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ამხ. ივანოვის დაბრუნება

მილინიბიდან დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ე. ივანოვი.

ტალახით სამკურნალო

ა. კ. საგზაო დამზღვევ სალარომ მიმართა თხოვნით ა. კ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველოს, განჯის უბანზე სასწრაფოდ მოაწყოს ტალახით სამკურნალო

ახალი სამკურნალო მოეწყობა სადგ. გერანიდან—14 კილომეტრის დაშორებით, იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება ნავთალინიანი წყაროები.

ბიბლიოგრაფია

В. БЕЛЕНКО. «Рикардо и Маркс, как теоретики стоимости».

„პროლეტარი"-ს გამოცემა გვ. 76. ფასი 75 კ.

რიკარდოსა და მარქსის ეკონომიურ სისტემათა პარალელური განხილვა, რომლის დროს არკვევენ რაში ენათესავებიან და რაში განსხვავდებიან ეს ორი გენიალური ეკონომისტები ერთი მეორისაგან, მრავალ მკვლევარმა სცადა მაგრამ დამაკმაყოფილებლად მისი შესრულება ჯერ ჯერობით თითქმის ვერავინ შესძლო. ამ მხრივ ერთნაირი შეხედულება ამ ორ ეკონომისტზე არ არსებობს თვით მარქსისტ მკვლევარებშიაც კი (მაგ. ჩერნიშევი, როზენბერგი, რუბინი).

ბელენკომ რიკარდოსა და მარქსის ეკონომიური მოძღვრებათაგან გამოჰყო ერთი სპეციალური, მაგრამ ამავე დროს ცენტრალური საკითხი—ღირებულების საკითხი და მისი თვალსაზრისით არკვევს რა ნათესაობაა ან რა განსხვავებაა ამ ორ ეკონომისტს შორის. ავტორის არჩევანი გამართლებულია თავისთავად, რადგან ღირებულების თეორია ყოველი ეკონომიური სისტემის ფუძეა, რომლის სწორი გაგება აადვილებს დანარჩენ საკითხების გაგებასაც.

მიუხედავად იმისა რომ ავტორი არკვევს მხოლოდ ერთ საკითხს, მან მაინც ვერ მოქვა მისი ამომწურველი ანალიზი. ავტორის მიერ აღებული თემა უნდა იხილავდეს ღირებულების საკითხის სამ მომენტს: 1. შრომის ანალიზი, როგორც ღირებულების შინაგანი საფუძვლის, 2. ღირებულების შინაარსი და ფორმის ანალიზი და 3. ღირებულების კანონის ანალიზი. ავტორს არ აქვს საკითხი განხილული ასეთის თანამიმდევრობით თუმცა იგი იხილავს ამ პრობლემაში შემავალ ზოგ საკითხებს და რადგან მას გარკვეული სისტემა აკლია, ამიტომ ავტორიც თავის დასახულ მიზანს სავსებით ვერ აღწევს.

უქველად სუსტადაა განხილული ავტორის მიერ პირველი მომენტი—შრომის ანალიზი, რომლის დროს ავტორი მოკლით არკვევს საზოგადოებრივ აუცილებელ და აბსტრაქტიულ შრომას და უყურადღებოდ სტოვებს: კონკრეტიულს, ინდივიდუალურს, ნაყოფიერი და უნაყოფო და მარტივი და კვალიფიციური შრომას.

ავტორის მიერ არადამაკმაყოფილებლადაა განხილული მეორე მომენტიც—ღირებულების ფორმა და შინაარსი. აქ ავტორი მოკლედ აღნიშნავს რომ არაა მართალი ის გავრცელებული მოსაზრება რომ რიკარდომ თითქოს მოგვცა საცვლელი ღირებულების ყოველმხრივი განხილვა და თითქოს უყურადღებოდ დატოვა აბსოლიუტური ღირებულების ცნება. ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა რომ ავტორის მოკლე განმარტება ოდნავადაც ვერ გვაკმაყოფილებს.

სამაგიეროდ ზედმიწევნით კარგადაა შესრულებული მესამე ნაწილი—ღირებულების კანონის ანალიზი და მისი როლი რიკარდოსა და მარქსის მოძღვრებაში. ავტორი აქ მოხდენილად არკვევს იმ განსხვავებებს, რომელიც ჩამარხულია მათი მეთოდოლოგიური საფუძვლებში. აქ ნათლადაა გარკვეული რიკარდოს ერთი ძირითადი შეცდომათაგანი, რომ მას სწორედ არ ჰქონდა წარმოდგენილი კაპიტალისტური წარმოების ისტორიული ხასიათი, მისი გარდამავალობა, ამავე დროს რიკარდო, როგორც ვიცით; მოვლენებს იხილავს არა საზოგადოებრივი, არამედ ინდივიდუალური თვალსაზრისით. ამის შემდეგ მკითხველისათვის ნათელია თუ რატომაა უძლური რიკარდო სწორად გადასჭრას მთელი რიგი საკითხები სადაც ერთად-ერთ სწორ გამოსავალ წერტილად საზოგადოების თვალსაზრისი უნდა იქნას გამოყენებული. ასე მაგ. საბაზრო ფასი, მოგების საშუალო ნორმა და სხვ. აქედანვე მკითხველი თავისუფლად ერკვევა თუ სად უნდა ვეძიოთ რიკარდოსა და მარქსის ღირებულების კანონთა განსხვავება.

ძირითადი განსხვავება მარქსისა და რიკარდოს ღირებულების კანონთა შორის იმაში მდგომარეობს რომ მარქსისათვის ღირებულების კანონის ფორმაა, რომელიც სწარმოებს მოუწესრიგებელ საქონლის მეურნეობაში საზოგადოებრივი შრომის სტიქიური განაწილებ, რიკარდოსათვის კი იგი არსებობს როგორც ნორმა, რომლის მიხედვით ხდება გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ ბაზარზე.

ბელენკოს შრომა მართალია არ სწურავს სავსებით დასმულ საკითხს, მაგრამ მისი გაცნობა სასარგებლოა იმათთვის, ვისაც სურს მარქსისტულ ლიტერატურის შესწავლის ერთი მხრივ ღირებულების საკითხი და მეორე მხრივ ის თუ რა განსხვავებაა ამ მხრივ მარქსისა და რიკარდოს შორის.

ან—კანი.

მეცნიერება და ტექნიკა

ხელოვნური ნაკელი

როტჰემსტედის (ინგლისი) საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურზე მოხდენილ მეტად საინტერესო ცდები ჩალის ხელოვნურად გადაქცევად ნაკელად. 30 სანტიმეტრის სისქის მქონე ჩალის ფენას დააყარეს კირი და წყალი გადაასხეს. შემდეგ მთელ გროვას მოასხურეს გოგირდ-მჟავა ამმონიუმი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩალის გროვის ტემპერატურა საგრძნობლად გაიზარდა, სამი თვის შემდეგ კი ჩალა გადაიქცა ყვითელ დამპალ მასად, რომელიც ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ ნაკელს. ქიმიური ანალიზით გამოირკვა, რომ ეს ხელოვნური ნაკელი ბევრით არაფრით განირჩევა ნამდვილისაგან.

	ხელოვნურ ნაკელში %	ბუნებრივ ნაკელში %
აზოტი	0,48	0,37
ფოსფორ-მჟავა მარილები	0,10	0,27
პოტაში	0,27	0,21
ორგანიული ნივთიერებანი	12,6	11,1

საცდელ მინდვრებზე მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მიღებული იქნა შვრია ჰექტარიდან (4 ცდევა და 153 საჟ.) კვინტალებში (100 კილოგრამი).

	ხორბალი	ჩალა
ხელოვნური ნაკელი + ქიმიური სასუქი	23,6	54,3
ხელოვნური ნაკელი	21,8	40,0
ხელოვნური ნაკელი, წყალნარევი	26,1	39,5
ხელოვნური ნაკელი მშრალი	16,6	41,0

ეს ცდები ამტკიცებენ, რომ ხელოვნურ ნაკელს სავსებით შეუძლია გასწიოს ბუნებრივი ნაკელის მაგიერობა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რაიონებისათვის, სადაც მესაქონლეობა სუსტად არის განვითარებული.

საჰაერო ნაღმი

ამერიკელი ჟურნალები იუწყებიან, რომ მსოფლიო ომის დასრულების დროისათვის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს მოეპოვებოდა საჰაერო ნაღმის სავსებით დამუშავებული პროექტი. ამ გამოგონების ტექნიკურ დეტალებს საიდუმლოთ ინახავენ, იციან მხოლოდ, რომ ეს ნაღმი 160 ვერსის მანძილზე მოქმედობს. ყველაფერი მზად იყო, რომ დაემზადებიათ 10.000 ასეთი ნაღმი, მაგრამ ომის დასრულებამ ხელი შეუშალა იმპერიალისტების ამ ახალი „მიღწევის" გამოყენებას.

ფეხბურთი

„დინამო" ფოთი—„დინამო"—თბილისი

დამთავრდა პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამო"-ს სტადიონის მოწყობა (პლეხანოვის პრ., სამხედრო სკოლის პირდაპირ); პირველი საქალაქთაშორისო შეჯიბრი ახალ სტადიონზე გაიმართება კვირას, 15 მაისს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე.

ამ დღეს თბილისის „დინამო"-ს ეთამაშება ფოთის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო". ეს გუნდი დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა. მასში შედიან ფოთის საუკეთესო მოთამაშეები.

ფოთის „დინამო"-ს რამოდენიმე შეჯიბრი ჰქონდა სხვა ქალაქების გუნდებთან, ყველა ამ შეჯიბრებში გამარჯვებული ფოთის „დინამო" გამოდიოდა.

იურიდიული დახმარება

პ. ჩარგაზიას (ზუგდიდის მაზრა)

თქვენ გვეკითხებით, ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დროებით მომუშავეთ მისცეს ხელფასი იმ დროისათვის, რომელსაც ანდომებენ ისინი ყრილობებს, კონფერენციებს და რწმუნებულთა კრებებს საბჭოთა ან და პროფკავშირთა ხაზით, როგორც მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები და დელეგატები. გიპასუხებთ, რომ ადმინისტრაცია არ არის ვალდებული ასეთ შემთხვევებში დროებით მომუშავეთ მისცეს ხელფასი. (იხ. ამ.-კავ. ცაკის და სახკომსაბჭოს **1927 წ. 26 მარტის დადგენილების მუხ. 34—39.** გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში **1927 წ. 7 აპრილიდან № 1445-ში**). ასეთ შემთხვევებში გასამრჯელო საშუალო რაოდენობით ეძლევათ მხოლოდ შტატის მოსამსახურეთ. (იხ. შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 77, თავი მე-11—„გარანტიები და კომპენსაციები").

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 43

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ*)

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების წესდებანი

29. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) მოეწყობიან და იმოქმედებენ თანახმად წესდებისა, რაც შედგენილ უნდა იქნეს იმ ნორმალური წესდების მიხედვით, რომელსაც ამა დებულების საფუძველზე გამოსცემს საქართველოს ცენტრალ. აღმასრ. კომიტ. სოციალ. უზრუნველ. განყოფილება საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. ინვალიდთა არტელების და მათი შენაერთების წესდებანი, აგრეთვე ამ წესდებათა ცვლილებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს და ერთი თვის განმავლობაში რეგისტრაცია გაკეთებული სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ, საქართველოს ცენტრ. აღმასრულებ. კომიტ. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესების თანახმად.

სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის წესდება, საქართველოს ცენტრ. აღმ. კომ. სოციალური უზრუნვ. განყოფილების მიერ დადასტურების შემდეგ, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

30. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) რეგისტრაციაში გატარების დღიდან იცნობიან იურიდიული პირებად და მათ შეუძლიათ აწარმოონ ყველა ოპერაცია მათი წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

31. ყველა არტელისა და მათი ზემდგომი შენაერთების (კავშირების) წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) არტელის (შენაერთის, კავშირის) სახელწოდება, მოქმედების რაიონი და გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ბ) არტელის (შენაერთის, კავშირის) მიზანი და მოქმედების საგანი;

გ) პირობები არტელში (შენაერთში, კავშირში) წევრად შესვლისა, არტელიდან გამოსვლისა და გამორიცხვისა და აგრეთვე წესი გამოსულ წევრებისათვის მათი ხვედრი თანხების დაბრუნებისა.

დ) არტელის (შენაერთის, კავშირის) წევრების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებისათვის, აგრეთვე იმ შემთხვევაშიდაც, როდესაც არტელიდან (შენაერთიდან, კავშირიდან) გამოვლენ;

ე) კაპიტალების შედგენის პირობები და წესი და მათი დანიშნულება;

ვ) პაისა და შესასვლელი გადასახადის რაოდენობა;

ზ) ანგარიშების შედგენისა, დამტკიცებისა და გამოქვეყნების წესი და ვადა;

თ) მოგებისა და ზარალის განაწილების წესი;

ი) შედგენილობა გამგეობისა, საბჭოსი, უკეთუ იგი არსებობს, და სარევიზიო კომისიისა, მათი წევრების არჩევის წესი, უფლებანი და მოქმედების ვადა;

კ) საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) მოწვევის წესი და ვადა, მათი კანონიერების პირობები, მუშაობის წესი: დადგენილებების მიღებისა და აგრეთვე ოქმებისა და ჟურნალების შედგენის წესი;

ლ) არტელის (შენაერთის, კავშირის) ლიკვიდაციის პირობები და წესი;

მ) განსაკუთრებული [illegible], რაც მინიჭებული აქვთ ზემდგომ შენაერთებს ქვემდგომ შენაერთებისადმი, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალ. ორგანოს და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოების ყველა საფეხურის ინვალიდთა შენაერთების მიმართ.

ინვალიდთა შენაერთების ლიკვიდაცია

32. ინვალიდთა არტელების (ამხანაგობათა) და მათი კავშირების ლიკვიდაცია მოხდება:

ა) მათი წევრების ან რწმუნებულების საერთო კრების დადგენილებით;

ბ) უკეთუ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი იმაზე ნაკლები იქნება, რაც განსაზღვრულია ამა დებულებით (მუხ. 10 და 32) და წესდებით და უკეთუ ორი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მდგომარეობის შექმნიდან, ორგანიზაცია შევსებულ არ იქნება ახალი წევრებით;

გ) უკეთუ ორგანიზაცია არ შეუდგება წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამფუძნებლებს ეცნობათ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ წესდების დამტკიცება და რეგისტრაციაში გატარება; ამ ვადის გასვლამდე ახლად დაარსებული კოოპერატიული ორგანიზაცია მოვალეა აცნობოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს, რომ მან დაიწყო მოქმედება; წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს დადგენილებით, იგი ამორიცხულ იქნება რეესტრიდან;

დ) უკეთუ სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციას შეერთებს ან გამოეყოფა;

ე) უკეთუ სასამართლოს დადგენილებით ორგანიზაცია არაშემძლედ იქნა ცნობილი;

ვ) ინვალიდთა სამაზრო შენაერთის მიერ არტელის (ამხანაგობის) შესახებ გამოტანილი დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო აღმასკომის მიერ, და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს დადგენილებით—ყველა საფეხურის ინვალიდთა შენაერთების შესახებ, უკეთუ დარღვეულია მომქმედი კანონი და წესდება, უკეთუ ქვემდგომი შენაერთი ზემდგომი შენაერთის კანონიერ მოთხოვნას არ ემორჩილება და უკეთუ არტელისა (ამხანაგობისა) და არტელებათა შენაერთის (კავშირის) მოქმედება ეწინააღმდეგება ინვალიდთა კოოპერაციის ძირითად პრინციპებს.

33. არტელისა და ზემდგომ შენაერთის (კავშირის) ლიკვიდაციის ვადას განსაზღვრავს სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანო და ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს იმ დღიდან, როდესაც გამოტანილი იქნა დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ, და დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სათანადო ოფიციალურ ადგილობრივ გაზეთში.

საპაიო თანხა შეიძლება დაუბრუნოს შენაერთის წევრებს, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაფარული იქნება ორგანიზაციის ვალები.

ინვალიდთა ორგანიზაციის ვალების დაფარვის დროს, სამოქალაქო კოდექსის 101 მუხლით გათვალისწინებულ პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს: პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) ვალების დაფარვის დროს სესხი, რაც აღებულია ინვალიდთა არტელების შენაერთებისაგან და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირისაგან; ინვალიდთა არტელების შენაერთების ვალების დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირისაგან; სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის ვალების დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან.

არტელებისა და მათი კავშირების ქონებას და თანხებს, რაც კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩება, უნდა მიეცეს სათანადო კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული დანიშნულება.

34. იმ საგადასახადო შეღავათების გარდა, რაც ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის გათვალისწინებულია სოც. საბჭ. რესპუბლიკათა კავშირის კანონმდებლობით, აღნიშნულ შენაერთებსა და მათ კავშირებს მიეცემათ აგრეთვე ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებული შეღავათები.

35. ყოველგვარი ურთიერთი მიმართვის დროს სხვადასხვა უწყებასთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასთან და საწარმოსთან, აგრეთვე ერთმანეთ შორის და კერძო პირთან, ინვალიდთა შენაერთები, როგორც პირველი საფეხურისა, ისე ზემდგომი, ყველა საქმეებზე განთავისუფლდებიან სასამართლო სანოტარო ადგილობრივი და სხვა გამოსაღებისა და ბაჟისაგან. აგრეთვე არ დაიბეგრება რამე გამოსაღებით მთლად ის მიწერ-მოწერა, რაც დაკავშირებულია ინვალიდთა პირველ საფეხურის შენაერთებისა (არტელებისა) და მათი ზემდგომი შენაერთების დამტკიცებასთან და რეგისტრაციასთან.

შენიშვნა. ინვალიდთა შენაერთების შეღავათები საღერბო გამოსაღების სფეროში განისაზღვრება სპეციალური კანონით.

36. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომის მიქირავების დროს, აგრეთვე კომუნალური სამსახურის გაწევის დროს ადგილობრივი აღმასკომები და საბჭოები მოვალენი არიან მისცენ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს (არტელებს) და მათ კავშირებს უპირატესობა სხვა ორგანიზაციებისა და პირების შედარებით. სადგომებისა და კომუნალური სამსახურისათვის ქირის გაღების სფეროში ინვალიდთა შენაერთები (არტელები) და მათი კავშირები გათანასწორებულ არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფოსთან.

37. ყოველი სახის ქონებრივი დაზღვევის დროს, მაგალითად: შენობისა, საქონლისა, მოწყობილობისა; ნათესებისა; ოთხფეხი საქონლისა და სხ. ინვალიდთა შენაერთები და მათი კავშირები ტარიფებისა და შეღავათების სფეროში გათანასწორებულ არიან სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოსთან.

38. სპეციალური შეღავათები, რაც დაწესებულია ინვალიდთა შენაერთებისათვის; გავრცელდება მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი შედიან სათანადო ზემდგომ კავშირში, ხოლო იქ-კი, სადაც ასეთი კავშირი არ არსებობს, ამისათვის საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს დასტური.

39. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ გამოცხადებულ საჯარო ვაჭრობებში, განთავისუფლდებიან საწინდრის შეტანისაგან.

40. იმ ინვალიდსა და აგრეთვე სხვა პირს, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფაზეა და წევრად შედის ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთში, შენახება არსებული კანონებით მისთვის მიკუთვნებული პირადი შეღავათები და უპირატესობანი.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 104 და 105.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1. ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა მდგომარეობის გამოსარკვევად დაინიშნოს კომისია ამხ. **შადუნცის** თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. **ბახტაძისა** და გორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლის ამხ. **კალმახელიძის** შემადგენლობით.

2. დაევალოს ზემოაღნიშნულ კომისიას ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს როგორც შესრულებული სამუშაოების, ისე არხის დასამთავრებლად საჭირო სამუშაოთა რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა იმ მიზნისათვის საჭირო თანხებისა და ხსენებული არხის ფაქტიური გახსნის ვადა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წ. მაისის 12.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 34), საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომაზე შაბათს, 14 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე.

1) ორბელაძე იულონ ზოსიმესძე, 2) დავიდანცი ალექსანდრე მიხეილისძე, 3) ბუტოვსკი ნიკიტა თედორესძე, 4) მარუკიანი სერგო მიხეილისძე, 5) ბესლეკოვი ტიმოთე ივანესძე, 6) მარუჩაშვილი არტო როსტომისძე, 7) სვანიძე რაჟდენ გიორგისძე, 8) მუსაელიანი მარიამ დავ. ასული, 9) ემირიძე იუსუფ არიფისძე, 10) სავინკოვი ალექსანდრე ანდიასძე, 11) აფონინი ივანე ივანესძე, 12) იუჟანინოვი ივანე სტეფანესძე, 13) ფილიპოვი ბესარიონ ივანესძე, 14) საფაროვი ალი-ბალა მამედისძე, 15) კარაევი მახარლამ ყარასძე, 16) მამედოვი მამიდ მუსტაფა-ოღლი, 17) ქილიძე ტარასი სტეფანესძე, 18) ჯარჩიევი რაგიმ იმამ-კული-ოღლი, 19) შაბანოვი ნიკოლოზ მიხეილისძე, 20) მშვენიერიძე ვლასა ივანესძე, 21) მათითაშვილი ოლღა სამსონის ასული, 22) სანაძე ნადია (ნადეჟდა) სოლომონის ასული) 23) დელექტორსკაია მარიამ სერგოს ასული, 24) აბოვიანი ვიოსკი ვასილის ასული, 25) იარალოვა ლიუსია ვასილის ასული, 26) მგალობლიშვილი შალვა ივლიანისძე, 27) ბაგიროვი გასან განდბარისძე, 28) საბუმასოვი კუზმა ნიკოლოზისძე, 29) გოგიაშვილი გიორგი ივანესძე, 30) ჭუმბურიძე ალექსანდრე სავლესძე, 31) გულიევი გებულა მაშლი, 32) ტარისიუკ ელენა თედორეს ასული, 33) შატალოვა მარიამ დავითის ასული, 34) ხაჩატუროვი ხაჩიკ ვასილისძე, 35) ამიროვი ოროუჯ ამირ-ოღლი, 36) პერერვა ნიკოლოზ სებასტიანისძე, 37) ლავრინენკო ფეოდოსი ეგნატესძე, 38) მახარაძე პავლე სამსონისძე, 39) კაპიტან პეტრე სტეფანესძე, 40) ლიუპა ივანე ალექსანდრესძე, 41) ბეჩასტნევი ნიკოლოზ ივანესძე, 42) ცატუროვი გაბრიელ ალექსანდრესძე, 43) ქელბაძე ათანასე გიოსძე, 44) ხუციშვილი ვარლამ ალექსანდრესძე, 45) ლიპტოვი ივანე [illegible], 46) [illegible] კაკი გიორგისძე; 47) ზენიჩკოვი ივანე ნიკოლოზისძე, 48) [illegible], 49) [illegible] რებეკა [illegible], 50) [illegible] მამასძე, 51) ავდიევი ზორბა ბეკნადისძე, 52) მესხი ვილიანე პეტრესძე.

— **პარასკევს, 13 მაისს,** საღამოს 6 საათზე მე-5-ე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 166). შესდგება **ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის № 24 კომუჯრედის დახურული კრება.**

— **დღეს, 13 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე** საქ. ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება **თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო სხდომა:**

აუცილებლად დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის წევრები და აგრეთვე ის პირები, რომელთა განცხადებები განხილულ უნდა იქნენ.

— **დღეს, 13 მაისს,** დილის სრულ 11 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება **ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის გაფართოებული საორგანიზაციო თათბირი.**

კოლეგიის წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—**შაბათს 14 მაისს, დილის 10 საათზე, ამხ. ჯუღელის კაბინეტში** (სახკომსაბჭო-სასახლე) მოწვეულია საქთავდაცვისა და ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: 1) ჯუღელი, 2) აბაშიძე, 3) ხაჭაპურიძე (მიწსახკომი), 4) ბზეკალავა; 5) იმედაძე, 6) კიკნაძე, (ფ. უ. ს.), 7) ბერია, 8) ლეჟავა პ. 9) იაკობაშვილი; 10) მაჭავარიანი (აეროდრომი); 11) ეგიკოვი; 12) სიხარულიძე ვ. (ქართ. დივიზია), 13) დუბოვიცკი და ბერიძე (სახანძრო რაზმი.

ულრმესი მწუხარებაში მყოფნი, მეუღლე ქსენია თავისი შვილით, დედა კესარია, მამა ბესარიონ, ძმები კირილე, დომენტი, რაჟდენი, შალიკო, დაი მარუსა, რძლები სონია, და ლუბა სულავები, დეიდა ელისაბედი და ბიძა ესტატე გოგელაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს

ალექსანდრე ბესარიონისძე სულავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 13 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან, ბათომის ქუჩა, № 12, რკინის გზის ახალი შენობა. 2735

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე ქსენია ნესტორის ასული სულავასი თავისი პატარა ვაჟით ოთარით, სიმამრი და სიდედრი ნესტორ ანტონის-ძე ფანჩულიძე და მატრონა თეიმურაზის ასული გოგიაშვილი-ფანჩულიძისა, ცოლისძმა დათიკო ნესტორის-ძე და ბიძა მელიტონ ანტონის-ძე ფანჩულიძენი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის უძვირფასესი

ალექსანდრე ბესარიონისძე სულავას

უდროოთ და ტრაღიკულად გარდაცვალებას. გადმოსვენება მოხდება დღეს 10 საათზე, ბინიდან, ბათომის ქ. რ. გ. სახლი № 12, დაკრძალვა 4 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2739

გულდათუთქულნი: დედა ანასტასია გლახუას ასული, ძმები ალიოშა, მიშა, ვარლამი, დები მარიამი და ვერა, რძალი თამარა სოლომონის ასული დოლაბერიძეები, სამუდამოდ გულმოკლულნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, მათი მუდამ დაუვიწყარი და საყვარელი

ქეთო (ქეთუშა) დოლაბერიძის

უდროოთ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 ამა მაისს, სოფელ მაღლაკში (ქუთაისის მაზრა). 2730

შაბათს, 14 მაისს, დღის 12 საათზე სოფ. კლდეეთის (შორაპნის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიაზე უდროოთ დაკარგულ

ნინა აფრასიონის ასულ
ქავთარაძე-ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ: უნუგეშოთ დამწუხრებული მეუღლე—დავით ვასილის-ძე, დაობლებული და დედის ალერსს მოკლებული შვილი პატარა ლენა ხიმშიაშვილები, მშობლები აფრასიონ, მაშიკო და ძმა ალექსანდრე ქავთარაძეები, მამამთილ-დედამთილი ვასილ და მარიამ ხიმშიაშვილები. 2726

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე პელაგია ზურაბის ასული, შვილი პეტრე ნიკოლოზის-ძე, შვილიშვილი კოკი ჯაიანი და ცოლისძმის შვილები ცაბურია, ალექსანდრე, ვალოდია, ანდრიუშა, დუსუნია და ვანიჩკა სოლომონის-ძე კიკნაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 11 მაისს ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, დაუვიწყარი

ნიკოლოზ (ნიკო) პეტრეს-ძე
ჯაიანი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება 15 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათზე. გამოსვენება—მახარაძის ქუჩის პირველ შესახვევიდან № 3. ნ. 1177

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე მალაქიას-ძე მუსელიანი თავისი შვილებით, მამა დარისპანი, დედა დარიკო, ძმები ლეო და გრიშა აბაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარ და საყვარელ

ნადია დარისპანის ასულ
მუსელიანის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, შაბათს, 14 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2740

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—8 ნ. 1099

მსოფლიოში განთქმული სურათი
„მხდალი" ჯემს კრიუზეს დადგმა

მერი პიკფორდი მხატვ. შედევრში
„საპნის ქაფი"
ყველგან აუარებელ ხალხს იზიდავს

მხატვრული შედევრი ამერიკული სურათი
„ჯონი—ვეშაპის მკვლელი"
2 სესია ათი ნაწილი ერთად.

უკანასკნელად თბილისში „გიული"
ლ. პუშის და ნ. შენგელაიას დადგმა, ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი. მთავარ როლში ნატა ვაჩნაძე.

ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმის-ძე"

შაბათს, 14 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშკოოპის შენობაში

შესდგება

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა

კრება

დღის წესრიგი

1. პირველი ნახევარი წლის გეგმის შესრულება და 1926—27 წლის მესამე მეოთხედის გეგმა.
2. მოხსენება კოოპერატიული მრეწველობის შესახებ.
3. რაი-ბიუროების შემდგომი მუშაობის შესახებ.

თუ დანიშნულ დროზე არ გამოცხადდა რწმუნებულთა სათანადო რაოდენობა, საღამოს 7 საათზე იმავე დღეს გაიხსნება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად. ნ. 1178

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 17 მაისს 1927 წ. დღის 1 საათ. სახლში № 4 მარტყოფის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასილ მათიაშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდას და სხვ. შეფასებულს 128 მან., დავით რაჭვიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილ. მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 15 მარტს 1927 წ. თარიღით № 1682 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2729

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი

სახელმწიფო საგამოცდო სესია

კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ 16 მაისს 1927 წლ. დღის 1 საათზე, სახლში № 6 კომინტერნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გრიგორ გრიგორიანის მოძრავ ქონებას: შეკერილ საზაფხულო კეპკის ქუდებს 618 ცალს, შეფასებულს 309 მან, მოქ. აკოფ ხრუთინოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 აპრილს 1927 წლ. თარიღით, № 1354 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1176

მიხეილ გედევანიშვილის
ხსოვნის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან. ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა** გამოძახება სახლში მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე. იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლეძის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 4373 მოცემული სამტრედიის საუბნო პროფკავშირის მიერ მიმდინარე 1927 წ. სამაზრო წლიური საგარეთუბნო ბილეთი № 00028245 ქუთაისი-ტან—ახალ-სენაკამდე მოცემული ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მიერ იოსებ ბახვასძე კობალავას სახელზე, ჩ. გ. 2734

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი № 1461, მიღებული მეორე უბნის სამხედრო მაგიდისაგან, დავით გრიგოლის ძის ჩირაძის სახელზე, ჩ. გ. უ.

დაიკარგა ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის სამაზრკომის მიერ მოცემული პარტმანდატი № 20868 თ. ლობჟანიძეს სახელზე, ჩ. გ. 2737

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ანატოლი კოვალენკოს სახელზე, ჩ. გ. 2733

დაიკარგა თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის სალექციო წიგნაკი № 642 შალვა პავლესძე გუდაძეს სახელზე, ჩ. გ. 2727

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 220 ვანო ბიკტორის ძე გოგავას სახელზე, ჩ. გ. 2732

დაიკარგა სწავლის დროებითი მოწმობა გაცემული ქ. ზუგდიდის ცხრაწლედიდან ბაგრატ გელენავას სახელზე, ჩ. გ. 2728

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 111 ვარლამ კაციას სახელზე, ჩ. გ. 2738

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1369 სერგო ქადაგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2738

დაიკარგა პირადი წიგნაკი 59 პეტრე გალდავას სახელზე, ჩ. გ. 2738

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.